

კვთიბრების სისტემის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

თბილისი

2013

ავტორები:

შალვა ტაბატაძე

ნათია გორგაძე

რედაქტორი:

ჭაბუკი ძირია

ISBN: 978-9941-0-6176-9

კვლევა ჩატარდა და მისი ანგარიში გამოიცა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის პროექტის („კვოტირების სისტემის ეფექტურობის კვლევა“) ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს გაეროს ასოციაციის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის შეხედულებებს.

This research was conducted and the report was prepared in the frame of the project “Assessment of Quota System in Higher Education Admissions of Georgia” by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR). The project is developed as part of the Advancing National Integration in Georgia Project (ANI) funded by the United States Agency for International Development (USAID) and implemented by the United Nations Association of Georgia (UNAG) . The views and opinions expressed herein are entirely those of the authors and should not be attributed in any manner to the USAID and the UNAG.



ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა

შესავალი

თავი I: უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას არსებული
საშეღავათო პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში

თავი II: კვლევის მეთოდოლოგია

თავი III: აბიტურიენტთა რეკრუტირება და
მოსახლეობის ინფორმირებულობა საშეღავათო პოლიტიკის შესახებ

თავი IV: საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობა ეთნიკური
შემცირებულებისთვის უმაღლესი განათლების თანაბარი
ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით

თავი V: ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის
შეფასება სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა
და სტუდენტური ცხოვრებისთვის მომზადების თვალსაზრისით

თავი VI: ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის
შეფასება დაგეგმვის, განხორციელების, ინფრასტრუქტურის,
სასწავლო და სტუდენტური გარემოს თვალსაზრისით

თავი VII: საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებული
კონკრეტული პრობლემები და საკითხები

თავი VIII: რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად

გამოყენებული ლიტერატურა

ცხრილები

დიაგრამები

წინათქმა

წარმოდგენილი კვლევა 2009 წელს ინიცირებული ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული განათლების საშეღავათო პოლიტიკის რამდენიმე წლიანი გამოცდილების შეჯამების პირველი მცდელობაა და შესაბამისად, მნიშვნელოვანი დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული უმცირეობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის გაანალიზებისა და გადახედვის, შეცვლისა და გაუმჯობესებისაკენ სწრაფვისათვის.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ავტორების გარდა, კვლევის განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე კვლევაში უამრავი ადამიანი იყო აქტიურად ჩართული. ჩვენ ვთვლით, რომ მათი თავდაუზოგავი შრომის, შემართებისა და მაღალი მოტივაციის გარეშე ამ კვლევის ჩატარება აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მათთვის ჩვენი მადლიერების დაფიქსირება.

პირველ რიგში დიდ მადლობას ვუხდით კვლევის დაფინანსებისათვის საქართველოს გაეროს ასოციაციას, რომელმაც საშუალება მოგვცა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში კვლევა განგვეხორციელებინა. ასევე დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ორგანიზაციის თანამშრომლებს, ელენე ჯაჯანიძეს, ქეთევან ჯაჭვაძეს, თამარ ანთაძეს და მარიამ ქართველიშვილს დაუღალავი შრომისათვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ სავსე სამუშაოებისა და მონაცემთა შეგროვებისათვის ცირა ნიკოლაშვილს, მარიამ პაიჭაძეს, მარინე გოგნელაშვილს, თამარ კიკვაძეს და ნათია დონდუაშვილს. დიდი მადლობა კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამების ხელმძღვანელებს, ბატონ კახა გაბუნias, ქალბატონ თინათინ კილურაძეს, ქალბატონ მაკა ბერიძეს და ქალბატონ ნათელა მელიქიძეს, პროგრამაში ჩართულ პედაგოგებს, პროგრამის ახლანდელ და ყოფილ სტუდენტებს გულწრფელი პასუხებისა და საინტერესო მოსაზრებების გაზიარებისთვის, დროის გამონახვისა და პროფესიული თანამშრომლობისათვის,

და ბოლოს, იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში წარმოჩენილი საკითხები არ დარჩება განათლების პოლიტიკის მესვეურთა, უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ყურადღების მიღმა. გვჯერა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობას აამაღლებს და საბოლოო მიზანთან - ეროვნულ ინტეგრაციასთან მიგვაახლოვებს.

შესავალი

თანაბარი შესაძლებლობების შექმნა უმაღლესი განათლების მისაღებად არის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი. 21-ე საუკუნეში ეს საკითხი უფრო მეტად აქტუალური გახდა. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლები და განათლების პოლიტიკის გამტარებლები სხვადასხვა სახელმწიფოში ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. როგორც გუფთა აღნიშნავს (გუფთა, 2006), ელიტარულიდან მასობრივ უმაღლეს განათლებაზე გადასვლის პირობებში უმაღლესმა სასწავლებლებმა, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყონ სწავლების ხარისხი, ხოლო მეორე მხრივ, უმაღლესი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და თანასწორობა. საშეღავათო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს უმცირესობებისთვის შეღავათიანი პირობების შექმნას მისაღებ გამოცდებზე, არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი თანასწორობის მისაღწევად უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა ეს პოლიტიკა მძაფრი დებატების მიზეზიც გახდა განათლების პოლიტიკის სფეროში (შმიდტი, 2001). უმცირესობებისთვის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შეღავათიანი სისტემა არაერთ სახელმწიფოში მოქმედებს. ლეჰმიულერი და გრეგორი (2003) გვთავაზობენ გოლმანის მიერ ჩამოყალიბებული საშეღავათო პოლიტიკის ოთხ ტიპს:

წარსულზე ორიენტირებული: იგი აღიარებს უმცირესობათა მიმართ წარსულში არსებულ დისკრიმინაციას და გვთავაზობს შეღავათიან პირობებს მისაღები გამოცდებისას, რათა ნაწილობრივ მაინც აღმოიფხვრას წარსული დისკრიმინაცია;

მომავალზე ორიენტირებული: ერთი მხრივ, იგი აღიარებს წარსულ დისკრიმინაციას, თუმცა, მეორე მხრივ, აცხადებს, რომ მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია როგორც უმცირესობებისთვის, ასევე უმრავლესობისთვის და სწორედ მრავალფეროვნების შესაქმნელად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხელს უწყობს უმცირესობათა წარმომადგენლების შეღავათიან პირობებში ჩარიცხვას;

სუსტი უკუდისკრიმინაცია: იგი პრივილეგიას ანიჭებს იმ უმცირესობის წარმომადგენელ კანდიდატებს, რომლებიც კვალიფიკაციის თვალსაზრისით არ განსხვავდებიან უმრავლესობის კანდიდატებისგან;

ძლიერი უკუდისკრიმინაცია: ამ შემთხვევაში უმცირესობის წარმომადგენელ აბიტურიენტს ენიჭება უპირატესობა მაშინაც კი, თუ მისი კვალიფიკაცია ნაკლებია უმრავლესობის ჯგუფის აბიტურიენტის კვალიფიკაციაზე (იხ. ლეჰმიულერი და გრეგორი, 2003). საქართველოშიც ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის შექმნის მიზნით საშეღავათო პოლიტიკის სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობა უმნიშვნელოვანესია საქართველოს კონტექსტში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ხორცშესახებლად.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ საქართველოს გაეროს ასოციაციის “ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში” პროექტის ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებისთვის მისაღებ გამოცდებზე შემოღებული კვოტირების სისტემის ეფექტურობის შეფასებას საქართველოში.

დოკუმენტის პირველი ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას არსებულ საშეღავათო პოლიტიკას;

მეორე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია;

მესამე თავი აღწერს, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება აბიტურიენტთა რეკრუტირება და რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა საშეღავათო პოლიტიკის შესახებ;

მეოთხე თავში განხილულია საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მეხუთე თავი წარმოადგენს ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შეფასებას სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისთვის მომზადების თვალსაზრისით.

მეექვსე თავი აღწერს ქართული ენის ერთწლიანი პროგრამას დაგეგმვის, განხორციელების, ინფრასტრუქტურის, სასწავლო და სტუდენტური გარემოს შექმნის ეფექტურობის თვალსაზრისით.

მეშვიდე თავში განხილულია საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები და საკითხები;

ბოლო, მერვე თავში წარმოდგენილია რეკომენდაციები საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა მიმართულებით.

თავი I.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას არსებული საშეღავათო პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში

2005 წლის რეფორმამდე მისაღები გამოცდების ადმინისტრირებას მთლიანად უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებდნენ; 2005 წლიდან შემუშავდა სტანდარტული და უნარ-ჩვევების ტესტირებაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი სისტემა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2004 წელს წარმოდგენილი საგანმანათლებლო რეფორმა მიზნად ისახავდა ყველა აბიტურიენტისათვის თანაბარი პირობების შექმნას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში, რომლის მიხედვითაც ყველა აბიტურიენტი ვალდებული გახდა ჩაებარებინა სამი აუცილებელი ტესტი: **ქართულ ენაში, ზოგად უნარ-ჩვევებში** (ქართულ ან რუსულ ენაზე) და **უცხო ენაში**. რეფორმის პირველი წელი საკმაოდ ნეგატიური აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობებისთვის. მაგალითად, 2005 წელს ახალქალაქიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ 2 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ნინოწმინდიდან – 1 და მარნეულიდან – 17. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო ერთიან ეროვნულ გამოცდების სისტემის შემოღებამდე არსებულ მაჩვენებელზე.

საქართველომ ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველივე წლიდან დაიწყო „საშეღავათო პოლიტიკის“ განხორციელება ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებთან მიმართებით, თუმცა 2005-2010 წლებში მუდმივად იცვლებოდა ამ პოლიტიკის ფორმები, მეთოდები და მიდგომები.

საშეღავათო პოლიტიკა უმაღლესი განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43.1 მუხლი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას უნივერსიტეტიდან ან ფინანსურ და მატერიალურ დახმარებებს სხვა წყაროებიდან. ხელისუფლება ფინანსურად გაჭირვებული სტუდენტებისათვის სოციალურ პროგრამებს ახორციელებს განსაკუთრებულ შემთხვევებში (მუხლი 6.1.გ და 52.8). სოციალური პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული იყო 2005-2009 წლებში არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა დაფინანსებაც. სახელმწიფო 15 სტუდენტს აფინანსებდა ქვემო ქართლიდან, 15-ს – ჯავახეთიდან და 10-ს – თბილისიდან. სოციალური პროგრამის ფარგლებში არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების დაფინანსების პრაქტიკა დღემდე ხორციელდება.

2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ნეგატიური ეფექტების შესამცირებლად განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გარკვეულწილად შეცვალა „საშეღავათო

პოლიტიკის“ ფორმები და დაფინანსების გარდა საშეღავათო პოლიტიკის სხვა ელემენტებიც შესთავაზა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებს. კერძოდ, 2006 წელს ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და აბიტურიენტებს მიეცათ უფლება, ზოგადი უნარების ტესტი, უცხო ენებისა და არჩევითი საგნების ტესტირება რუსულ ენაზე გაეწეოთ. საშეღავათო პოლიტიკის ნაწილი იყო აგრეთვე 2006 წლიდან მოსამზადებელი კურსების ორგანიზება ნინოწმინდისა და ახალქალაქის ენის სახლებში ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამონაწილეობით (ტაბატაძე, 2009).

2006 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ქვემო ქართლიდან 25 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ხოლო ჯავახეთიდან ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 31-მდე გაიზარდა. თუმცა 2007 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობამ კვლავ იკლო, რაც ძირითადად განპირობებული იყო ახალქალაქში თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალისთვის აკრედიტაციის გაუქმებით. დღის წესრიგში დადგა საშეღავათო პოლიტიკის უფრო ეფექტური მექანიზმების ამუშავება. (ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო-კონვენციის შესრულების ანგარიში, 2006).

2008 წლიდან განათლების და მეცნიერების სამინისტრო უფრო მკვეთრ ნაბიჯებზე წავიდა, რათა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა ხელშეწყობა მომხდარიყო. კერძოდ, ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცათ უფლება, ზოგადი უნარების გამოცდა ჩაებარებინათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ამასთანავე, მათთვის აქტიურად გაგრძელდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი შესაბამისი პროგრამა, რომელსაც უკვე უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებდა სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში. მნიშვნელოვანი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ახალქალაქის კოლეჯის დაფუძნება და აკრედიტაცია. 2008 წელს, ზოგადი განათლების რეფორმიდან გამომდინარე, ქართულენოვან სკოლებს არ ჰყავდათ კურსდამთავრებულები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შანსები. ზემოთ მითითებული კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობამ გაზარდა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე 2008 წელს დარეგისტრირებულ და ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა. მაგალითად, სომხურ ენაზე უნარების ტესტირება გაიარა 113 აბიტურიენტმა და აქედან 46 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი (40,7%), ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ტესტი ჩააბარა 250 აბიტურიენტმა, თუმცა მათგან მხოლოდ 29 გახდა სტუდენტი (11,6%). სტატისტიკური მონაცემებითაც ნათელია, რომ უნარების ტესტების მშობლიურ ენაზე ჩაბარების პოლიტიკამ გაზარდა ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ჩამბარებელთა რაოდენობაც და ჩარიცხულთა რაოდენობაც (განსაკუთრებით სომხურენოვანი აბიტურიენტების). 2009 წელს არაქართულენოვან სკოლებს კურსდამთავრებულები არ ჰყოლიათ, შესაბამისად, აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდათ ორი წლის განმავლობაში უკეთესად მომზადებულიყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, 2005 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად საშეღავათო პოლიტიკის სხვადასხვა ფორმებსა და მექანიზმებს მიმართავდა, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო, თუმცა ეს ვერ აღმოჩნდა გარდამტეხი ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისა და მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მკვეთრად გასაზრდელად. 2005-2009 წლის ერთიან ეროვნული გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გათვალისწინებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა საშეღავათო პოლიტიკის ყველაზე რადიკალური ფორმისთვის, კვოტირების სისტემის შემოღებისთვის მიემართა. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად დადგინდა სტუდენტთა კვოტა, რომლებიც გაივლიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას; განისაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მხოლოდ ზოგად უნარებში მათ მშობლიურ ენაზე ტესტირების საფუძველზე) სტუდენტთა ჩასარიცხად აცხადებს ვაკანსიებს - ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5-5%-ის ოდენობით სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი და 1-1%-ს ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის (მუხლი 52.5¹). ამასთანავე, შესაბამის წელს დარეგისტრირებულ და ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოტივირებული გადაწყვეტილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია პროცენტული გადანაწილების შეცვლა მათი ჯამის ფარგლებში.

აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების ჩარიცხვის აღნიშნული წესი ძალაში შევიდა 2012-13 სასწავლო წლის დასაწყისიდან (მუხლი 90.2³). ამ ცვლილებებით დადგენილი ეროვნული უმცირესობების წევრი სტუდენტების სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიღების სისტემა იმოქმედებს 2018-19 სასწავლო წლის ჩათვლით (მუხლი 90.2⁵).

ამასთან, დადგინდა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ სტუდენტთა ადგილების ზემოაღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი არ შედის აკადემიური უმაღლესი და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობაში.

ახალი ინიციატივის მიხედვით, შემოვიდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუხლი 52.5), რომლითაც ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანული, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის მიერ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) შეძენა ქართულ ენაში იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის,

დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შექმნას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანული, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ვალდებული არიან ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაზე და დააგროვონ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა...

საქართველოს ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ვალდებულია განახორციელოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე იმ სტუდენტთა მიღება, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ცვლილებებით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება, დაადგინოს სახელმწიფო სასწავლო გრანტის დაფინანსების მოცულობა და ოდენობა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მუხლი 6.1.გ²).

ქართულ ენაში მომზადების ერთნაირი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს სწავლის გაგრძელების უფლება ეძლევა ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით მხოლოდ ქართულ ენაზე. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი (მუხლი 473.2) და მისი სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემა ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იყო 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე გაეწყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის ჩატარებამდე ანუ 2012-2013 სასწავლო წლამდე, აკრედიტებული ან ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ჩაითვალა აკრედიტებულად.

2010 წლის კვლევების სისტემის შემოღების შემდეგ არსებული სიტუაცია

2010-2013 წლების მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზი გვაჩვენებს, რომ კვლევების სისტემით მოსარგებლე აბიტურიენტებში საკმაოდ მაღალი ზოგადი უნარის ტესტში ჩაჭრილთა რაოდენობა. ზოგადი უნარების ტესტებში ჩაჭრილ აბიტურიენტთა პროცენტმა 2010-2013 წლებში — 27,8%-ი შეადგინა. ჩაჭრილ აბიტურიენტთა მაღალი მაჩვენებელი უსვამს ხაზს ზოგადი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ იხილეთ ცხრილი, სადაც წარმოდგენილია წლების მიხედვით ჩაჭრილი აბიტურიენტების რაოდენობა და მისი შეფარდება გამოცდაზე გასულთა რაოდენობასთან.

ცხრილი #1 - 2010-2013 წლები რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის საერთო სტატისტიკა

წელი	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ხლვარი ზოგად უნარებში	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %
2010	588	491	331	160	32.587
2011	574	517	394	123	23.791
2012	869	803	614	189	23.537
2013	1460	1332	928	404	30.33
სულ:	3491	3143	2267	876	27.871

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი


სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ზოგადი უნარების გამოცდების შედეგები და მათი შედარება ქართულენოვანი და რუსულენოვანი აბიტურიენტების შედეგებთან ასევე კარგ სურათს იძლევა ანალიზისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი უნარების გამოცდა ტარდება აბიტურიენტთა მშობლიურ ენაზე, მათი საერთო შეფასებები გაცილებით დაბალია ქართულენოვან და რუსულენოვან აბიტურიენტთა შეფასებებზე, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათელს ხდის ამ თვალსაზრისით არსებულ პრობლემატიკას:

ცხრილი #2- საშუალო ქულა წლების მიხედვით

გამოცდა	2010	2011	2012	2013
ზოგადი უნარები ყველა	37.00	37.58	37.30	37.29
ზოგადი უნარები (ქართული)	37.15	37.75	37.52	37.64
ზოგადი უნარები (რუსული)	38.28	39.00	39.43	40.40
ზოგადი უნარები (აზერბაიჯანული)	23.85	26.88	26.68	25.02
ზოგადი უნარები (სომხური)	25.20	26.62	26.94	28.39

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი

დიაგრამა #1- საშუალო ქულა წლების მიხედვით



თავი II.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავდა უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისთვის 2010 წლიდან შემოღებული საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობის შესწავლას, კონკრეტულად კი კვლევის შედეგად მივიღებდით ამომწურავ ინფორმაციას საშეღავათო პოლიტიკის შემადგენელი შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- (ა) რამდენად ეფექტურად ხორციელდება აბიტურიენტთა რეკრუტირება და რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა საშეღავათო პოლიტიკის შესახებ;
- (ბ) რამდენად ეფექტურია საშეღავათო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- (გ) რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ქართული ენის ერთწლიანი პროგრამა სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისთვის ეფექტურად მომზადებისათვის;
- (დ) როგორია ქართული ენის ერთწლიანი პროგრამები დაგეგმვის, განხორციელების, ინფრასტრუქტურის, სასწავლო და სტუდენტური გარემოს თვალსაზრისით;
- (ე) რა არის ის კონკრეტული პრობლემები და საკითხები, რომლებსაც აწყდებიან ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტები, ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის სტუდენტები თუ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები საშეღავათო პოლიტიკის განხორციელების პერიოდში.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევამ მოიცვა მისაღებ გამოცდებზე საშეღავათო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართული და დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, კვლევის ფოკუსად შეირჩა საქართველოს 4 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა განსაკუთრებით ინტენსიურად ხორციელდება. ეს უნივერსიტეტებია:

- (1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- (2) ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- (3) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახალქალაქის კოლეჯი;
- (4) ილიას უნივერსიტეტი.

სამიზნე ჯგუფს აღნიშნული უნივერსიტეტის ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის სტუდენტები, პედაგოგები, აგრეთვე, უკვე საბაკალავრო პროგრამაზე მყოფი სტუდენტები წარმოადგენდნენ.

კვლევის გეოგრაფიული არეალი:

რეგიონების გადანაწილების თვალსაზრისით კვლევა განხორციელდა თბილისში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები

კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს კვლევის რაოდენობრივ, თვისებრივ და სტატისტიკურ მეთოდებს; კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- 1. სამაგიდე კვლევა:** მოიცავდა სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების ანალიზს. კვლევის ფარგლებში განხორციელდა მიზნობრივი უნივერსიტეტების ბაზაზე მოქმედი ქართული ენის პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე მასალების შესწავლა. დამხმარე მასალებად შეირჩა როგორც საკითხავი, ასევე ვიზუალური და აუდიომასალები, ასევე პროგრამის სასწავლო გეგმა, სილაბუსები და მათი გადანაწილება. ანალიზი განხორციელდა ენის მიზნობრივი პროგრამის განმარტებულ ოთხივე უმაღლეს სასწავლებელში. სამაგიდე კვლევის ფარგლებში დამუშავდა და გაანალიზდა გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრისა და აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მონოდეტული სტატისტიკური ინფორმაციაც.
- 2. გამოკითხვა კითხვარების საშუალებით:** ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტების გამოსაკითხად შემუშავდა სტანდარტიზებული კითხვარები, რამაც საშუალება მოგვცა, გაგვერკვია ის ტენდენციები და მიმართულებები, რომლებიც თითოეულ საუნივერსიტეტო პროგრამას გააჩნია.

გამოკითხვაში მონაწილეთა შერჩევის პრინციპები:

კითხვარით სტუდენტების გამოკითხვაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების- ახალქალაქის კოლეჯის (ახალციხისა და ახალქალაქის უნივერსიტეტების გაერთიანებით ამჟამად შექმნილი სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც გააჩნია, როგორც ახალციხის, აგრეთვე ახალქალაქის კორპუსები) ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის სტუდენტები.

2012-2013 წლის მოსამზადებელ პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა აღნიშნულ უნივერსიტეტებში შეადგენდა 353-ს (314-ს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 39-ს - სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში). შესაბამისად, თავდაპირველი კვლევის სამიზნე სეგმენტი 353 სტუდენტი იყო; კვლევის პერიოდში გამოვლინდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც 2012-2013 წელს გაიარეს ერთწლიანი პროგრამა და გადავიდნენ საბაკალავრო საფეხურზე, შეადგენდა 259-ს. შესაბამისად, გამოკითხვაში მონაწილეთა ერთობლიობა კვლევის ეტაპზე შეადგენდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - 259 სტუდენტს, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის ახალციხის კორპუსში - 26 სტუდენტს, ხოლო

ახალქალაქის კორპუსში - 13 სტუდენტს. სულ სამიზნე სტუდენტთა ერთობლიობა შეადგენდა 298 სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზება მიიღო ყველა სტუდენტმა. 298 სტუდენტიდან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა 210-მა სტუდენტმა, რაც გენერალური ერთობლიობის 70 %-ს შეადგენს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 259 სტუდენტიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 185-მა სტუდენტმა (71,42%), ხოლო სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის 39 სტუდენტიდან 25-მა (64,1%). გამოკითხვაში მონაწილეთა მაღალი მაჩვენებელი და შედეგები განზოგადების საშუალებას იძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტებთან მიმართებით. ამასთან, მიღებული შედეგების დამუშავება მოხდა ცალ-ცალკეც: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის.

გამოკითხვაში მონაწილეთა შერჩევის შედეგად სამიზნე ჯგუფის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა.

ცხრილი #3 - გამოკითხვაში მონაწილეთა გადანაწილება

თბილისის ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი		ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი		ჯალი	მამაკაცი
185		25		210	
ჯალი 73	მამაკაცი 112	ჯალი 17	მამაკაცი 8	90	120
39.4%	60.6%	68%	32%	42.8%	57.2%

3. დისკუსიები ფოკუსჯგუფებში: ფოკუსჯგუფების ჩატარება მიზანშეწონილად მიიჩნა პროგრამის მხარეების განსხვავებული მოსაზრებების შეჯერებისათვის. შესაბამისად, ფოკუსჯგუფები დაიგეგმა ქართული ენის პროგრამის კურსდამთავრებულებთან, პირველი და მეორე კურსის ბაკალავრებთან, რამაც საშუალება მოგვცა დინამიკაში დაგვენახა პროგრამის მახასიათებლები. ფოკუსჯგუფების დისკუსია ასევე იქნა გამოყენებული პროგრამის ლექტორებთანაც, რაც პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, პერსპექტივებისა და საფრთხეების დანახვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენდა. ამასთან, პედაგოგების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების გარდა ფოკუსჯგუფის საშუალებით მდიდარი ინფორმაცია წარმოჩინდა ჩართული პედაგოგების იდეებისა და ხედვების თანხვედრის, კოორდინაციისა და ანალიზის კუთხით. ფოკუსჯგუფები ასევე ჩატარდა არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებთან ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, რაც მოიაზრებდა პროგრამის ღიაობისა და ხელმისაწვდომობის ანალიზს,

მოსწავლეების აღქმული მოლოდინის შესწავლას. ფოკუსჯგუფის საშუალებით ნათელი გახდა, თუ როგორ აფასებენ მოსწავლეები საკუთარ პოტენციალს, მოტივაციას და რამდენად რელევანტურია მათი მოლოდინი პროგრამის ამოცანებისა და შედეგების მიმართ.

ფოკუსჯგუფების საერთო რაოდენობა:

- 4 ფოკუსჯგუფი სამიზნე უნივერსიტეტების ქართული ენის პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
- 4 ფოკუსჯგუფი სამიზნე უნივერსიტეტების ქართული ენის პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პედაგოგიურ კოლექტივთან;
- 4 ფოკუსჯგუფი ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების სკოლების მეთორმეტეკლასელებთან.

4. პირისპირი ინტერვიუები: პირისპირი, ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ხელმძღვანელებთან, რათა შესწავლილიყო პროგრამის ადმინისტრირებასთან, სასწავლო და დამხმარე რესურსებთან, პედაგოგიურ რესურსსა და გარემოსთან დაკავშირებული სპეციფიკური მახასიათებლები თითოეული პროგრამისათვის, ხელმძღვანელების ხედვა სამომავლო გეგმებთან და პროგრამის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით.

პირისპირი ინტერვიუების საერთო რაოდენობა:

სულ განხორციელდა 4 პირისპირი ინტერვიუ ოთხივე სამიზნე უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელთან.

საველე სამუშაოები:

მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში მოხდა კითხვარის პილოტირება თბილისისა და ახალციხის სტუდენტებს შორის. კითხვარის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა მისი საბოლოო ვერსია. საველე სამუშაოები განხორციელდა 3 კვირის განმავლობაში. ამ პერიოდში სტუდენტების კითხვარის რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა და დახარისხდა.

საველე სამუშაოების მეორე ეტაპზე დაიგეგმა და ჩატარდა ფოკუსჯგუფები და პირისპირი ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიცვალა პირისპირი ინტერვიუების თავდაპირველი გეგმა მინისტრის 2 მოადგილესთან (მინისტრთა კაბინეტის ცვლილების გამო). ახალ მინისტრის მოადგილეებთან არარელევანტურად იქნა მიჩნეული კვლევის საკითხების განხილვა იმის გათვალისწინებით, რომ მათ არ ექნებოდათ საკმარისი ინფორმაცია საკვლევ საკითხებზე.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

კვლევის მიზნიდან და საპილოტე კითხვარებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გადნყდა, რომ გარდა აღწერიითი ანალიზისა, საჭირო იქნებოდა t-ტესტისა და პარამეტრული სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენება, რომელიც კროსტაბულარებით სხვადასხვა პარამეტრის შედარების ჭრილში მონაცემთა დანახვის საშუალებას მოგვცემდა. რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის საშუალებით. თვისებრივი მონაცემების ტრანსფორმირება მოხდა ტრანსკრიპტების საშუალებით, რომელთა საფუძვლიანი გაანალიზებისათვის სპეციალური აპლიკაცია „ატლასი“ იქნა გამოყენებული.

თავი III.

აბიტურიენტთა რეკრუტირება და მოსახლეობის ინფორმირებულობა საშუალო პოლიტიკის შესახებ

2010-2013 წლებში 31-მა უმაღლესმა სასწავლებელმა განახორციელა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში აბიტურიენტების მიღება. ერთწლიან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები უნივერსიტეტების მიხედვით შემდეგნაირად არიან გადანაწილებული:

ცხრილი # 4 -ჩარიცხული სტუდენტების გადანაწილება უნივერსიტეტებს შორის 2010-2013

უნივერსიტეტი	2010	%	2011	%	2012	%	2013	%	სულ:	%
1. თსუ	177	56.5	305	69,5	368	62,4	338	37,7	1188	53%
2. სტუ	25	8	31	7,1	31	5,2	182	20,3	269	12,01%
3. თეატრისა და კინოს უნი.	1	0.3			2	0,3	1	0,1	4	0,17%
4. აგრარული	5	1.6	1	0,2					6	0,26%
5. სამედიცინო	20	6.4	40	9,1	50	8.5	67	7,5	177	7,9%
6. ქუთაისი წერეთელის სახ.	1	0.3			3	0,5	4	0,4	8	0,35%
7. ილიას უნივერსიტეტი	7	2.2	6	1,4	58	9.8	216	24,1	287	12,8%
8. სოხუმის სახ. უნი.	10	3.2	4	0,9	18	3,0	22	2,4	54	2,41%
9. ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი	24	7.7	27	6,1	26	4,4	34	3,76	111	4,95
10. სდასუ	0	0	0	0	1	0,2			1	0,04%
11. თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის	1	0.3							1	0.04%
12. ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტი	12	3.8							12	0.53%
13. შავი ზღვა	5	1.6					2	0,2	7	0,31%
14. თელავი	2	0.6	2	0.4	5	0,8%	6	0,7	15	0,66%
15. საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი	3	0.9							3	0,13%

16. ახალქალაქის კოლეჯი	7	2.2	16	3,6	13	2,2%	11	1,25	47	2,19
17. „ჰიპოკრატე“	1	0.3					1	0,1	2	0,08
18. სამხატვრო აკადემია	1	0.3			4	0,7%	1	0,1	6	0,26%
19. ბათუმის უნივერსიტეტი	4	1.3	1	0,2	2	0,3%			7	0,31%
20. საქართველოს უნივერსიტეტი	5	1.6			1	0,2%			6	0,26%
21. გორის უნივერსიტეტი	1	0.3							1	0,04%
22. რუსთავის ევროპის საერთაშორისო უნივერსიტეტი	1	0.3							1	0,04%
23. სეუ			1	0,2					1	0,04%
24. გორის თავდაცვის აკადემია			2	0,4	5	0,8%	5	0,5	12	0,53%
25. პანაცეა			1	0,2					1	0,04%
26. გეორგია			2	0,4					2	0,08%
27. რვალი	0	0	0	0	1	0,2%			1	0,04%
28. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი					2	0,3%			2	0,08%
29. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი							5	0,5	5	0,22%
30. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი							1	0,1	1	0,04%
31. აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი							1	0,1	1	0,04%
სულ:	313	100%	439	100%	590	100%	897	100%	2239	100 %

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი

როგორც ცხრილიდან ჩანს, სტუდენტების უმრავლესობა სწავლობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (53%), ილიას უნივერსიტეტში -12,8%, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში - 12, 01%, სამედიცინო უნივერსიტეტში - 7,9%, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში - 7,14 %, სოხუმის უნივერსიტეტში - 2,41 %.

თვალნათელია და აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან, კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მკვეთრად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტების, ასევე ჩარიცხულთა რაოდენობა. ეს კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ სტატისტიკაში:

ცხრილი #5- ჩარიცხულ სტუდენტთა და ათვისებული კვოტების რაოდენობა

წელი	კვოტირებული ადგილების რაოდენობა	ჩარიცხულთა რაოდენობა	ათვისებული კვოტების %
2010	2602	301	11,56%
2011	2100	431	20,52 %
2012	2242	584	26.04%
2013	3900	928	23.79%

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი

წარმოდგენილი სტატისტიკიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ ჩარიცხულთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია კვოტირებული ადგილების რაოდენობაზე და მნიშვნელოვანია მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით.

საინტერესო ტენდენციის დანახვაა შესაძლებელი სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლისა და გამოცდების ჩაბარების თვალსაზრისითაც.

ცხრილი # 6. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის და გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა (2010-2013 წწ)

წელი	სომხურენოვანი აბიტურიენტები			აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები		
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში
2010	253	188	137	335	303	194
2011	254	216	172	320	301	222
2012	290	262	207	579	541	407
2013	271	249	191	1189	1083	737
სულ:	1068	915	707	2423	2228	1560

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი

წარმოდგენილი ცხრილი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საშუალო პოლიტიკის ეფექტურობაზე და იძლევა ანალიზის საშუალებას. 2010-2013 წლებში მკვეთრად გაიზარდა აზერბაიჯანულენოვან დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა და შემდგომ ჩარიცხულთა რაოდენობა და ეს მაჩვენებელი სულ მცირე გასამმაგდა (დარეგისტრირებულთა რაოდენობა 2010 წელს შეადგენდა 335-ს, ხოლო 2013 წელს უკვე 1083-ს; ჩარიცხულთა რაოდენობა 2010 წელს შეადგენდა 194-ს, ხოლო 2013 წელს - 737-ს). რაც შეეხება სომხურენოვანი აბიტურიენტების რაოდენობას, ამ მხრივ, ფაქტობრივად, პროგრესი არ შეიმჩნევა (2010 წელს დარეგისტრირდა 253, 2013 წელს - 271 აბიტურიენტი). სომხურენოვანი აბიტურიენტების სტატისტიკა დამატებითი ღონისძიებების საჭიროებაზე მიუთითებს ამ მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებით.

ამასთანავე, საინტერესოა სტატისტიკა ჩარიცხვის შემდგომ სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით. თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემებს ავიღებთ, 2010-2013 წლებში ჩარიცხულ სტუდენტთა 14,99 %-მა არ გააგრძელა სწავლა ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე, ხოლო თუ გამოცდების შედეგად ჩარიცხულთა და ბაკალავრიატში სწავლის გამგრძელებელთა შეფარდებას ავიღებთ, 24,4 % სტუდენტებისა, რომლებიც ჩარიცხნენ გამოცდების შედეგად, სწავლას არ აგრძელებენ ბაკალავრიატში. ცალკე საკითხია საბაკალავრო დონეზე მათ მიერ უნივერსიტეტის მიტოვების მაჩვენებელი (საბოლოო სურათი, ცხადია, საბაკალავრო კურსის დასრულებისას იქნება გამოკვეთილი).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ამ მიმართულებით:

ცხრილი #7 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და ერთწლიანი ქართული ენის პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი


	ჩარიცხვა გამოცდის შედეგად გამოცდების ცენტრის მონაცემებით	სწავლა გააგრძელა ერთწლიან პროგრამაზე უნივერსიტეტში ჩარიცხვასთან ერთად	სწავლა გააგრძელა ბაკალავრიატში	გამოცდების შედეგად და ბრძანებით ჩარიცხულ სტუდენტთა % -ის მაჩვენებელი	გამოცდების შედეგად და ბაკალავრიატში სწავლის გამგრძელებელთა %
2010-11	177 სტ.	156 სტ.	155	88,1 %	87,5%
2011-12	262 სტ.	256 სტ.	233	97,7 %	88,9 %
2012-13	415 სტ.	314 სტ.	259	75,6 %	62,4 %
სულ:	854	726	647	85,01%	75,7%

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია

კვლევის ფარგლებში სტუდენტთა ინფორმირებულობა და რეკრუტირების საკითხი გამოკვლეულ იქნა როგორც მეთორმეტეკლასელების, ისე ერთნობიანი პროგრამის სტუდენტების ფოკუსჯგუფებთან, ასევე ერთნობიანი პროგრამის სტუდენტების კითხვარის მეშვეობით. ჩატარებულმა სამუშაოებმა რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოავლინა:


1) საშელავათო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეების **54,8%** იღებს ქართული ენის მასწავლებლებისგან, სხვა მასწავლებლისგან ან სკოლის დირექტორისგან, **31,5 %** - მეგობრისგან/ნათესავისგან/თანასოფლელისგან (ვინც ამ პროგრამაზე სწავლობს). პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ნაკლებად ხდება ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურებისა (ადგილობრივი რესურსცენტრები, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გამოცდებისა და შეფასების ცენტრი, რეინტეგრაციის სამინისტრო) თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან; მათგან მხოლოდ **7,1 %**-ია ინფორმირებული.

დიაგრამა #2 - საშელავათო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წყაროები



ინფორმაციის მიღება რეგიონულ ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა #3 - საშელავათო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წყაროები რეგიონალურ ჭრილში



ინფორმაციის მიღების წყაროები მეტ-ნაკლებად ლოგიკურია და გასაგებია, რომ იგი ძირითადად ვრცელდება სკოლისა და თემის დონეზე. ეს ტენდენცია უცვლელია როგორც რეგიონებში, ასევე თბილისში, თუმცა გარკვეულ პრობლემებს ინვესტს სახელმწიფო სტრუქტურების პასიურობა ამ მიმართულებით (ინფორმაციის მიწოდების ხარისხთან დაკავშირებით). ფოკუსჯგუფებში ჩატარებულმა შეხვედრებმა დაადასტურა არაერთგვაროვანი და ხშირად მცდარი ინფორმაციები საშელავათო პოლიტიკის რეალური მიზნების, პროცედურების, ვადებისა და შესაძლებლობების შესახებ, ამთვალსაზრისით საინტერესოა მეთორმეტეკლასელთა ინფორმირებულობა „საშელავათო პოლიტიკის“ შესახებ. ნინონმინდის მეთორმეტეკლასელთა ფოკუსჯგუფში რამდენიმე სერიოზულად მცდარი ინფორმაცია გამოვლინდა:

- „სკოლაში 4 გამოცდა ბარდება შემოდგომაზე, მერე 4 გამოცდა გაზაფხულზე და ამ ქულებით აბარებ უმაღლეს სასწავლებელში“;
- „მე გამიგია საატესტატო ქულებით აბარებ უნივერსიტეტში“.

ამავე ფოკუსჯგუფში დაფიქსირდა აგრეთვე მცდარი ინფორმაცია სწავლის დაფინანსებისა და გრანტის მოპოვების თაობაზე:

- „31 ქულაზე ზევით უფასოზე მოხვდებით“.

როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია ეფუძნება პრაქტიკას, რომ, როგორც წესი, 31-ზე მეტი ქულის მქონე აბიტურიენტები იღებენ დაფინანსებას და არ არსებობს რეალური ინფორმაცია დაფინანსების მოპოვების პირობების შესახებ.

არაინფორმირებულობის გამო ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას, რომ სწავლა არ გააგრძელონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში. იმავე ნინოშინდის ფოკუსჯგუფის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ ძირითადად ქართული ენის არცოდნის გამო გადაწყვიტეს სომხეთში ჩაბარება, რადგან ამჟამინდელი ქართულის ცოდნით კონკრეტულ პროგრამებზე სწავლა გაუჭირდებოდათ:

– „საქართველოში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა გამიჭირდებოდა... მე არ ვიცოდი, რომ მხოლოდ მშობლიურ ენაზე გამოცდით შემეძლო ჩაბარება და მერე სწავლა“...

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საშეღავათო პოლიტიკის განხორციელებას პირდაპირ უკავშირებენ პიროვნულად საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს:

– „საერთოდ, მე როგორც ვიცი, ეს მიხეილ სააკაშვილის პროგრამაა“.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობა არ არის ინფორმირებული პოლიტიკის ხანგრძლივობის შესახებ და არსებობს მოლოდინი, რომ ის წელს დასრულდება:

– „მე ინფორმაცია მაქვს, რომ აღარ იქნება ეს პროგრამა წელს“...

– „ნამდვილად იქნება წელს ეს პროგრამა?“...

– „ამ წელს მთავრდებაო ეს პროგრამა, ესე გავიგეთ“.

როგორც ჩანს, ინფორმაცია საშეღავათო პოლიტიკის დასრულების შესახებ დაკავშირებულია პოლიტიკურ ფიგურასთან - მიხეილ სააკაშვილთან და, შესაბამისად, მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ წლევეანდელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა მიხეილ სააკაშვილი აღარ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, შეწყდება აღნიშნული პროგრამაც.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციები მივიღეთ ახალციხის ფოკუსჯგუფში შეხვედრაზე. როგორც აღმოჩნდა, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა რეკრუტირების პროცესში და აქტიურად ხვდება აბიტურიენტებს, რათა უზრუნველყოს მათი მოზიდვა. შესაბამისად, ახალციხის უნივერსიტეტი აღნიშნულ შეხვედრებზე ავრცელებს ინფორმაციას კვოტირების სისტემის შესახებაც და ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთათვის არსებულ შესაძლებლობებზე, თუმცა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აღნიშნული საქმიანობა, როგორ ჩანს, გარკვეული გაუგებრობის საფუძველი გახდა. კერძოდ, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში ფოკუსჯგუფში სტუდენტების ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია, რომ კვოტების სისტემით ჩაბარება მათ მხოლოდ ახალციხის უნივერსიტეტში შეეძლოთ და არა საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტებს ჰქონდათ აგრეთვე ინფორმაცია, თითქოს ქართული ენის პროგრამის გავლა შეეძლოთ ახალციხის უნივერსიტეტში, ხოლო საბაკალავრო პროგრამა უნდა აერჩიათ შემდგომ ნებისმიერი უნივერსიტეტიდან:

– „მე ვიცოდი, რომ შესაძლებელია ქართული ენის პროგრამა აირჩიო სხვა უნივერსიტეტში, ხოლო შემდგომ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა განაგრძო სხვა უნივერსიტეტში, მაგრამ ეს ესე არ მოხდა“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა წყაროს გამოყენებით ინფორმაცია კვთიერების სისტემის შესახებ ცნობილია მოსახლეობისთვის, თუმცა ეს ინფორმაცია ყოველთვის არ არის ზუსტი. ამის მიზეზია ან არსებული გამოცდილება, ან არასწორი ინტერპრეტაცია, უბრალოდ, არაადეკვატური აღქმა-გაგება. საშეღავათო პოლიტიკის შესახებ მწყობრი და დალაგებული, სრული და ამომწურავი ინფორმაცია მოსახლეობისთვის ჯერჯერობით მიუწვდომელია. ხშირად ინფორმაციის გამავრცელებლები (სკოლების ადმინისტრაცია, მასწავლებლები თუ თავად პროგრამაში მონაწილენი) ვერ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას საშეღავათო პოლიტიკისა და ერთნაირი პროგრამის შესახებ. სწორი ინფორმაცია კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, არჩევანის გასაკეთებლად.

თავი IV.

საშუალო პოლიტიკის ეფექტურობა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით

უმაღლეს სასწავლებელში ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა ზრდა მკვეთრად არის დაფიქსირებული 2010-2013 წლებში. უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისთვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით კვლევის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი წარმოჩინდა, კერძოდ:

1) 2013 წლის 24 ივნისის 79/ნ ბრძანებით **სახელმწიფო აფინანსებს** სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ 17 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. ეს ინიციატივა პრობლემატურად იქცა საშუალო პოლიტიკის შედეგად 2012 წელს ჩარიცხული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის. აღნიშნული სტუდენტები ვერ ახერხებდნენ პრიორიტეტულ პროგრამებზე ჩარიცხვას, რადგან არცერთ საკანონმდებლო აქტში არ ჩანდა მექანიზმი, რა პრინციპით მოხდებოდა მათი ჩარიცხვა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სასურველ საგანმანათლებლო პროგრამებზე. კერძოდ, 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად ამ სპეციალობებზე აბიტურიენტები ავსებენ კონკრეტული პროგრამებისთვის განკუთვნილ ადგილებს (მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პრიორიტეტულ პროგრამებზე 425 ადგილია გამოყოფილი, რასაც მაღალი კონკურსის შედეგად სრულად ავსებენ ქართულენოვანი აბიტურიენტები.... შესაბამისად, ერთნაირ პროგრამაში ჩართული სტუდენტებისთვის ეს სპეციალობები რჩებოდა მიუწვდომელი, რადგან არ არსებობდა და ამჟამადაც არ არსებობს არანაირი რეგულაცია, რომელიც მათ სასურველ ფაკულტეტზე მოხვედრას განაპირობებს სახელმწიფო გრანტის არსებობის შემთხვევაშიც კი. დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტებს მიეცათ ამ სტუდენტების აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება, თუმცა ამ სტუდენტებისთვის ეს პროგრამები, თუ გრანტი არ აქვთ მოპოვებული, არ არის უფასო და მათ მოუწევთ თანხის გადახდა იმაში, რაც უფასოა ქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის. აღნიშნული, ერთი მხრივ, ლახავს ამ სტუდენტების უფლებებს და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მათ და, მეორე მხრივ, არანაირად არ ეხმიანება სახელმწიფოს პოლიტიკას პრიორიტეტულ მიმართულებებზე სტუდენტების მოზიდვისა და ამ პროგრამების პოპულარიზაციის შესახებ;

2) 2013 წლის მისაღები გამოცდების შედეგად დაიშვა **მეორადი ჩარიცხვები** იმ აბიტურიენტებისთვის, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა ვერ მოხვდა მის მიერ არჩეულ უნივერსიტეტსა თუ ფაკულტეტზე. მათ მიეცათ შესაძლებლობა გაეკეთებინათ მეორადი არჩევანი და მეორადი ჩარიცხვის შედეგად გამხდარიყვნენ სტუდენტები. ანალოგიურად არ დადგა საკითხი არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც ზოგადი უნარების გამოცდების მინიმალური ზღვარი გადალახეს, თუმცა ვერ მოხვდნენ სასურველ უნივერსიტეტსა და

ფაკულტეტზე. მათ დღევანდელი მონაცემით არ ეძლევათ მეორადი ჩარიცხვის შესაძლებლობა. საკითხი განიხილვის პროცესშია და, იმედია, ეს ხარვეზი გასწორდება.

3) ფინანსური უზრუნველყოფა. სახელმწიფო გრანტი გამოიყოფა წელიწადში დაახლოებით 100 სომხურენოვანი და 100 აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტისთვის. დამატებით კომერციული ორგანიზაცია „სოკარი“ ყოველწლიურად ახორციელებს 100 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტის სწავლის დაფინანსებას. აღნიშნული ფაქტორი ხელს უწყობს აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების მკვეთრ მატებას ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. 17 პრიორიტეტულ მიმართულებაზე სახელმწიფო დაფინანსების გავრცელება საშელავათო პოლიტიკის შედეგად ჩარიცხულ აბიტურიენტებზე პოზიტიურად აისახება სომხურენოვანი აბიტურიენტების მოზიდვის ფაქტზეც, რასაც ადასტურებს კვლევის შედეგებიც, სადაც სტუდენტებიც და აბიტურიენტებიც ფინანსურ უზრუნველყოფას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებენ:

- „გრანტის აღება თბილისში ადვილია, ამიტომ გადავწვიტე საქართველოში ჩაბარება“;

- „თავიდან მინდოდა ერევანში ჩაბარება. როცა გავიგე ამის შესახებ, გადავწვიტე აქ ჩავაბარო. მინდოდა საქართველოში ჩაბარება. თუ ჩააბარებ კარგად გამოცდას, შეგიძლია უფასოდ ისწავლო“;

ზოგადად, სწავლის საქართველოში გაგრძელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტიმულატორი სწორედ ნაკლები ფინანსური დანახარჯები და გრანტის მიღების შესაძლებლობაა:

- „ჩაბარება უფრო ადვილია ერევანში და სწავლაც ადვილია. . . თბილისში გრანტის აღება შეგიძლია, იქ ძნელია...“;

- „ჩვენი ქალაქიდან არ არის არცერთი მოსწავლე, უფასოდ რომ სწავლობდეს იქ (ერევანში)“;

- „ძვირია სწავლა. .. პროდუქტები ძვირია (იგულისხმება ერევანში)“;

- „იქნება უფრო ძვირი ერევანში“;

- „ყველაფერი ძვირია“;

4) ტერიტორიული სიახლოვე და მოხერხებული მდებარეობა აგრეთვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც ფინანსური დანახარჯების შემცირების საკითხსაც უკავშირდება. დედაქალაქთან ქვემო ქართლის ტერიტორიული სიახლოვე ზრდის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მსურველ აზერბაიჯანულენოვანთა რაოდენობას. ამ მხრივ სომხურენოვანი აბიტურიენტები მნიშვნელოვან დაბრკოლებად ასახელებენ თბილისთან სიმორეს და თბილისში ნათესავების და ახლობლების არყოლას, რაც განაპირობებს ხშირად მათ არჩევანს სომხეთის უმაღლესი სასწავლებლების სასარგებლოდ:

- „სომხეთში მირჩენია, ნათესავები იქ მყავს და იქ მირჩენია“;

- „იქ (ერევანში) აწყობთ. ნათესაობა ჰყავთ და ადვილია“.

მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობის და სიახლოვის თვალსაზრისით არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება- ახალქალაქის კოლეჯი, მათ გარკვეული პრობლემები მაინც ექმნებათ, კერძოდ: (ა) ახალქალაქის კოლეჯში საშუალოდ პოლიტიკის ჩარიცხვის შედეგად მისაღები კონტინგენტის მცირე (მხოლოდ 11 სტუდენტი) რაოდენობა; (ბ) ამ უნივერსიტეტის დაბალი პრესტიჟი მოსახლეობაში (არადა, პრესტიჟულობა უნივერსიტეტის არჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია აბიტურიენტებისთვის; კვლევაში მონაწილე სტუდენტთა 54%-მა დაასახელა, რომ მათი არჩევანი სწორედ უნივერსიტეტის პრესტიჟულობამ განაპირობა). ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც აბიტურიენტთა მიერ უნივერსიტეტის არჩევანის განმარტობებელი ფაქტორებია მითითებული.

ცხრილი #8 -კონკრეტულ უნივერსიტეტში ჩაბარების განმარტობებელი ფაქტორები

რატომ გადწყვიტეთ თქვენს უნივერსიტეტში ჩაბარება?		
ეს უნივერსიტეტი ძალიან პრესტიჟულია	54	25.7%
ამ უნივერსიტეტში სწავლა ჩემთვის უფრო მოხერხებული იყო	24	11.4%
ამ უნივერსიტეტში სწავლა საბაკალავროზე მომავალში უფრო ადვილი იქნება	15	7.1%
ჩემი არჩევანი განაპირობა ამ უნივერსიტეტში არსებულმა საბაკალავრო პროგრამამ	14	6.7%
ამ უნივერსიტეტში ჩემმა ბევრმა მეგობარმა ჩააბარა	15	7.1%
მხოლოდ ამ უნივერსიტეტშია ის პროგრამა, სადაც მინდა სწავლა გავაგრძელო	51	24.3%
ამ უნივერსიტეტის ქართული ენის ერთწლიანი პროგრამა ყველაზე მარტივი დასაძლევია	24	11.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	5	2.4%
აზერბაიჯანულად /სომხურად ჩავაბარე და სხვა გზა არ მქონდა	1	0.5%
ბავშვობიდან მინდოდა აქ სწავლა	1	0.5%
გრანტის საშუალება იყო და ამიტომ	1	0.5%
სწავლის მაღალი ხარისხია	2	1%
მასწავლებელმა მირჩია	1	0.5%
აქ სწავლა ხელსაყრელია, რადგან უფასოდ ჩავაბარე	1	0.5%
უნივერსიტეტის გარეშე ძნელია სამსახურის შოვნა	1	0.5%
სულ	210	100

აქვე აღსანიშნავია, რომ ახალციხის და ახალქალაქის უნივერსიტეტების გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა 72%-მა (25-დან 18-მა სტუდენტმა) მიუთითა, რომ ამ უნივერსიტეტებზე არჩევანი იმიტომ გააკეთა, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლა მათთვის უფრო მოხერხებული იყო.

სტუდენტების მოსაზრებების ფონზე საინტერესოა ქართული ენის პროგრამის ხელმძღვანელების მოსაზრება ახალციხისა და ახალქალაქის უნივერსიტეტების როლზე სამედავითო პოლიტიკის განხორციელებისას. ისინი მიიჩნევენ, რომ გეოგრაფიული მდებარეობიდან და სოციალური გარემოდან გამომდინარე, სწორედ ეს უმაღლესი სასწავლებლები ფლობენ ბუნებრივ ეფექტურ ინსტრუმენტებს ეთნიკური უმცირესობების წარმატებული ინტეგრაციისათვის. მათ მიაჩნიათ, რომ რეალურად, დიდი შეცდომა მოხდა, რომ 2004 წლამდე არცერთ უმაღლესს არ მიეცა საშუალება ქართული ენის, და შესაბამისად, ინტეგრაციისკენ მიმართული პროგრამები დაენერგა და განეხორციელებინა; ამგვარი პროგრამების ადრევე დანერგვის შემთხვევაში, უნივერსიტეტებს საგანმანათლებლო რესურსებისა და მდიდარი გამოცდილების შექმნის საშუალება ბევრად ადრე მიეცემოდათ. როგორც სტუდენტების გამოკითხვა აჩვენებს, მათი უმრავლესობა (72%), უნივერსიტეტის არჩევანს მის მოხერხებულობას უკავშირებს და არა მის პრესტიჟულობას, ქართული ენის განსაკუთრებულად ეფექტურ პროგრამას ან მისთვის სასურველი საბაკალავრო პროგრამის არსებობას უნივერსიტეტის ბაზაზე. ამასთან, პროექტში ჩართული პედაგოგები სტუდენტების მიერ სასწავლებლის არჩევანს სტუდენტების გამოკითხვის შედეგებისაგან განსხვავებულ არგუმენტაციას აძლევენ. მათი მოსაზრებით, არაქართულენოვანი სკოლების დიდი ნაწილი მოსწავლეებს იმისათვის ამზადებს, რომ მათ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ სწავლა. ამავდროულად კი, მოსწავლეების ფოკუს ჯგუფები აჩვენებს, რომ ქართული სასწავლებლების არჩევის ძირითადი მოტივაცია არაა ეფექტური ინტეგრაციის სურვილი. ეს სურვილი ეკონომიკურ კეთილდღეობას უკავშირდება. მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფის მიხედვით რთულია იმაზე საუბარიც, რამდენად არაქართული სკოლები მოსწავლეებს ინტეგრაციისათვის ეფექტურად ამზადებენ აკადემიური და ფსიქოლოგიური კუთხით, რადგან სტუდენტები სასწავლებლების არჩევისას მეტწილად მის ხელსაყრელობაზე საუბრობენ. ეთნიკურად სომეხი მოსწავლეებისათვის პროგრამაში ჩართვა ხელსაყრელია მეტწილად ფინანსური და გრანტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. გამოდის, რომ სასწავლებლის პედაგოგებისა/ადმინისტრაციისა და სტუდენტების ხედვებსა და მოლოდინებს შორის ჯერ კიდევ სასწავლებლის არჩევის დროს არის აცდენა. რეალურად, ამგვარი აცდენა შეიძლება წარმოშობდეს პროგრამის შინაარსობრივ მხარეში სტუდენტების საჭიროებისა და შეთავაზებული პროგრამის არათავსებადობას, სადაც სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესში აქცენტები არასწორად არის გაკეთებული.

5) საინტერესოა გრანტების გადანაწილება რაიონების მიხედვით, ისევე როგორც გრანტების პროცენტული მაჩვენებელი რაიონების მიხედვით. რაიონების მიხედვით გრანტების ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის მარნეულის რაიონის აბიტურიენტებზე, თუმცა მარნეულის რაიონი აბიტურიენტთა რაოდენობით და მათი სიმრავლითაც ლიდერობს და, შესაბამისად, პროცენტული შეფარდება გრანტირებულთა და აბიტურიენტთა რაოდენობას შორის მარნეულის რაიონში შედარებით დაბალია.

ცხრილი #9 -გრანტების გადანაწილება რაიონების მიხედვით 2010-2013 წლებში
 (დამუშავებულია გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის წელიწადური მონაცემების საფუძველზე)

2010-2013 წელი	სომხურენოვანი აბიტურიენტები გრანტი მიიღო	აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები გრანტი მიიღო	სულ გრანტი მიიღო	% (სომხ)	% (აზ)	% (სულ)
ბათუმი	1	0	1	0,25 %	0	0,125%
თბილისი	43	20	63	10,7%	5,14%	7,97%
თელავი	0	5	5	0	1.28%	0,63%
საგარეჯო		42	42	0	10,8%	5,32%
ლაგოდეხი		5	5	0	1.28%	0,63%
ასპინძა	7		7	1,75%	0	0,88%
ახალქალაქი	134		134	33,4%	0	16,9 %
ახალციხე	50		50	12,5%	0	6,3%
ბორჯომი	4		4	1%	0	0,49%
ნინოწმინდა	120		120	29,9%	0	15,2%
ბოლნისი	7	58	65	1,75%	14,9%	8,22
გარდაბანი	0	66	66	0	17, 0 %	8,35%
დმანისი	0	7	7	0	1,8%	0,88%
მარნეული	9	183	192	2,24%	47,04	24,3
რუსთავი	0	3	3	0,77%	0	0,38
წალკა	26		26	6,48	0	3,29%
სულ	401	389	790	100%	100%	100%

თუ ავიღებთ აბიტურიენტების რაოდენობის და გრანტირებულთა რაოდენობის შეფარდებას, თვალსაჩინოა ახალქალაქის, ნინოწმინდის, თბილისის და ბოლნისის სომხურენოვანი აბიტურიენტების მაღალი შედეგები.

ცხრილი #10 - ნინოწმინდის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	სომხურენოვანი აბიტურიენტები				
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	გრანტი მიიღო	გრანტის მიმღებთა % გამოცდაზე გასულთაგან
2010	76	34	25	23	67,6
2011	107	90	70	39	43,3
2012	95	86	68	31	36
2013	78	71	54	27	38
სულ:	356	281	217	120	42,7


ცხრილი #11 - ახალქალაქის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	სომხურენოვანი აბიტურიენტები				
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	გრანტი მიიღო	გრანტის მიმღებთა % გამოცდაზე გასულთაგან
2010	90	77	56	50	64,9 %
2011	80	66	57	31	47 %
2012	83	71	64	33	46,5 %
2013	70	64	49	20	31,3 %
სულ:	323	278	226	134	48,2 %

ცხრილი # 12 - თბილისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	გამოვიდა გამოცდაზე სომხურ- ენოვანი	გამოვიდა გამოცდაზე აზერბაიჯანუ- ლენოვანი	გრანტი მიიღო სომხ.	გრანტი მიიღო აზერ.	გრანტი მიიღო სულ	% სომხ	% აზერ.	% სულ
2010	19	21	9	5	14	47.4%	23.8%	35%
2011	22	24	8	5	13	36,4%	20.8 %	28.30%
2012	29	51	11	5	16	38%	9.8 %	20%
2013	37	84	15	5	20	40.5%	5.9 %	16.50%
სულ	107	159	43	20	63	40,18%	12.6 %	23.70%


დიაგრამა #4 თბილისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები



ცხრილი #13- მარნეულის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	გამოვიდა გამოცდაზე სომხურ- ენოვანი	გამოვიდა გამოცდაზე აზერბაიჯანუ- ლენოვანი	გრანტი მიიღო სომხ.	გრანტი მიიღო აზერ.	გრანტი მიიღო სულ	% სომხ	% აზერ.	% სულ
2010	7	143	1	51	52	14.3	35.7	34.7
2011	8	165	3	35	38	37.5	21.2	21.9
2012	6	276	1	52	53	16.6	18.8	18.8
2013	14	545	4	45	50	28.6	8.2	8.7
სულ	35	1129	9	183	192	25.7%	16.2%	16.5%


დიაგრამა #5- მარნეულის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები



ცხრილი #14 ბოლნისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	გამოვიდა გამოცდაზე სომხურ- ენოვანი	გამოვიდა გამოცდაზე აზერბაიჯანუ- ლენოვანი	გრანტი მიიღო სომხ.	გრანტი მიიღო აზერ.	გრანტი მიიღო სულ	% სომხ	% აზერ.	% სულ
2010	2	51	2	16	18	100	31.4	34
2011	1	51	1	21	22	100	41.2	42.3
2012	2	70	2	8	10	100	11.4	13.9
2013	4	135	2	13	15	50	9.6	10.8
სულ	9	307	7	58	65	77.77	18.9	20.5

დიაგრამა #6 ბოლნისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები



ცხრილი #15 - დმანისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები				
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	გრანტი მიიღო	გრანტის მიმღებთა % გამოცდაზე გასულთაგან
2010	12	12	6	2	16.7 %
2011	18	18	10	3	16.7%
2012	15	14	9	0	0%
2013	65	60	38	2	3.3%
სულ:	110	104	63	7	6.7%

ცხრილი #16 - გარდაბნის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები				
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	გრანტი მიიღო	გრანტის მიმღებთა % გამოცდაზე გასულთაგან
2010	62	56	40	20	35.7%
2011	67	65	50	17	26.2 %
2012	80	79	59	14	17.7 %
2013	146	135	97	15	11.1 %
სულ:	355	335	246	66	19.7 %

ცხრილი #17 - წალკის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	სომხურენოვანი აბიტურიენტები				
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	გრანტი მიიღო	გრანტის მიმღებთა % გამოცდაზე გასულთაგან
2010	24	18	11	9	50 %
2011	28	24	16	6	25 %
2012	26	23	16	6	26.1 %
2013	18	15	11	5	33.3 %
სულ:	96	80	54	26	32.5 %

ცხრილი #18- ახალციხის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები

წელი	სომხურენოვანი აბიტურიენტები				
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	გრანტი მიიღო	გრანტის მიმღებთა % გამოცდაზე გასულთაგან
2010	18	18	15	11	61.1%
2011	25	22	19	11	50%
2012	43	40	30	13	32.5 %
2013	38	36	25	15	41.7 %
სულ:	124	116	89	50	43.1 %

ცხრილი #19- კახეთის 2010-2013 წლების გრანტირებული მონაცემები

აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები						
წელი	რაიონი	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	გრანტი მიიღო	გრანტი მიმღებთა %
2010	თელავი	8	8	4	1	12.5 %
2010	საგარეჯო	12	10	7	6	60 %
სულ		20	18	11	7	38.9 %
2011	თელავი	5	3	2	1	33.3 %
2011	საგარეჯო	26	24	22	16	66.7 %
სულ:		31	27	24	17	63 %
2012	თელავი	6	4	1	0	0
2012	ლაგოდეხი	16	13	9	2	15.4 %
2012	საგარეჯო	27	26	20	11	42.3 %
სულ:		49	43	30	13	30.2 %
2013	თელავი	9	9	5	3	33.3 %
2013	ლაგოდეხი	45	34	22	3	8.8 %
2013	საგარეჯო	65	59	49	9	15.3 %
სულ:		119	102	76	15	14.7 %
სულ კახეთი 2010-2013		219	190	141	52	27.4 %

გრანტების გადანაწილების დროსაც რეალურად წარმოჩინდება ინფორმაციის ნაკლებობასთან დაკავშირებული პრობლემა. პროგრამის ხელმძღვანელები საუბრობენ იმ გაუგებრობაზე, რომელიც მეორე და მესამე წელს პროგრამაზე ჩაბარებისა და დაფინანსების მიღების მსურველებთან დაკავშირებით გაჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ ვინაიდან პირველ წელს რეალურად ყველა მსურველის ჩარიცხვა მოხდა პროგრამაში, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა გადანყვიტეს, ნებისმიერი ეთნიკურად არაქართველი მოსწავლე, რომელიც უნარების ტექსტს ჩააბარებდა, სრულად დაფინანსდებოდა სახელმწიფო გრანტით. თუმცა, მომდევნო წელიწადში მსურველთა რაოდენობის გაზრდამ კონკურენციაც გაზარდა აბიტურიენტებს შორის და, შესაბამისად, ყველა სტუდენტმა ვერ შეძლო სახელმწიფო გრანტის მიღება ან 100%-იანი დაფინანსების მიღება, რაც უკმაყოფილების მიზეზი გახდა. შესაბამისად, გრანტების გადანაწილების პრინციპები, ისევე როგორც

რეგიონული და ენობრივი მონაცემები და ტენდენციები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეთნიკურად არაქართველი დაინტერესებული საზოგადოებისათვის უფრო მომზადებული და გააზრებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

6) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მეთორმეტე კლასელებთან, ისევე როგორც ახალციხის სტუდენტთა ფოკუსგუფებში დაფიქსირდა უკმაყოფილება საშეღვათო პოლიტიკის გავრცელების თაობაზე მხოლოდ სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის. ფოკუსგუფების მონაწილეთა აზრით, უპრიანი იქნებოდა საშეღვათო პოლიტიკა გავრცელებულიყო რუსულენოვან აბიტურიენტებზეც, რადგან ბევრი ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი სწავლობს რუსულ სკოლაში და ისინი ვერ სარგებლობენ საშეღვათო პოლიტიკით, რადგან მათ განათლება რუსულ ენაზე აქვთ მიღებული. რუსულენოვანი აბიტურიენტების საშეღვათო პოლიტიკით სარგებლობის თვალსაზრისით საინტერესოა დისპერსულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობების საკითხიც. სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებიც აგრეთვე იღებენ რუსულენოვან განათლებას საქართველოს რუსულენოვან სკოლებში, აგრეთვე ვერ სარგებლობენ საშეღვათო პოლიტიკით და ერთგვარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან ამ პოლიტიკით მოსარგებლე ეთნიკური ჯგუფების აბიტურიენტებთან შედარებით. შესაბამისად უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის კონტექსტში ამ თვალსაზრისით პრობლემები თვალსაჩინოა.

თავი V.

ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შეფასება სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისთვის მომზადების თვალსაზრისით

ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტები ირჩევენ საბაკალავრო პროგრამას, რომელზეც აგრძელებენ სწავლას. სტუდენტების მიერ საბაკალავრო პროგრამების არჩევანი შემდეგნაირად გამოიყურება უნივერსიტეტების და პროგრამების მიხედვით:

ცხრილი # 20 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები

ფაკულტეტი/ნელი	2011	2012	2013	სულ:	%
იურიდიული	25	38	36	99	15.3 %
ჰუმანიტარული	36	42	66	144	22.25%
სოციალურ-პოლიტიკური	6	16	26	48	7.43%
ბიზნესისა და ეკონომიკის	51	66	70	187	28.9 %
სამედიცინო	21	36	37	94	14.54%
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	13	20	24	57	8.8%
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	3	15		18	2.78 %
სულ	165	223	259	647	100 %

ცხრილი # 21 - სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები

ფაკულტეტი/ნელი	2011	2012	2013	სულ:	%
იურიდიული	0	6	2	8	11,6
სოციალურ მეცნიერებათა, განათლებისა და ჰუმანიტარული	5	6	10	21	30,5
ბიზნესისა და ეკონომიკის	14	7	15	36	52.2
საბუნებისმეტყველო	0	3		3	4,3
ინფორმაციული ტექნოლოგიები			1	1	1.4
სულ	19	22	28	69	

ცხრილი # 22- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები

ფაკულტეტი/წელი	2011	2012	2013	სულ:	%
სამართალმცოდნეობა	3	5	3	11	25
ინფორმატიკა	2	6	7	15	34
საერთაშორისო ურთიერთობები	1	0		1	2.3
ბიზნესის ადმინისტრირება/ ეკონომიკა	2	3	4	9	20.5
მასობრივი კომუნიკაცია	2	1		3	6.8
სამშენებლო	1	0	2	3	6.8
ფარმაცია		2		2	4.6
სულ	11	17	16	44	


ცხრილი #23 - ილიას უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები

ფაკულტეტი/წელი	2011	2012	2013	სულ:	%
სამართალმცოდნეობა			3	3	5,66 %
სოციალურ მეცნიერებათა			3	3	5,66 %
ბიზნესის ადმინისტრირება	2		19	21	39,62 %
ჰუმანიტარული	3	4	11	18	33,96 %
სპორტის ფაკულტეტი/ ფიზიკულტურის მასწავლებელი	1				1,89 %
კომპიუტერული ინჟინერია/ მათემატიკა			7	7	13,21%
სულ	6	4	43	53	

ნიშანდობლივია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების პროფესიული არჩევანი საკმაოდ შეზღუდულია და მეტწილად უკავშირდება მოსახლეობაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს პროფესიების პრესტიჟულობის, მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის უკეთესი პერსპექტივის, მაღალი მოთხოვნის შესახებ. ამგვარი ტენდენცია ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს იმ მწირი ინფორმაციის ფონზე, რაც საქართველოში ზოგადად არსებობს სამუშაო ბაზრისა და მოთხოვნადი პროფესიების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციული ვაკუუმი ძალიან დიდია არათუ სტატისტიკური ინფორმაციის, არამედ სახელმწიფოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების თვალსაზრისითაც კი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროფესიების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ქართველ აბიტურიენტებში საზოგადოდ.

გამოკითხულ სტუდენტთა 76.2 პროცენტს ქართული ენის პროგრამის დასრულების დროისათვის სასურველი ფაკულტეტისა და საბაკალავრო პროგრამის შესახებ

დიაგრამა #7- სტუდენტების საბაკალავრო ფაკულტეტის არჩევანი



გადანწყვეტილება მიღებული ჰქონდა. დანარჩენ 23.8%-ს საბოლოო გადანწყვეტილება ჯერ არ ჰქონდა მიღებული.

კვლევის ფარგლებში სტუდენტთა იმ 76%-დან, რომელსაც გადანწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა, სასურველი ფაკულტეტები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანანილდა:


ქვემოთ მოყვანილ მერვე დიაგრამაზე თვალსაჩინოა, რომ სტუდენტთა საკმაოდ დიდი პროცენტი, რომელიც ამბობს, რომ იცის, სად უნდა სწავლის გაგრძელება, მისთვის სასურველ ფაკულტეტს ვერ ან არ ასახელებს (23.8%). მეორე მხრივ, შემდეგი კითხვა, სადაც სტუდენტებმა უკვე არა სასურველი ფაკულტეტი, არამედ საბაკალავრო პროგრამა უნდა დაასახელონ, სტუდენტების არა 23.8% ტოვებს პასუხის გარეშე, არამედ 23.3%

სტუდენტთა გამოკითხვა ფაკულტეტების თუ სასწავლო პროგრამის არჩევასთან დაკავშირებით თანხვედრაშია სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე გადანანილების სტატისტიკასთან. კვლევის ფარგლებში წარმოჩინდა, რომ სტუდენტების ყველაზე დიდ პროცენტს სურს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე გააგრძელოს სწავლა (14.3%). შემდეგი არჩევანია ქართული ფილოლოგია (10.5%). მესამეა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (8.1%). გამოკითხულთა დაახლ. 6-7%-ს სასურველ პროგრამად ესახება სამართალმცოდნეობა (7.6%), საერთაშორისო ურთიერთობები (6.7%), ინგლისური ფილოლოგია (6.2%), პედაგოგია (5.7%), ინფორმატიკა და ისტორია (2.4%). სასურველ პროგრამებს შორის დასახელდა ტურიზმი, ფარმაცოლოგია, არმენოლოგია, არაბისტიკა, პლასტიკური ქირურგია, ქირურგია, სტომატოლოგია, კარდიოლოგია, ჟურნალისტიკა, თერაპია, ფსიქოლოგია, მათემატიკა, ზოგადი გეოგრაფია.

ამ პასუხების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ რიგით მეშვიდე სასურველი პროფესია სხვადასხვა პროფილის ექიმი. თუმცა ჩვენი საკვლევი ფოკუსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არ ყოფილა. შესაბამისად, შეგვიძლია


დავუშვათ, რომ ენის პროგრამის არჩევისას სტუდენტები შეიძლება არც ფლობდნენ ინფორმაციას სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული ენის პროგრამის შესახებ.

დიაგრამა #8 - საბაკალავრო პროგრამის არჩევანი



სტუდენტების პასუხები კიდევ ერთი საინტერესო ვარაუდის გამოტანის საშუალებას იძლევა მათ ცნობიერებასა და ინფორმირებულობაზე, რის მიხედვითაც მოხდა სასურველი ფაკულტეტისა და პროგრამის შერჩევა. კერძოდ, სტუდენტების დაახლოებით 23% თავს კი არ იკავებს სასურველი ფაკულტეტის შესახებ პასუხის დაფიქსირებისაგან, არამედ მას დიდი ალბათობით არა აქვს ინფორმაცია, რომელ ფაკულტეტს განეკუთვნება მისთვის სასურველი საბაკალავრო პროფესია. ამ შემთხვევაში, ცხადია, გარდა ენობრივი კომპეტენციებისა და ზოგადი უნარების ნაკლებობისა, სტუდენტებისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის ნაკლებობა ფაკულტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების სპეციფიკის, სპეციალიზაციების შესახებ. სასურველი საბაკალავრო პროგრამების შესახებ კითხვაზე გაცემული პასუხები („ტურიზმი“, „თერაპევტი“, „კარდიოლოგი“) კარგად გვაჩვენებს, რომ სტუდენტები არა პროგრამებს სასურველი სპეციალობების შესაბამისად აღიქვამენ, თუმცა ხანდახან არათუ პროგრამაზე სწავლის აუცილებელი მოთხოვნების, არამედ ფაკულტეტის დასახელებაც კი უჭირთ. მეორე მხრივ, ის თუნდაც მცირედი ცდომილება, რომელიც სასურველი ფაკულტეტისა და პროფესიის დასახელების მაჩვენებლებს შორის არსებობს, ასევე არასაკმარისი ინფორმირებულობის შედეგი შეიძლება იყოს.

დიაგრამა # 9-საბაკალავრო პროგრამის არჩევის საფუძვლები და მიზეზები



ამ კუთხით ასევე საინტერესო ინფორმაციას იძლევა პასუხები კითხვაზე, „რატომ გადანყვიტე ამ პროგრამის არჩევა?“

სტუდენტთა ყველაზე დიდი პროცენტი (38%) აცხადებს, რომ ბავშვობიდან ოცნებობს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროფესიის ათვისებაზე. 13%-სთვის მნიშვნელოვანია, რომ არჩეული პროფესია პრესტიჟულია; 7%-სთვის პროგრამის არჩევისას გადამწყვეტია მშობლებისა და ნათესავების აზრი. საინტერესოა, რომ 19%-ის აზრით, ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ადვილად იშოვის სამსახურს. 4% თვლის, რომ არჩეული პროგრამის ფარგლებში მიღებული სპეციალობა მაღალანაზღაურებადია. ამდენივე პროცენტისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქართული ენის შეზღუდული ცოდნის მიუხედავად, შეძლოს პროგრამით სწავლა; 3% საკუთარი დაკვირვების შედეგად აცხადებს, რომ არჩეული პროგრამა მას მოთხოვნადი პროფესიისთვის მოამზადებს და თანაც ამ პროგრამას ბევრი სტუდენტი არ ირჩევს; 4%-ს გაუჭირდა იმის ახსნა, თუ რატომ ირჩევს ამა თუ იმ პროგრამას; 8%-მა აირჩია „სხვა“ და საბაკალავრო პროგრამის შერჩევის მიზეზიც დააკონკრეტა.

ნიშანდობლივი და ბუნებრივია, რომ სტუდენტების თითქმის 40% იმ პროგრამაზე აკეთებს არჩევანს, რომელიც ბავშვობიდან საოცნებო პროფესიის შეძენას განაპირობებს. თუმცა საკმაოდ დიდი პროცენტისათვის (36% მთლიანად) მომავალი პროფესიის არჩევანი პრესტიჟულობას, მაღალ ანაზღაურებას, სამსახურის ადვილად შოვნის იმედებს უკავშირდება. ეს იმედები მეტწილად არა ობიექტურ და ვალიდურ მონაცემებს, არამედ სტერეოტიპულ ღირებულებებს ეფუძნება. რეალურად, საკმაოდ მცირე ნაწილი (7%) აანალიზებს, რომ პროფესია, რომელსაც ის ირჩევს, შეიძლება მოთხოვნადი იყოს, რადგან დიდი კონკურენცია არ არის პროგრამაში მოსახვედრად ან იგი თავისი ენობრივი შესაძლებლობების ფონზე იღებს გადანყვიტელებას. საინტერესოა ასევე, რომ 7% ოჯახური შეხედულებების მიხედვით ირჩევს პროფესიას და ნათესავების პოზიციას მის მიერ არჩეულ პროგრამასთან დაკავშირებით ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აქვე მოკლედ განვიხილოთ ის არგუმენტები, რომლებიც სტუდენტებმა მოცემული დებულებების მიღმა დააფიქსირეს:

მომწონს ბანკში მუშაობა	1
მიყვარს ისტორია და ამიტომ	1
ისეთი საგნები ისწავლება, რომლებიც მაინტერესებს	1
მათემატიკა კარგად ვიცი და ამიტომ	1
მიყვარს, როცა ადამიანებს ვეხმარები	3
მომწონს ეს პროფესია	3
იმიტომ, რომ აუცილებელია ქართული ენა კარგად ისწავლო	1
ჩვენს სოფელში არ არის კადრი, რომ ქართული ასწავლოს	1

დამატებითი პასუხები საკმაოდ საინტერესოა, რადგან 3 სტუდენტი ვერ ასაბუთებს თავის სიტყვებს (თუმცა აცხადებს, რომ მოსწონს არჩეული პროფესია). სხვა შემთხვევაში კი სტუდენტები საკმაოდ აზრიანად ასაბუთებენ საკუთარ პროფესიულ არჩევანს, პროგრამას აკავშირებენ საყვარელ საგანთან („მიყვარს ისტორია“) ან საგნის ცოდნის დონესთან („მათემატიკა ვიცი კარგად“). ასევე კარგად ჩანს არგუმენტი მომავალი სამსახურის მოაზრებაში („მომწონს ბანკში მუშაობა“) და ცხოვრების კრედოში („მომწონს, როცა ადამიანებს ვეხმარები“). არგუმენტირებული და სამომავლო გეგმებთან პირდაპირ არის დაკავშირებული პასუხი: „ჩვენს სოფელში არ არის კადრი, რომ ქართული ასწავლოს“. დამაფიქრებელია პასუხი: „იმიტომ რომ აუცილებელია ქართული ენა კარგად ისწავლო“, რომელიც დიდი ალბათობით იმ სტუდენტს ეკუთვნის, რომელმაც სამომავლო პროგრამად ქართული ფილოლოგია განსაზღვრა, თუმცა რეალურად არ ესმის, რომ ქართული ფილოლოგიის პროგრამის მიზანი არ არის ქართული ენის კარგად ათვისება.

ამრიგად, კვლევის შედეგების მიხედვით ვლინდება, რომ ქართული ენის პროგრამაში გაერთიანებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს ერთნაირი პროგრამის დასასრულისთვისაც კი არა აქვთ საკმარისი ინფორმაცია, დასაბუთებული და გაანალიზებული არგუმენტები საბაკალავრო პროგრამისა და სამომავლო პროფესიის არჩევისას.

ენის პროგრამის ფარგლებში სწავლის პერიოდში სტუდენტების ნაწილს უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება სამომავლო პროფესიასთან დაკავშირებით და ზუსტად იცოდა, რომელ ფაკულტეტზე, რომელ პროგრამაში გეგმავდა სწავლის გაგრძელებას, თუმცა, სტუდენტთა ნაწილმა ჯერ არ იცოდა ეს. ენის პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს არ ეძლეოდათ საშუალება, შეექმნათ ან გაედრმავებინათ საკუთარი წარმოდგენები საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ენის პროგრამა იმავე შენობაში ხორციელდებოდა, ენის პროგრამაში გაერთიანებული სტუდენტები ვერ ხვდებოდნენ სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამის ლექტორებსა და ადმინისტრაციას, ვერ ესწრებოდნენ საჩვენებელ ლექციებს და არ იცნობდნენ პროგრამის სასწავლო გეგმასა თუ სილაბუსებს. საბოლოო ჯამში, სტუდენტთა ნაწილი მხოლოდ საბაკალავრო პროგრამის დაწყების შემდეგ აანალიზებდა, რომ არ ფლობდა სათანადო ინფორმაციას საბაკალავრო პროგრამის სწორად დაგეგმვისა და არჩევისათვის. „ეს პროგრამა ისეთი არ იყო, როგორც მე წარმომედგინა“. მსგავს პრობლემაზე საუბრობენ ენის პროგრამის

ლექტორებიც. თუმცა საბაკალავრო პროგრამის არჩევანთან დაკავშირებული ცდომილებები, მათი აზრით, ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების მიერ საგნის ცოდნის არაადეკვატურ თვითშეფასებას უკავშირდება.

- „აბარებენ ეკონომიკურზე და შემდეგ აღმოაჩენენ, რომ მათემატიკის სწავლა არ შეუძლიათ, მერე გადადიან ჰუმანიტარულზე და ჰგონიათ, რომ იქ სწავლა უფრო გაუადვილდება“.

მეორე მხრივ, ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელი საუბრობს ერთგვარ არათანაბარ პირობებზე, რომელშიც საშეღავათო პოლიტიკის შედეგად ქართული ენის პროგრამაში გაერთიანებული სტუდენტები და მათი ქართველი თანატოლები იმყოფებიან. პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით, ის ფაკულტეტები, რომლებიც განსაკუთრებით სასურველია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისათვის, ასევეა სასურველი ქართველი აბიტურიენტებისათვის და მაშინ, როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში მხოლოდ ერთი შემოხაზვით ირჩევენ სასურველ სპეციალობას, ქართველი თანატოლები უზარმაზარ ძალისხმევას და ენერგიას დებენ იმავე ფაკულტეტსა თუ პროგრამაში მოსახვედრად.

თუნდაც ამ მაგალითის საფუძველზე შეიძლება ვისაუბროთ იმ ხარვეზებზე, რომელიც ინფორმაციის ნაკლებობის კუთხით არსებობს როგორც ეთნიკურ უმცირესობებში, ასევე პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულ კადრებშიც. ეს კარგად გამოჩნდა თუნდაც იმ მოსაზრებაში, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები ქართველი სტუდენტების ადგილებს დაუმსახურებლად იკავებენ და, შესაბამისად, პოლიტიკა, რომელიც მთავრობის ინიციატივით ხორციელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრაციისათვის, აღქმულია, როგორც უმრავლესობის მიმართ დისკრიმინაციის აქტი. ფაქტია, რომ პროგრამაში ჩართულ კადრებს გააჩნიათ უფრო მეტ პრაქტიკულ გამოცდილებასა და დაკვირვებაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც, მათი აზრით, საშუალებას იძლევა კონკრეტული რეკომენდაციები გასწიონ, ერთი მხრივ, პროგრამის გაუმჯობესების, მეორე მხრივ კი საშეღავათო პოლიტიკის გატარების კუთხით. სწორედ ამ რეკომენდაციების ფარგლებში ისინი თვლიან, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის გრანტების მინიჭებისა და ჩარიცხვის დროს აუცილებელია გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინება და მიღების წესში ასახვა, რათა სწავლის ხარისხი და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მექანიზმები უკეთ ამუშავდეს. მათი აზრით, ის მოსწავლეები (აბიტურიენტები), რომლებმაც ჩაბარების მომენტში უკვე იციან, სად აპირებენ სწავლას, საშუალებას იძლევიან უკვე ქართული ენის პროგრამის ფარგლებში მიიღონ უფრო მეტად მაპროფილებელი, პროფესიაზე ორიენტირებული ცოდნა და, შესაბამისად, უფრო კონკურენტუნარიანები იყვნენ ქართველი თანატოლების გვერდით.

საბაკალავრო პროგრამისთვის მომზადების თვალსაზრისით საინტერესოა სტუდენტების მომზადება საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლებლად, როგორც (ა) ენობრივი კომპეტენციების განვითარების, ისე (ბ) სოციალურ და სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ერთნაირ პროგრამაში ჩართული პედაგოგები ფოკუსჯგუფებში საუბრობენ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებთან მიერ საკუთარი აზრის, განსაკუთრებით კი კრიტიკულის გამოთქმის სიფრთხილეზე. პირადად ინტერვიუებმა პედაგოგებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გამოავლინა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები გარკვეულ დროს და გარემოს საჭიროებენ, რათა საკუთარი დამოკიდებულება, მოსაზრებები და მოლოდინი ხმაამალა გააზიარონ:

– „ესენი სკოლიდან არიან მიჩვეულები, რომ ვიღაცამ უნდა უკარნახოს, შეცდომის დაშვება დანაშაულია, მასწავლებელმა ყური უნდა აუნიოს. ამ ფონით რომ მოდიან, ძალიან ძნელია, რომ თავის თანაჯგუფებს რაიმე შეუსწორონ. თავიდან, როცა მოდიან, ეს არის ჯგუფი და ლექტორი არის მტერი. აი, ესეუბი მოდიან სკოლიდან და მერე თანდათან ეცვლება დამოკიდებულება. აი, თურმე შეიძლება ლექტორთან ერთად დადგინდეს გარეთ, ილაპარაკონ შესვენებაზე არასაუნივერსიტეტო თემაზე“.

ის, რაზეც ლექტორები საუბრობენ, კარგად აისახება კითხვარებში, სადაც სტუდენტების პასუხები ზედმეტად დაბალანსებულია, ძალიან ცალსახა და რეალურ სურათს ნაკლებად ასახავს. ფოკუსჯგუფები, სადაც ენის ერთნაირი კურსდამთავრებული სტუდენტები ღიად, დაუფარავად საუბრობენ პროგრამის და პროგრამის შემდგომი დახმარების თვალსაზრისით არსებულ ხარვეზებზე, ასევე ის შენიშვნები, რომლებიც გამოკითხულმა სტუდენტებმა თავად გააკეთეს კითხვარის ბოლოს და მათ ფონზე კი ის პასუხები, რომლებიც პროგრამის, სასწავლო რესურსების, პედაგოგების სწავლების მეთოდების მიმართ დაფიქსირდა კითხვარების საშუალებით, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სტუდენტები კითხვარებში ერიდებიან საკუთარი აზრებისა და ემოციების ბოლომდე გამომჟღავნებას.

კითხვებზე, რომლებიც ქართული ენის პროგრამის ზოგად შეფასებას ისახავდა მიზნად, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

„ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ კითხვის, მოსმენის, ლაპარაკისა და წერის უნარები ერთნაირად კარგად განმედიარდა“: სტუდენტების ნახევარზე მეტი (51.9%) ამ დებულებას ეთანხმება, ხოლო 16.2% აბსოლუტურად ეთანხმდება. ნიშანდობლივია, რომ 21.4% ნაწილობრივ, ხოლო 9.5% არ ეთანხმება ამას. კატეგორიულად ამ მოსაზრებას მხოლოდ 1% არ ეთანხმება. ამ დებულების და პასუხების რელევანტურობის გასარკვევად საინტერესოა სტუდენტების მუალედური და საბოლოო გამოცდების შედეგების გაანალიზება. იმდენად, რამდენადაც გამოცდა ორი ნაწილისაგან შედგება და ტესტის გაკეთებას და ზეპირ/მეტყველების გამოცდას გულისხმობს, შედეგების ანალიზი საფუძველს მოგვცემდა დაგვენახა, რამდენად კარგად აქვთ სტუდენტებს გაანალიზებული საკუთარი შესაძლებლობები, რამდენად რელევანტურია მათი ანალიზი და რეალურად რა ტიპის ფაქტორები უშლით მათ ხელს საკუთარი აზრის ნათლად და მკაფიოდ დაფიქსირებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს სტუდენტების თვითშეფასებაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც მათი ქართულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის ნაკლებობით შეიძლება იყოს გამოწვეული. გამოკითხვები აჩვენებს, რომ გარემო, რომელშიც პროგრამაში ჩართული სტუდენტები მთელწელიწადს ატარებენ, ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ ურთიერთობასა და ინტეგრაციას ქართველ სტუდენტებთან. იგივე სიტუაციაა პროგრამის გარეთ, საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხითაც:

– „ერთი სტუდენტი სოლოაკიდან ფეხით მოდიოდა, ავტობუსში არ ადიოდა. ეშინოდა, რამეს მკითხავენ და ვერ გავიგებო“.

შესაბამისად, მათთვის საკუთარი ენობრივი კომპეტენციების შეფასებისა და პროგრესის დანახვის ერთადერთი საშუალებაა საერთო პროგრესის საფუძველზე საკუთარი პროგრესის შეფასება.

კითხვარის პუნქტზე - **„ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ მიჭირს აკადემიური ლიტერატურის ნაკითხვა-გაანალიზება“** - სტუდენტების დიდმა ნაწილმა დადებითად უპასუხა: 36.7% მას ეთანხმება, ხოლო 6.2% კი აბსოლუტურად ეთანხმება. საგულისხმოა, რომ 22.9% ამას ნაწილობრივ ეთანხმება, 30%-მდე არ ეთანხმება, 3.3% სრულად არ ეთანხმება, 1.4% პროცენტი კი პასუხისგან თავს იკავებს.


ამავდროულად, დებულებას, რომ პროგრამის გავლის შემდეგ შეუძლია აკადემიური ესეს თავისუფლად დაწერა 38.1% ეთანხმება, 5.2 პროცენტი სრულად ეთანხმება, 27.6% ნაწილობრივ ეთანხმება, შესაბამისად, 17.1 და 11.9 პროცენტი არ ეთანხმება ან აბსოლუტურად არ ეთანხმება.

„ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ თავისუფლად ვახერხებ ქართულ ენაზე ლექციების მოსმენას და დისკუსიაში აქტიურ მონაწილეობას“ - ამ პუნქტთან დაკავშირებით ასეთი სიტუაციაა: ისევ და ისევ, სტუდენტთა ნახევარი (50.5%) ეთანხმება ამ დებულებას, ხოლო 15.2% კი აბსოლუტურად ეთანხმება; 21.4% ნაწილობრივ ეთანხმება, 10% არ ეთანხმება, 2.4% კი სრულად არ ეთანხმება მას.

„ეს პროგრამა ზუსტად ისეთი ეფექტური იყო, როგორც წარმომედგინა“ - სტუდენტების დიდი ნაწილი - 44.3% ეთანხმება და 26.2% აბსოლუტურად ეთანხმება ამ დებულებას, თვლის, რომ პროგრამა ზუსტად ისეთი იყო, როგორც წარმომედგინა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები ძალიან მწირ და არაზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ არათუ პროგრამის შინაარსისა და ხარისხის, არამედ ზოგადად მისი არსისა და პოზიტიური შედეგების შესახებ, რთულია ვივარაუდოთ, თუ რა ტიპის მოლოდინი გაუმართლდათ სტუდენტებს ყველაზე მეტად. თუმცა, ამგვარი პოზიტიური შეფასება გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სტუდენტები ზოგადად კმაყოფილები არიან პროგრამით და დადებითად უყურებენ იმ შესაძლებლობას, რომელიც მათ პროგრამის გავლით მიეცათ.

საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს ექნებოდათ სხვა სასწავლებლების პროგრამების ნახვის, სხვა სტუდენტებთან გასაუბრების, ლექციებზე დასწრების საშუალება, მათ გაუჩნდებოდათ შესაძლებლობა კრიტიკულად გაეანალიზებინათ საკუთარ პროგრამის ძლიერი მხარეები და ხარვეზები. რეალურად, პროგრამებს შორის მობილობა და გამოცდილების გაცვლა არამხოლოდ პროგრამაში ჩართული კადრების, არამედ თავად სტუდენტებისათვისაც შესანიშნავი გამოცდილება იქნებოდა კრიტიკული აზროვნების, საკუთარი აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბებისა და აკადემიური სტიმულისათვის.


დიაგრამა #10- ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შესახებ



სტუდენტების პასუხები ბევრად უფრო ღიაა ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციის, კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისა და შიდა საპროგრამო ურთიერთობების განვითარების მათეული შეფასებების შემთხვევაში.

„პროგრამაში არცთუ ხშირად გვქონდა კლასგარეშე აქტივობები“ - 38,6% ეთანხმება და 7,6% აბსოლუტურად ეთანხმება ამას, 19% კი ნაწილობრივ ეთანხმება. დაახლოებით 34%-სთვის ეს დებულება არ არის მართებული ან სრულიად უმართებულოა. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტისა და ახალციხე-ახალქალაქის სასწავლებლების პედაგოგიური პერსონალი, ისევე როგორც ადმინისტრაცია. ასევე საუბრობენ კლასგარეშე აქტივობების სიმწირეზე და თვლიან, რომ ეს სერიოზული ხარვეზია პროგრამისათვის ბევრი თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად კი კლასგარეშე აქტივობების სიმწირე ამცირებს სტუდენტების სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობებს, არ აძლევს სტუდენტებს საშუალებას, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და/ან უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის ქართველი სტუდენტები. კლასგარეშე აქტივობა ასევე საკმაოდ ეფექტურად დასახული ამოცანა იქნებოდა იმ პრობლემების შესამცირებლად, რომელიც ყველა ინსტიტუტის პედაგოგების მიერ სახელდება და რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა ზოგადი განათლების დაბალ დონეს და სწავლის, კვლევისა და აკადემიური საქმიანობისათვის აუცილებელი სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარების სიმწირეს გულისხმობს. ამიტომ შეიძლება გამოვთქვათ ასეთი ვარაუდიც, რომ სტუდენტთა მესამედი, რომელიც წარმოდგენილ დებულებას არ მიიჩნევს მართებულად, ვერ აანალიზებს, რა იგულისხმება კლასგარეშე აქტივობაში, ანდა მიაჩნია, რომ ეს არასაჭირო და/ან ნაკლებად მნიშვნელოვანი აქტივობაა.

დიაგრამა #11 - კლასგარეშე აქტივობების შესახებ



პოზიტიური მაგალითია ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რაც, ერთი მხრივ, მათი ინიციატივისა და მოტივაციის უნარის ამაღლებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ, ახალი უნარებითა და ახალი ტიპის ინტერაქციით ამდიდრებს სტუდენტების გამოცდილებას და ამავედროულად სტუდენტებსა და ღონისძიებებში ჩართული პროგრამისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას უწყობს ხელს. ასეთი ღონისძიება იყო საქველმოქმედო აქცია, სადაც სტუდენტებმა საკუთარი ინიციატივით მოაგროვეს სხვადასხვა ტიპის საჩუქრები და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ესტუმრნენ ინსტიტუციაში.

დებულება - „ჩვენ პროგრამის დროს არ გვქონდა საშუალება, გვეჩონოდა ქართველებთან ურთიერთობა“ - მართებულია სტუდენტთა 49.5%-სთვის და აბსოლუტურად მართებულია 11.9 %-სთვის. 11.4% მას ნაწილობრივ ეთანხმება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სტატისტიკა რეალურად გამოხატავს სტუდენტების ქართველებთან ურთიერთობის გამოცდილებას. 60%-ზე მეტი თვლის, რომ პროგრამამ ამგვარი საშუალება მათ ნამდვილად არ მისცა, ხოლო 1.4% თავს იკავებს პასუხის გაცემისგან. 34% არ ეთანხმება ან კატეგორიულად არ ეთანხმება ამგვარ დებულებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებს პირადი კავშირებისა და ნაცნობების წყალობით შეეძლოთ ამ დანაკლისის შევსება და რეალურად არ გრძნობდნენ ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გაღრმავების ხელშეწყობის აუცილებლობას. თუმცა, თუ პროექტის ერთ-ერთი პედაგოგის მიერ მოტანილ მაგალითს გავიხსენებთ (სტუდენტს ავტობუსში ასვლა ეშინოდა ქართულად კითხვის დასმის შიშით), არ არის გამორიცხული, მსგავსი ტიპის შიში თუ მორცხვობა სტუდენტების ნაწილისთვისაც იყოს საკმარისი არგუმენტი იმის საპირწონედ, რომ პროგრამის ფარგლებში ქართველებთან ურთიერთობისთვის ხელის არშეწყობა სულაც არ არის დიდი ხარვეზი.


იმავე ტიპის აპათია თუ ნაკლები ინფორმაცია იგრძნობა უნივერსიტეტის ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდული შესაძლებლობების კუთხითაც. სტუდენტთა თითქმის ნახევარი (48.1%) ამ დებულებას არ ეთანხმება ან კატეგორიულად არ ეთანხმება. მეტიც, 36.7 პროცენტს მიაჩნია, რომ ეს დებულება სწორი ან ძალიან სწორია. რეალურად, პროგრამის ხარისხის გარდა, სტუდენტებისათვის ენობრივი,

სოციალური და აკადემიური შესაძლებლობების თვალსაზრისით, კითხვარი გვაცხადებს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სტუდენტები პროგრამის დასრულების პერიოდისთვისაც კი საკმაოდ დახურულები არიან ინტეგრაციისათვის და ერთგვარი აპათია ან უნდობლობა ახასიათებთ იმ სიახლეების მიმართ, რომელიც უნივერსიტეტის ცხოვრების თანმდევი ნაწილია. თუმცა ფაქტი ისაა, რომ ენის ერთნაირი პროგრამის ფარგლებში მათი ამგვარი დამოკიდებულება, ისევე როგორც დაბალი ცნობიერება, არ ვითარდება არც სოციალური უნარ-ჩვევების, არც დამოკიდებულებისა და ინფორმირების კუთხით.


დებულებას „მიუხედავად იმისა, რომ ერთ შენობაში და ერთ დროს ვსწავლობდით, სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების წარმომადგენლებს არანაირი ურთიერთობა არ გქონდა ერთმანეთთან“ სტუდენტთა 61.9% ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება. 11.9 პროცენტი კი ნაწილობრივ ეთანხმება, ხოლო 11% კი პასუხისგან თავს იკავებს, რაც ასევე ნიშანდობლივია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტუდენტები, რომლებიც თავს იკავებენ პასუხის გაცემისგან, რეალურად არ განიხილავენ აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების ურთიერთობის აუცილებლობას ან შესაძლებლობას. ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც ნაწილობრივ თუ მთლიანად ეთანხმებიან ამ დებულებას, რეალურად იმ ფაქტების კონსტატაციას ახდენენ, რომელზეც ფოკუსჯგუფებში სტუდენტები და პედაგოგებიც საუბრობენ და რომელიც რეალურად სერიოზულ ხარვეზად უნდა განვიხილოთ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროგრამისათვის, სადაც ძალიან კარგი შანსი - ეთნიკურ უმცირესობებს შორის ურთიერთობა სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში გაანალიზდეს და განვითარდეს - ფაქტობრივად არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი მიზეზების გამო უგულებელყოფილია.

„მე იმედი მქონდა, რომ პროგრამაში მეტი იქნებოდა ისეთი აქტივობები, რომლებიც ქართველ სტუდენტებთან და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალებას მომცემდა“ - დებულებაზე მიღებული პასუხების გაანალიზება საინტერესოა პროექტის საერთო შეფასების ერთ-ერთ - დებულებასთან - „ეს პროგრამა ზუსტად ისეთი ეფექტური იყო, როგორც წარმომედგინა“ - შედარების საშუალებით.

დიაგრამა #12 - ქართველ სტუდენტებთან აქტივობები




დიაგრამა # 13-პროგრამის ეფექტურობის შეფასება



მაშინ, როდესაც სტუდენტების 70% პასუხობს, რომ ეთანხმება ან სრულად ეთანხმება დებულებას წარმოდგენილ და რეალურ პროგრამას შორის, ისინი ასევე აღიარებენ: 78%-ს ჰქონდა იმის რეალური მოლოდინი, რომ პროგრამის ფარგლებში მეტი შეხება ექნებოდათ ქართველ სტუდენტებთან, ხოლო 9% კი ნაწილობრივ ეთანხმება, რომ ამგვარი მოლოდინი ჰქონდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებს ნამდვილად არ ჰქონდათ გაანალიზებული, რა შედეგების მიღწევას აპირებდნენ ენის ერთნაირი პროგრამის ფარგლებში, რაც ინფორმირების ნაკლებობაზე მიუთითებს როგორც პროგრამის, ასევე ზოგადად, უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებისა და აკადემიური საქმიანობის შესახებ. „პროგრამის დამთავრების დრო მოვიდა, მე კი ზუსტად ისევე არ მაქვს ურთიერთობა ქართველ სტუდენტებთან, როგორც მაშინ, როდესაც სწავლა დავიწყე“ - სტუდენტების ძალიან დიდი ნაწილი - 68.1% ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება ამას, 7.1% კი ნაწილობრივ ეთანხმება. გამოდის, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დებულება ერთგვარად არსებული ფაქტების კონსტატირებას ახდენს, სტუდენტები ბევრად მიდრეკილები არიან, პასუხები რეალობის გათვალისწინებით გასცენ. თუმცა თუ დებულებაში ჩანს ფრაზები, რომლებიც ენის ან საუნივერსიტეტო პროგრამის, ჩართული პერსონალის თუ ადმინისტრაციის მოქმედება (ან მოქმედებები) ეხება, სტუდენტები აღარ არიან ბოლომდე გახსნილები.

დიაგრამა # 14- ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა პროგრამის დასრულების შემდეგ



ქართული ენის პროგრამის შეფასებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანდის კითხვარის ბოლოს დატოვებულ ველში - „რაიმეს დამატება ხომ არ გსურთ“ - სტუდენტების მიერ გაკეთებული შენიშვნები. 210 სტუდენტიდან ასეთი ჩანაწერი 24-მა (11%) გააკეთა.

შენიშვნებში ვკითხულობთ: „ამ პროგრამამ ახალი არაფერი მომცა“ (1 სტუდენტი). ცხადია, რომ ერთი სტუდენტის შენიშვნის მიხედვით არ შეიძლება პროექტის ეფექტიანობაზე დასკვნების გამოტანა, თუმცა, რეალურად, შენიშვნა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ პროგრამის ადმინისტრაცია და ჩართული პერსონალი ნაკლებად ამხავილებს ყურადღებას იმ სტუდენტებზე, რომელთა ენის ფლობის დონე საკმაოდ მაღალი იყო და მათი პროგრამაში მონაწილეობა ინდივიდუალური მიდგომების განვითარებას მოითხოვს.

„ზოგიერთმა ლექტორმა შეურაცხყოფა მოგვაყენა სტუდენტებს“ - ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი მესიჯია, რომელიც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სტუდენტი საკმაოდ დიდხანს ინახავდა გულში იმ წყენას თუ შეურაცხყოფელ მოპყრობას, რომელიც მან და მისმა თანაკურსელებმა „ზოგიერთი“ ლექტორისგან მიიღეს. შესაბამისად, ეს მესიჯი, რომელიც სასწავლო პროცესის დასრულების პერიოდში შევსებული კითხვარის საშუალებით წამოვიდა, დიდი ალბათობით მიზანდასახულად გამოაგზავნა სტუდენტმა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მისი ურთიერთობა პროგრამის ფარგლებში დასასრულისკენ იყო მისული. თუმცა მისი მიზანი იყო, მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომელიც მას შეხვდა სწავლის პროცესში, ყურადღება გაემხვილებინა და სხვებისთვისაც გაეზიარებინა.

24-დან 11 სტუდენტი ბოლო შენიშვნაში ხაზს უსვამს სხვადასხვა ფორმით პროგრამის ფარგლებში ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის მნიშვნელობას. ამასთან, რამდენიმე ასაბუთებს, რატომ იქნებოდა კარგი ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა:

ერთ-ერთი სტუდენტი, ალბათ, აზერბაიჯანელი და, სავარაუდოდ, ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამიდან, აღნიშნავს:

– „მინდოდა სომხებთან და ქართველებთან მქონოდა ურთიერთობა, რომ ქართული უკეთესად მესწავლა“.

ის, რომ სტუდენტები გამიჯნულები იყვნენ ერთმანეთისგან, სერიოზულ პრობლემად არაერთგზის გამოიკვეთა, თუმცა სტუდენტის შენიშვნა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხარვეზის არსებობას პროგრამაში - სტუდენტების მოსაზრებები და შენიშვნები არ არის მოსმენილი და გაზიარებული პროგრამის ადმინისტრაციისა და ჩართული პერსონალის მიერ. მესიჯები, რომლებიც სტუდენტებისგან მოდის, საკმაოდ მკაფიო და კატეგორიულია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ტიპის მოსაზრებები და სურვილები მანამდეც გამოთქმულა.

- „მინდოდა ქართველებთან ურთიერთობა და კლასგარეშე აქტივობები“;
- „ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა მინდოდა, აქტივობებიც კარგი იქნებოდა“;
- „ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა გვქონოდა, კარგი იქნებოდა“;
 - „ქართველ სტუდენტებთან მინდოდა ურთიერთობა მქონოდა“;
- „ქართველ სტუდენტებთან რომ გვქონოდა ურთიერთობა, უკეთესად ვისწავლიდით ენას“;
- „ქართველ სტუდენტებთან რომ გვქონოდა ურთიერთობა, ქართულს უკეთ ვისწავლიდით“;
 - „ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა ძალიან გვჭირდება“;
 - „ქართველებთან ურთიერთობა მინდოდა“;
- „ქართველებთან რომ ურთიერთობა არ გვქონდა, ძალიან ცუდია, არ მომწონს ცალკე შენობაში რომ ვართ“;
- „ქართველებთან ურთიერთობა რომ გვქონოდა, უკეთესი იქნებოდა“.

ქართული ენის ცოდნა და კომპეტენციები, რომლებიც სტუდენტების უმრავლესობისათვის პრობლემებს ქმნის სწავლის პროცესში, ინდივიდუალური ძალისხმევის შედეგად წყდება. სტუდენტთა ნაწილი საკუთარ თანაჯგუფელებთან ერთად ემზადება და ქართველი თანატოლები ეხმარებიან, ნაწილი ენის პროგრამის ყოფილ ლექტორებთან მიდის დასახმარებლად. ერთ შემთხვევაში ლექტორები ასევე საუბრობდნენ დახმარების ცენტრის არსებობაზე, სადაც წარმატებული ქართველი სტუდენტები თანატოლებს ენობრივი და საგნობრივი პრობლემების გადალახვაში ეხმარებიან (ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი, თუმცა ამჟამად ცენტრი აღარ ფუნქციონირებს).

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო დონეზე სწავლის პროცესში კვოტირების სისტემით ჩართული სტუდენტების დახმარება უნივერსიტეტისა და ლექტორების მხრიდან

განსხვავებულია, თუმცა გარკვეული მიდგომები სხვადასხვა უნივერსიტეტში აღინიშნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მიუთითებენ, რომ ლექტორთა ნაწილი ითვალისწინებს მათ ენობრივ კომპეტენციებს:

- „კი, ვთქვათ, ერთი სიტყვა ვერ გაიგე, ტერმინოლოგია, მაგალითად დიფერენციაცია ყოველდღიურად არ იყენებ, მიხვალ და აგიხსნის...“

- „ძირითადად უმეტესობა შენსკენ არის გადახრილი და გეხმარებიან. მაგალითად მეორე სემესტრში XXX საგანს გავდიოდით და ყველას უჭირს ეგ საგანი და ისეთი კარგი ლექტორი გვყავდა, რომ გამოცდებამდე ვთქვათ კონსულტაციას ატარებდა. რო იცის რომ ბავშვებს უჭირს, ხომ შეეძლო ერთხელ ჩაეტარებინა და წასულიყო, მაგრამ მთელი კვირა თავისუფალი იყო და ყოველ დღე ატარებდა კონსულტაციებს და ყოველდღე იქ იყო და სულაც არ იყო ვალდებული და ვინც გადაბარებაზე გადის, გუშინ ფეისბუქზე დადო: „ბავშვებო მოდით და კიდევ ჩაგიტარებთ კონსულტაციებსო“;

- „მე ძალიან კარგი ლექტორები მყავდა, მეხმარებოდნენ, იცოდნენ რომ კარგად არ ვიცოდი ქართული, ჩემთვის მშობლიური ენა არ არის და მაგიტომ ვიყავი ასე“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საუბრობენ არამხოლოდ ლექტორის ინდივიდუალურ დახმარებებზე, არამედ დამატებით მექანიზმებზე მათთვის, რათა ენობრივი კომპეტენცია არ გახდეს მათი დაბალი შეფასების მიზეზი და მათი შეფასება რეალურად საგანთან დაკავშირებულ ცოდნაში, უნარებსა და კომპეტენციებში მოხდეს:

- „ჩვენთან ყოფილა, რომ ბავშვები ეკონომიკას ზოგადად 50 წუთში აბარებდნენ, მაგრამ ჩვენ 10 წუთს გვიმატებდნენ...“

აღნიშნული პოზიტიური გამოცდილება, რომელიც დაფიქსირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ძალიან მნიშვნელოვანია და კარგი იქნება ამ პრაქტიკის სხვა ლექტორებისთვისაც გაზიარება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოკუსჯგუფში სტუდენტთა მიერ ლექტორების ნაკლებად მხარდაჭერი მიდგომებიც იკვეთება.

ამავე კონტექსტში საინტერესოა ილიას უნივერსიტეტის გამოცდილება. თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდაჭერა ინდივიდუალურ ლექტორზეა დამოკიდებული, ილიას უნივერსიტეტში, სტუდენტთა განცხადებით, სისტემური მიდგომაა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პოლიტიკის ნაწილია გარკვეულ პერიოდში საბაკალავრო საფეხურზე კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებს მხარდაჭერა აღმოუჩინონ. კერძოდ, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები შემდეგ მნიშვნელოვან აქტივობებზე მიუთითებენ, რაც მათ მხარდასაჭერად ხორციელდება საბაკალავრო დონეზე სწავლის ეტაპზე:

- „უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააფრთხილა ლექტორები და ლექტორები შელავათს გვიკეთებენ“;
- „მასალას გვიადვილებენ, შემოკლებულ მასალას აკეთებენ არაქართველთათვის და დებენ არგუსზე“.

ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პოლიტიკის კვლევით სტუდენტები მიუთითებენ ლექტორთა კონკრეტულ ქმედებებზე, რომლითაც მათ საშუალება აქვთ საკუთარი უნარებისა და ცოდნის გამოვლენა შეძლონ და ენობრივი კომპეტენცია არ იქცეს დაბრკოლებად მათთვის:

- „მაგალითად, მათემატიკაში ლექტორმა ნება მომცა, რუსულად დამენერა“;
- „ნერის დროს ასოები თუ შემეშალა, ეს არ ითვლება“;

მომზადება სოციალური და სტუდენტური ინტეგრაციისთვის

ქართულის ენის ერთნაირი პროგრამის ფარგლებში არ ხდება სტუდენტების ინტეგრირება სასწავლებლის ცხოვრებაში. ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებს არ ეძლევათ საშუალება, გაიცნონ და ურთიერთობები დაამყარონ ქართველ და სხვა ეროვნების სტუდენტებთან. ენის პროგრამა ერთგვარ დახურულ სივრცეს წარმოადგენს, რომელიც სრულად არის გამიჯნული სასწავლებლის ცხოვრებისგან იმისდა მიუხედავად, ენის პროგრამა ცალკე შენობაში ფუნქციონირებს თუ საზიარო შენობაში. ამგვარი გამიჯნულობა გრძელდება ენის პროგრამის დასრულებისა და საბაკალავრო პროგრამის დაწყების შემდეგაც. გამოკითხვაში მონაწილეთა 60,9% აბსოლუტურად ეთანხმება ან ეთანხმება, რომ მათ არ ჰქონდათ ქართველებთან ურთიერთობა. გამოკითხულთა მხოლოდ 25,8% ამბობს, რომ მათ ჰქონდათ ქართველებთან ურთიერთობების საშუალება, რაც მათ მომავალ სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საინტერესოა სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების ერთმანეთთან ურთიერთობაც. გამოკითხულთა მხოლოდ 15, 3% მიუთითებს, რომ მათ ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობა ერთნაირ პროგრამაზე სწავლის პერიოდში. სოციალური ინტეგრაციის, სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ გამოკითხულთა დამოკიდებულებები ნათლად არის გამოხატული ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

ცხრილი #24 -პროგრამის არასაკლასო აქტივობები

პროგრამის არასაკლასო აქტივობები	კატეგორი არ ვეთანხმ.	არ ვეთანხმები	ნან. არ ვეთანხ.	ვეთანხმები	აბსოლუტ. ვეთანხ.	პასუხი არ არის
პროგრამაში არცთუ ხშირად გვქონდა კლასგარეშე აქტივობები	5.2%	29.0%	19.0%	38.6%	7.6%	0.5%
ჩვენ პროგრამის დროს არ გვქონდა საშუალება, გვქონოდა ქართველებთან ურთიერთობა	2.9%	22.9%	11.4%	49.5%	11.9%	1.4%

პროგრამის არასაკლასო აქტივობები	კატეგორი არ ვეთანხმ.	არ ვეთანხმები	ნაწ. არ ვეთანხმ.	ვეთანხმები	აბსოლუტ. ვეთანხმ.	პასუხი არ არის
უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას არ გვანდინდენ	4.8%	43.3%	11.9%	32.4%	4.3%	3.3%
მიუხედავად იმისა, რომ ერთ შენობაში და ერთ დროს ვსწავლობდით, სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების წარმომადგენლებს არანაირი ურთიერთობა არ გვქონდა ერთმანეთთან.	2.4%	12.9%	11.9%	42.9%	19.0%	11.0%
სტუდენტებს ხშირად გვინდოდა სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა, მაგრამ პროგრამის ფარგლებში არავითარი დაფინანსება არ იყო	4.3%	31.9%	11.4%	33.3%	13.3%	5.7%
ზოგიერთი მასწავლებელი თვითონ გეგმავდა სხვადასხვა აქტივობას და თავისი ინიციატივით მივყავდით სხვადასხვა ადგილას	9.5%	33.3%	15.2%	35.7%	3.8%	2.4%
მე იმედი მქონდა, რომ პროგრამაში მეტი იქნებოდა ისეთი აქტივობები, რომლებიც ქართველ სტუდენტებთან და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალებას მომცემდა	1.0%	11.4%	9.0%	55.2%	23.3%	0.0%
პროგრამის დამთავრების დრო მოვიდა, მე კი ზუსტად ისევე არ მაქვს ურთიერთობა ქართველ სტუდენტებთან, როგორც როდესაც სწავლა პირველად დავიწყე	1.4%	23.3%	7.1%	51.4%	16.7%	0.0%

ენობრივი კომპეტენციების მომზადების კუთხით პროგრამის ხარვეზებზე საუბრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ფოკუსჯგუფებში:

- „არა, ეს არ იყო, იმიტომ რომ წინა წელს ჩვენთვის ძალიან ადვილი იყო და ცოტას გვთხოვდნენ, მაგრამ იქ რომ გადავედით, ჩვენ წარმოდგენა გვქონდა, რომ ამასთან შედარებით ძალიან რთული არ იქნებოდა, რომ გავედი, არ მიჭირდა ლექტორი რასაც გადმოგვცემდა, იმას ვგებულობდით ჩვეულებრივად, მაგრამ მასალა იყო ბევრი თან მათემატიკაში სუსტი ვიყავი და ამან ძალიან იმოქმედა. სირთულეები შემექმნა გამიჭირდა სწავლა...“
- „...დიახ. ვისაც ვიცნობ, ენობრივი პრობლემა აქვს ძალიან ბევრს“;
- „...მეც ბევრს ვიცნობ ენობრივი პრობლემა ვისაც აქვს. მაგალითად ჩემთან სწავლობს ერთი ბიჭი, რომელმაც 6 საგნიდან ჩააბარა ერთი. იმიტომ რომ ენა არ იცის“.

სოციალური და სტუდენტური ინტეგრაციის თვალსაზრისით საბაკალავრო პროგრამისთვის მომზადებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე ცალსახად საუბრობენ ფოკუსჯგუფების მონაწილენიც.

ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ცალ-ცალკე ჯგუფებად არიან დაყოფილები. ამგვარი გამიჯვნის არგუმენტად კი სტუდენტთა შორის ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე სახელდება. სტუდენტებთან ჩანერილი ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ადასტურებს, რომ სტუდენტთა შორის კონფლიქტის შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მათი ეთნიკური ნიშნით ჯგუფებად დაყოფა არ არის გამართლებული, რადგან ისინი ერთი წლის განმავლობაში ისე სწავლობენ, ფაქტობრივად, ერთმანეთის გაცნობასაც კი ვერ ახერხებენ:

- „ისე დავამთავრეთ ეს პროგრამა, რომ ბევრ აზერბაიჯანელ სტუდენტს სახეზე ძლივს ვიცნობდი. მეორე სართული ჩვენი იყო, მესამე კი, აზერბაიჯანელების“;
- „ჩემამდე არ დადის, რატომ სწავლობდნენ ცალკე ჩვენ, სომხები და ესენი. პირველი სართული იყო ჩვენი მეორე და მესამე ამათი და რატომ?“

ეთნიკური ნიშნით დაყოფა არამხოლოდ ინტეგრაციისა და ინტერაქციული უნარების განვითარებაზე, სამოქალაქო შეგნების, შემწყნარებლობისა და მიმღეობის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს უარყოფითად, არამედ აკადემიური კუთხითაც არ არის გამართლებული. სტუდენტები თავად აღნიშნავენ, რომ შერეული ჯგუფების შემთხვევაში ორ ეთნიკურ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის საკომუნიკაციო ენა ქართული იქნებოდა, ხოლო ერთგვაროვან ჯგუფში კი ისინი ერთმანეთს მშობლიურ ენაზე ესაუბრებიან:

- „ჩემი აზრით, როდესაც სომეხი და აზერბაიჯანელია ერთად კლასში, ის ვერც სომხურად ილაპარაკებს და ვერც აზერულად, შესაბამისად ქართულად ილაპარაკებენ“;
- „საერთო ენა მოინახებოდა ქართული“;

- „ჩუღად რომ ვიღაპარაკოთ სომხურად ეს ხომ არ არის ლამაზი? შესაბამისად ვიღაპარაკებღით ქართულად“.

პოზიტიურ გამონაკლისად იღიას უნივერსიტეტის პროგრამის ფარღვღებში არსებულღ დამოკიდებულღბა შეიღღღღბა განვიხილოთ. კვლღვა აჩვენებს, რომ ის სომეხი და აზერბაიღანელი სტუდენტები, რომელთაც პროგრამის დასაწყისში ერთღვარი შიში და აგრესია ჰქონდათ ერთღმანეთის მიღმართ, უკვე პროგრამის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში ურთიერთობებს აუღღღღბესებდნენ და პროგრამის დასასრულღსათვის რიღ შემთხვევებში მეღობრებადაც კი ყალიბდებოდნენ. ამღვარი პოზიტიური ეთნიკური ჯღფუფთაშორისი ინტეგრაცია, გარდა იმ მოცემუღობისა, როდღსაც სტუდენტებს ერთად ყოფნა პროგრამის ფორმატიდან გამომდინარე უწევდათ, განპირობებულღა პროგრამის ლექტორების მიდგომით საკითხისადმი. მათი განმარტებით, პირველსავე ლექციებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს აჩვენებენ იმ რეაღობას, რომელშიც ერთ სამშობლოში - საქართველოში ქართველმა, სომეხმა და აზერბაიღანელმა ადამიანებმა ერთნაირი უფღებებისა და პირობების საფუძველზე უნდა დაამყარონ ურთიერთობა.

სტუდენტთა შორის ინტეგრაცია და ეროვნებათშორისი ურთიერთობების გაუღღღბესებისა და გაღრმავებისათვის ადმინისტრაციამ კლასგარეშე ღონისღიებების დაგეგმვის და განხორციეღების პროცესს, რომელიც თავად სტუდენტების ინიციაციღა იყო, არათუ ხელი შეუწყო, არამედ რიღ შემთხვევაში ხელიც კი შეუშალა ჩანაფიქრის განხორციეღებაში.

- „გვინდოდა ფეხბურთის მატჩი ჩაგვეტარებინა სომეხბსა და აზერებს შორის. საკურატოროში სტადიონის გასაღები ვთხოვეთ და არ მოგვცეს. წაგებულ-მოგებულღბი იჩხუბებთო“.

შერეული ჯღფუფებისათვის კლასგარეშე აქტივობების განხორციეღება ძირითადად ინდივიდუალური ლექტორების აქტივობას უკავშირდებღ. სტუდენტები ასახეღებენ რამდენიმე მათგანს, რომელთანაც სახღში ყოფიღან ერთად სტუმრად ან რაიმე ღირსშესანიშნაობის დასათვალღებლად ყვეღა ერთად წასულღ. ამღვარი ღონისღიებები არ არის გათვალღსწინებული პროგრამის ფარღვღებში და ლექტორების პირადი ინიციაციღების არც ხარჯების ანაზღაურების, არც ორგანიზებაში ხელშეწყობით არ ვღინდებღ.

ინტეგრაციის ხელღშემღღელ მნიშვნელოვან და დამაფიქრებელ ფაქტორად ასევე დასახეღდა ქართველი სტუდენტების არატოღერანტული დამოკიდებულღბა და მიმღეობის დაბალი დონე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მიღმართ. იმ შემთხვევაშიც კი, როდღსაც ერთწღიან პროგრამაში ჩართული პედაგოგები საუბრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა გახსნიღობასა და ინტეგრაციისათვის მზაობაზე პროგრამის დასრუღების პერიოდისათვის, პროგრამის განხორციეღების პროცესში იდენტიფიცირებულ მთავარ პრობღემად ქართველი სტუდენტებისგან წამოსული სიცივე და დამცირებითი დამოკიდებულღბა სახეღდება. ამღვარი დამოკიდებულღბა სტერეოტიპული დამოკიდებულღბით აიხსნება პროგრამის პერსონაღის მიერ.

- „აი, ეს სომეხია, აი ეს თათარია“;

- „ქართველები რომ გაუვლიან გვერდზე და აზერბაიჯანულ საუბარს გაიგებენ, ხმამაღლა კითხულობენ, - ეს რა რჯულის ხალხია და რა ენაზე ლაპარაკობენ“.

გამოიკვეთა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და დამცირების რამდენიმე კონკრეტული მაგალითი:

- „აზერბაიჯანელი ბიჭი იდგა გარეთ, ეწეოდა. უახლოვდება მოძველებიჭო სტუდენტი და ეკითხება, სიგარეტი ხომ არ გაქვსო. ეს ხსნის კოლოფს გულლიად და უწვდის სიგარეტს. სტუდენტი ბიჭი იღებს ათ ლერს, ყრის ძირს და ფეხებით სრისავს. მერე მიჭირს დავაჯერო, რომ ეს ბიჭი არა იმიტომ მოიქცა ასე, რომ აზერბაიჯანელი ხარ, ქართველსაც ასე მოექცევოდაო“.

პროგრამაში ჩართული პედაგოგები ასევე საუბრობენ იმ სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზე, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს პროგრამის დაწყების მომენტისათვის გააჩნიათ. ეს დამოკიდებულება, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის გარეთა პრაქტიკულ გამოცდილებასა და სასკოლო პერიოდში მიღებულ ინფორმაციას ეფუძნება.

- „მეტ-ნაკლებად ყველა ფიქრობს იმას, რომ აი, მე ქართველებს არ ვუყვარვარ“.

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი დამოკიდებულების გაცხადება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მიერ მხოლოდ პროგრამის დაწყების შემდეგ გარკვეულ ეტაპზე ხდება. მაშინ, როდესაც ისინი გრძნობენ აბსოლუტურად თანაბარ დამოკიდებულებას პედაგოგებისგან:

- „მერე ნელ-ნელა იხსნებიან და იწყებენ გულახდილ საუბარს“.

- „ფალიაშვილზე გაუჩერებია აზერი სტუდენტი პატრულს და პირადობა უთხოვია. უკითხავს, პირადობაში რატომ ხარ უღვაშებით და ისე არაო, თუ პირიქით. მიიღო ეს პირდაპირ თავის შეურაცხყოფად, ვუხსნით, რომ არა, ქართველსაც შეიძლება ასე ჰკითხონ, არა, მე სხვანაირი გარეგნობა რომ მაქვს, იმიტომ გამაჩერესო“.

გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები განსაკუთრებით სწავლის პირველ ეტაპზე გამოხატავენ მეტ უნდობლობას ქართველების მიმართ და ნებისმიერ პრობლემას საკუთარ ეთნიკურობას მიაწერენ. კვლევა აჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართვის პირველ ეტაპზე სტუდენტები განსაკუთრებით სენსიტიურები არიან.

- „ესენი გადიან აუდიტორიიდან და ქართველების ჯგუფი შემოდის. ეს ნორმალურია ჩვენთან (იციინის). აქ ერთი ნაკადი გამოდის, მეორე შედის. ყველანი დასწრებაზე არიან. ეს მიიღეს შეურაცხყოფად, ამიტომ ძალიან გალიზიანდნენ, ჯერ ჩვენ გავიღეთ და მერე შემოვიდნენო“.

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებიც ასახელებენ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მათ მიმართ არატოლერანტულ დამოკიდებულებას ქართველი სტუდენტების მხრიდან. მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ბევრი რამ გაიგეს ქართული კულტურის შესახებ, თუმცა ქართველებმა ცოტა იციან მათი კულტურის შესახებ, რაც მათ მიერ არ იწვევს ტოლერანტულ დამოკიდებულებას:

- „ერთმა ქართველმა მითხრა, რამდენ მუსლიმსაც მოკლავ, უფრო ახლოს ხარ სამოთხესთან. ამას რომ მეუბნება, ვწუხდები. ამას რომ ვეუბნები ქართველს, დამცინის. . .“
- „იმაზე ვგიჟდები, თათარს რომ მეძახიან“. . .

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები აგრეთვე მიუთითებენ ფაქტებზე, როდესაც უმრავლესობის მხრიდან ისინი არ არიან აღქმული ამ ქვეყნის სრულფასოვან და თანაბარუფლებიან მოქალაქედ და მსგავს განწყობებს ხშირად აწყდებიან არამხოლოდ სტუდენტურ, არამედ ყოფით ცხოვრებაშიც:

- „საქართველოზე იყო ლაპარაკი, კანონმდებლობაზე. „შენ რაში გაინტერესებო, შენი საქმე ხომ არ არის, შენ სომეხი ხარო“;
- „რა სიმპათიურია, ცუდია, რომ აზერბაიჯანელია, მეგონა ქართველი იყო“;
- „ქუჩაში მომისმენია, რამდენი არიას ენ სომხები და აზერბაიჯანელები“;
- „რა არის ეს სომხები და აზერბაიჯანელები? ვინ არიან არ ამბობენ, რა არიან ამბობენ“.

საინტერესოა ასევე ის მიდგომა, რომელსაც თავად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტი ავითარებს ამ ფაქტის მოყოლის შემდეგ და ცდილობს, რომ უმრავლესობიდან წამოსული რეპლიკა არა დისკრიმინაციად, არამედ საკუთარი იდენტობისა და კულტურის შესანარჩუნებლად მიმართულ ქმედებად შეაფასოს:

- „ცუდი გაგებით არ უნდა გავიგოთ ზოგჯერ. იტყვის, რომ სხვა ენის წარმომადგენელია და მეძნელეა მასთან ურთიერთობა. ეს ჩვენც თუ სხვასთან მოვხვდებით, ვიტყვით, რომ ძალიან სიმპათიური ბიჭია, მაგრამ ჩემი რელიგიური წარმოშობის არ არის“.

გარდა იმისა, რომ სტუდენტი ცდილობს გაიგოს განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ადამიანების წინაშე არსებული თანაცხოვრების სირთულე, საინტერესოა, რომ მის მიერ ზოგადად მოტანილი მაგალითი მრავალფეროვნებისადმი ნაკლებად ტოლერანტი ადამიანის პოზიციას გამოხატავს (ნაკლებად უნდა შეწუხდეს და არ დაიძაბოს გაუმართავი ენის გაგების გამო), ხოლო მეორე, საკუთარი პოზიციიდან მოტანილი მაგალითი კი სხვადასხვა კულტურებს შორის ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტულ საზღვრებს ავლენს და არა მთლიანად უარყოფს მას.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ქართველი სტუდენტების მხრიდან არატოლერანტული დამოკიდებულების მთავარ მიზეზად სახელდება მათი დაბალი ცნობიერება.

- „ისიც კი არ იციან, რომ ეთნიკური უმცირესობები ამხელა რაოდენობით არიან საქართველოში და დერეფანში გაიგებ ხმას, რა არის, ეს რა რჯულის ხალხია, რა ენაზე ლაპარაკობენ“.

ამასთან, ფიქსირდება პირდაპირი კავშირი ქართველ სტუდენტთა ტოლერანტული დამოკიდებულების და განსხვავების მიმართ პატივისცემის გამოხატვის ხარისხსა და

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შესახებ მათ ინფორმირებულობას შორის.

- „გვყავს ქართულის, როგორც მეორე ენის სტუდენტები და კიდევ ლევონ ისახანიანი კითხულობს კურსს „ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ. ისინი აბსოლუტურად სხვანაირები არიან“.

რეალურად, როდესაც ქართული ენის რომელიმე კონკრეტული პროგრამის პოზიტიური ასპექტების შესახებ არის საუბარი, ცალკე აღსანიშნავია წარმოდგენილი კონცეფცია, რომელიც ინტეგრირებული პროგრამის სახითაა დაგეგმილი და რომლის ფარგლებში პედაგოგები მუშაობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციის ხელშეწყობაზე:

- „აი ამ ტიპის მუშაობა, რომ სტერეოტიპი მოვუხსნათ, კომპლექსი მოვუხსნათ, რომ თავი იგრძნოს, როგორც სრულყოფილმა მოქალაქემ და აქცენტი იმაზე გვაქვს, რომ შენ ხარ ქართველი სომეხი, ქართველი აზერბაიჯანელი. არავითარ შემთხვევაში გაქართველებას არავინ არ გთხოვს, ასიმილირება პირიქით, ცუდია. ამას სულ ხაზს ვუსვამთ, რომ თავისი იდენტობა უნდა შეინარჩუნონ“.

გამოკითხვამ აჩვენებს, რომ ენის პროგრამაში ჩართული პერსონალი სრულიად არ იცნობს ენის პროგრამის კურსდამთავრებულების საბაკალავრო პროგრამის დანყების შემდგომ სტუდენტურ ცხოვრებას და პირობებს და აცხადებს, რომ სტუდენტები სრულად არიან ინტეგრირებულები სასწავლო სივრცეში და ქართველ სტუდენტებთან ინტეგრირებას იოლად ახერხებენ. სტუდენტთა ფოკუსჯგუფმა გამოვლინა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები საბაკალავრო პროგრამის დანყების შემდეგაც მეთნილად ერთმანეთთან მეგობრობენ და ნაკლები კომუნიკაცია აქვთ ქართველ სტუდენტებთან.

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ ეთნიკური უმცირესობების აკადემიური თუ სოციალური მხარდაჭერისათვის არც საფაკულტეტო და არც საუნივერსიტეტო დონეზე რაიმე ტიპის დახმარების ცენტრი არ არსებობს არცერთ უნივერსიტეტში. მსგავსი ტიპის ცენტრი არსებობდა ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში, თუმცა ის ამ ეტაპზე აღარ ფუნქციონირებს. ახალციხის ცენტრში სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დახმარებას აღმოუჩინდნენ აკადემიური თვალსაზრისით ამის საჭიროების მქონე სტუდენტებს. მათ ისევე, როგორც ყველა პირველკურსელ სტუდენტს, საშუალება ჰქონდათ მხოლოდ პირველკურსელებისათვის დაგეგმილ საინფორმაციო შეხვედრებში მიეღოთ მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ყველა უნივერსიტეტის სტუდენტი აღნიშნავს: მათ ერთნაირად პროგრამაზე სწავლის დანყებისას საორიენტაციო შეხვედრა არ ჩატარებიათ და ამის საჭიროება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ პირველ ნელს იყო.

თავი VI.

ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის შეფასება დაგეგმვის, განხორციელების, ინფრასტრუქტურის, სასწავლო და სტუდენტური გარემოს თვალსაზრისით

დღესდღეობით „სამელავათო პოლიტიკის“ შედეგად ჩარიცხული სტუდენტები 31 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, უმაღლეს სასწავლებელთა პროგრამებმა მოიპოვეს აკრედიტაცია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან და ამის საფუძველზე ახორციელებენ პროგრამებს. არსებობს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა, როცა უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს აკრედიტებული პროგრამა და ამ უნივერსიტეტის სტუდენტი ქართული ენის ერთწლიანი პროგრამას გადის სხვა უნივერსიტეტში უნივერსიტეტებს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე (მაგალითად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები პროგრამას გადიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). ყოველ სასწავლებელს გააჩნია საკუთარი, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მასში ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა მიერ ქართული ენის ათვისებას იმ დონეზე, რომ მათ შეძლონ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება. თითოეული პროგრამა შედგება 60 კრედიტისგან, რასაც ითვალისწინებს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების უმრავლესობა იდენტურია და, ფაქტობრივად, ერთიან ხედვას და კონცეფციას ემყარება. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალციხის სასწავლო ინსტიტუტის, ახალქალაქის კოლეჯის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტის, გორის, თელავის, ქუთაისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროგრამები შემდეგ კურსებს მოიცავს:

ცხრილი #25- თსუ ქართული ენის ერთნაირი პროგრამის კურსების ჩამონათვალი

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი (ECTS)										
აღწერა	საკონტაქტო საათები სემესტრში		დაბრუნებული მუშაობის საათები სემესტრში	დამოუკიდებელი მუშაობის საათები		დენდრაფიკი	სწავლების სემესტრი		სწავლების სემესტრი	სწავლების სემესტრი
	დენდრაფიკი	სემესტრში		დენდრაფიკი	სემესტრში		დენდრაფიკი	სემესტრში		
სასწავლო კურსის დასახელება	20	240	200	24	27	9	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი
1 ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ა. ლაბარაკი; ბ. მოსმენა; გ. კითხვა; დ. წერა) – 1	20	240	200	24	27	9	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი
2 ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ა. ლაბარაკი; ბ. მოსმენა; გ. კითხვა; დ. წერა) – 2	15	180	150	17	21	7	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი
3 ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1	5	45	60	8	9	3	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი
4 ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-2	5	45	60	8	9	3	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი
5 ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	5	45	60	8	9	3	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი
6 ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	5	45	60	8	9	3	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი
7 ქართული ენის ორთოგრაფია და მართლწერა	5	60	45	8	9	3	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი	დენდრაფიკი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია

აღნიშნული პროგრამის მიზნები და ამოცანები, მისაღწევი შედეგებიც ფაქტობრივად იდენტურია. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელები გაცხადებულ და მისაღწევ მიზნად სტუდენტებისათვის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნის მიცემას ასახელებენ. რეალურად, სტუდენტების ინტეგრირებისა და სოციალიზაციის ფაქტორი, როგორც სამომავლო საუნივერსიტეტო სწავლის საფეხურზე წარმატების ელემენტი, ამოვარდნილია პროგრამის ხედვიდან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები საუბრობენ გამოცდილებასთან ერთად გატარებულ ცვლილებებზე, რომლებიც სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმას გულისხმობდა. რეალურად, ეს ცვლილებები არ გულისხმობს სტუდენტების აღჭურვას იმგვარი უნარებითა და ცოდნით, რომელიც, ერთი მხრივ, მას საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის ენის პარალელურად სჭირდება, ხოლო მეორე მხრივ კი, ამგვარი უნარების არსებობა ენის განვითარებისათვის ხელშემწყობი და მასტიმულირებელი წინაპირობაა. პროგრამის ხელმძღვანელები ცვლილებებს ისევ და ისევ ენის ათვისების ეფექტური მეთოდების პერსპექტივიდან უყურებენ და ამას სხვა ტიპის განვითარების აუცილებლობაზე ზევით აყენებენ პროგრამის ფარგლებში:

- „ამაზე დიდი კამათი იყო: ხომ არ შევიტანოთ ცოტა საქართველოს ისტორია, ცოტა ისა, მაგრამ ენობრივი კუთხე იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარი, რაც არის, პროგრამის წარმატება იზომება შედეგებით“.

ამ თვალსაზრისით განსხვავებულია ილიას უნივერსიტეტის ერთნობიანი პროგრამა, რომელშიც შემდეგი კურსების ჩამონათვალი გვხვდება.

ცხრილი #26- ილიაუნის ქართული ენის ერთნობიანი პროგრამის კურსების ჩამონათვალი

№	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./ არჩ., არჩ.)	კრედიტები	საკონტ. საათები	სემესტრები	
					შემ.	გაზ.
GSL_101	ქართული ენის ინტეგრირებული კურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	12	180	X	
GSL-102	ქართული ენის ინტეგრირებული კურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	12	180		X
GSL-103	ენა და კულტურათმორისი დიალოგი (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	6	32	X	
GSL-104	მედიაკურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	6	32	X	

GSL-105	მედიაკურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	6	32		X
GSL-106	მინიპროექტები 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	6	32	X	
GSL-111	მინიპროექტები 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	6	32		X
GSL-107	დარგობრივი ენის კურსი (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	3	32		X
GSL-108	წინასაგამოცდო კურსი (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	3	32		X
GSL-INTRO-GEN-112	კომპიუტერის საბაზისო კურსი არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სავ.	3	32	X	
GSL-INTRO-GEN-113	ინფორმაციული წიგნიერება არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სავ.	3	32		X
GSL-109	ფუნქციური წერა	არჩევითი	3	32	X	
GSL-110	ქართული ენის გრამატიკა (პრაქტიკული კურსი)	არჩევითი	3	32		X
INTRO-COM-GEN-101	აკადემიური წერა	არჩევითი	6	32	X	
INTRO-COM-GEN-102	კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და დისკუსიის ტექნიკები	არჩევითი	6	32		X
INTRO-HUM-EL-105	კავკასიური ენები და მათი ადგილი მსოფლიოს ენებს შორის	არჩევითი	3	32	X	
INTRO-HUM-EL-106	ქალი და მისი ადგილი კავკასიურ სინამდვილესა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში	არჩევითი	3	32		X
HUM-KART-EL-114	კავკასიოლოგიის შესავალი	არჩევითი	6	32	X	
HUM-ORS/HIST-EL-102	ისლამი	არჩევითი	6	32	X	
HUM-LIT-EL-107	ლიტერატურული შედეგები XX-XXI საუკუნეებში	არჩევითი	6	32	X	
HUM-HIST-KART-EL-124	ჩრდილოკავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა	არჩევითი	6	32		X
HUM-ORS/HIST-EL-101	პოლიტიკური პროცესები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში	არჩევითი	6	32		X

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია

როგორც პროგრამებიდან ჩანს, ყველა უნივერსიტეტის პროგრამა ორიენტირებულია ენობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და საგნების ჩამონათვალი მოიცავს წერის, კითხვის, მოსმენის, ლაპარაკის, ლექსიკისა და გრამატიკული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ საგნებს. ილიას უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის კონცეფცია და მეთოდური მიდგომები ენისა და კულტურის ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს. შესაბამისად, პროგრამა არ გულისხმობს მხოლოდ ენობრივი კომპეტენციების განვითარებისთვის აუცილებელ საგნებს, არამედ ორიენტირებულია სხვადასხვა სამოქალაქო და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე და საგნების მეშვეობით ენის სწავლებასაც გულისხმობს. ილიას უნივერსიტეტის ერთწლიანი მოსამზადებელი პროგრამის ფილოსოფია მის სახელწოდებაშიცაა ასახული და მას „ქართული, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა“ ჰქვია. ილიას უნივერსიტეტის პროგრამაში გვხვდება ენობრივი საგნების გარდა შემდეგ საგანთა ჩამონათვალი: მედიაკურსი, მინიპროექტების კურსი, კომპიუტერის საბაზისო კურსი, კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და დისკუსიის ტექნიკები, ინფორმაციული წიგნიერება, ენა და კულტურათშორისი დიალოგი, კავკასიური ენები და მათი ადგილი მსოფლიოს ენებს შორის; ქალი და მისი ადგილი კავკასიურ სინამდვილესა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში; კავკასიოლოგიის შესავალი; ისლამი; ლიტერატურული შედეგები XX-XXI საუკუნეებში, პოლიტიკური პროცესები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში; ჩრდილოკავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა.

მხოლოდ ენობრივი კურსის ხარვეზებსა და სხვა საინტეგრაციო საგნების უგულვებლყოფაზე საუბრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოკუსჯგუფში. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც საკმაოდ მაღალი კომპეტენციით მივიდნენ ერთწლიან პროგრამაზე:

- „მე შეიძლება ახლა ძალიან ცუდ რაღაცას ვამბობ, მაგრამ მე ეს წელი მართლა დავკარგე. ძალიან ძნელია, როცა 12 წელი სწავლობ, მერე მოდიხარ აქ, არაფერს სწავლობ და მერე უცბად მიდიხარ მაღლივში და არაფრის აზრზე არა ხარ. ძალიან ძნელია. ასე რომ, ვნანობ ცოტა. დამეკარგა წელი, ასე ვთქვათ“.. .
- „აქ ვერ ვიტყვი, რომ ლექციები ტარდებოდა ჩვეულებრივად, როგორც სკოლაში სემინარები“.. .
- „აქ ლექცია არ იყო. ლექცია მე ვნახე მაღლივში“.. .

აქვე აღსანიშნავია, რომ 2010-2013 წლებში უნივერსიტეტების ნაწილში პროგრამებში მიღებული გამოცდილების, არსებული პრობლემების ან წარმატებების გათვალისწინებით პროგრამის მოდიფიკაცია ან განახლება არ მომხდარა. ამ თვალსაზრისით ილიას უნივერსიტეტში განსხვავებული ვითარებაა და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მან შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა 2010 წელს შემუშავებულ პროგრამაში:

- დაიხვენა პროგრამის კურიკულუმი. დაემატა მინიპროექტების კურსი მეორე სემესტრში.
- პროგრამას შეეცვალა სახელწოდება: ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა.

- კურსის ფარგლებში: მედიალური სასწავლო გარემო - სტუდენტები დადიან სხვადასხვა ორგანიზაციებში და ინერენ ინტერვიუებს და აგროვებენ ინფორმაციებს, რაც ეხმარება მათ სოციალური უნარების განვითარებაში, კომუნიკაციაში, ენის პრაქტიკულ ათვისებაში. ამ მიზნით ჯანმრთელობის თემასთან დაკავშირებით სტუდენტები იყვნენ სხვადასხვა კლინიკებსა და აფთიაქებში, გართობის თემასთან დაკავშირებით - თეატრში, კინოთეატრში, უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრში; პროფესიის თემაზე შეხვდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, აიღეს ინტერვიუები: სილამაზის სალონში, ავტობუსის მძღოლებისგან, მთანმინდის პარკში, საჭმლის თემაზე. იყვნენ სხვადასხვა კვების ობიექტში.

მომზადებული პროექტები იტვირთება მუდლის პროგრამაში. მიმდინარეობს თითოეული პროექტის განხილვა და შეფასება.

- პროგრამა მუშაობს მუდლის ონლაინ პორტალზე, სადაც ხდება ახალი მასალების ატვირთვა. სტუდენტებსაც ევალებათ სხვადასხვა დავალებებისა და პროექტების ატვირთვა ამ პორტალზე, რაც ხელს უწყობს მათ ონლაინსივრცით სარგებლობის განვითარებას.
- იქმნება ახალი მასალები აღნიშნული პროგრამისათვის. კერძოდ, რუსთაველის ფონდის ფარგლებში კეთდება პროექტი: ძველი და თანამედროვე ქართული ენის სასწავლო ონლაინპორტალი. ეს პორტალი მიზნად ისახავს ქართული ენის სასწავლო ონლაინპორტალის შექმნას.
- ასევე უნივერსიტეტის მხარდაჭერით შეიქმნა ქართულ ენაში მომზადებისთვის დამატებითი ვიდეომასალები, მასალების გადაღებაში მონაწილეობა მიიღეს ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა.
- პროგრამის ფარგლებში მუდმივად იქმნება დამატებითი ავთენტური მასალები, რაც ხელს უწყობს ქართულის შესწავლის პროცესს.
- მოხდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის გამდიდრება. გაუმჯობესდა რიდერების დამზადების პროცედურა, ამისთვის შეიქმნა რიდერის ინფორმაციის შევსების სპეციალური ონლაინფორმა.
- საუნივერსიტეტო ელექტრონულ სისტემა „არგუსში“ დაინერგა სასწავლო პროგრამების შეფასების ახალი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ყოველი სემესტრის ბოლოს შეფასდეს ნებისმიერი სასწავლო კურსი, ლექტორი და ადმინისტრაციული საქმიანობა ონლაინფორმატში (ნაბეჭდი კითხვარების შევსების პროცედურის ნაცვლად).

აღსანიშნავია, რომ ილიას უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ცვლილებები პოზიტიურად აღიქმება სტუდენტების მიერ. მინიპროექტების კურსი, რომელიც ცვლილებების შედეგად დაინერგა, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ მიდგომად დასახელდა სტუდენტების მიერ ილიას უნივერსიტეტის ფოკუსჯგუფში:

– - „ახალი მეთოდები“;

– - „აქცენტი გაკეთებულია პრაქტიკაზე“;

- - „ვიდეორჩანანერებს ვუსმენთ“;
- - „გვაგზავნიან ინტერვიუს ასაღებად“;
- - „გვაქვს მინიპროექტები კვირაში ერთხელ“;
- - „ვიღებთ ინტერვიუებს, ავიღეთ ინტერვიუ ეთნოგრაფიულ მუზეუმში“;
- - „ვიყავით ფეხბურთის ფედერაციაში ინტერვიუზე (სპორტის თემაზე)“;
- - „შევიტყვეთ ჯომარდობის შესახებ“;
- - „ვიყავით ჩოგბურთის ფედერაციაში“.
- - „ამ ინტერვიუებს ვგეგმავთ ლექტორებისა და ტუტორების მეშვეობით. ტუტორები მომადგებიან გვყავს. თითო ჯგუფს თითო ტუტორი გვყავდა, სტუდენტები არიან ტუტორები“;
- - „ეს აქტივობები გვებმარება, ბევრ რამეს ვიგებთ, ვსწავლობთ ადგილებს, ქართველებიც იგებენ ჩვენ შესახებ“;

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მინიპროექტები და დავალებები, რომლებიც კურსების ფარგლებში ტარდებოდა, უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იყო მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის:

- - „ინტერვიუებით გავიცანით ქართველები“...
- - „გავიგეთ სამების შესახებ“...
- - „ქართული კულტურის შესახებ“...

პროგრამის ფარგლებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტსა და ახალქალაქის კოლეჯშიც. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნავენ:

- - „კი, შევიმუშავეთ. მეორე სემესტრიდან მართლწერის კურსი შევიტანეთ, თითოეულმა წელმა მერე განსაზღვრა, რომ პატარ-პატარა ცვლილებები შეგვეტანა. მოხდა ისე, რომ კომუნიკაციური გრამატიკა ჩვენ მეორე სემესტრშიც გავაგრძელეთ. იმიტომ რომ ესენი არ სწავლობენ სისტემურ გრამატიკას, არც არის მათთვის აუცილებელი და ამიტომ საჭირო აღმოჩნდა. ძალიან უჭირთ მოსმენით ლექციების გაგება და ბავშვების მოთხოვნა იყო, რომ მეორე სემესტრშიც გავაგრძელოთ. შევიტანეთ საგანი, გავაგრძელეთ და ამ საგანს ვუნოდეთ „სპეცკურსი“. და რას ითვალისწინებდა: სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის ადაპტირებული ტექსტების შემოტანას, რომელიზედაც უშუალოდ იმუშავებდნენ. ასეთი ტექსტები ჩვენ „კითხვის სტრატეგიებში“ ვერ მივანოდეთ მათ, იმიტომ რომ რთული იყო პირველი სემესტრისთვის“.

ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტსა და ახალქალაქის კოლეჯშიც ცვლილებები ძირითადად ენის სწავლებას უკავშირდებოდა და სხვა მიმართულებით განსახორციელებელი ცვლილებები ნაკლებად გატარდა. უნივერსიტეტის და კოლეჯის შემთხვევაში კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს პროგრამის შესაბამისობის კოორდინაცია. მას შემდეგ, რაც ახალქალაქის კოლეჯს ოფიციალური, დამოუკიდებელი სასწავლებლის სტატუსი არ გააჩნია და ის ახალქალაქის

სასწავლებლო უნივერსიტეტის (ამჟამად უკვე სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის) ნაწილია, პროგრამის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ქართული ენის პროგრამაც უნიფიცირებული უნდა იყოს და არამხოლოდ სასწავლო გეგმისა და შედეგების, არამედ სწავლების მიდგომებისა და მეთოდოლოგიის კუთხითაც უნდა არსებობდეს სისტემურობა.

- „მას შემდეგ რაც ჯავახეთი შემოგვიერთდა, ამის საჭიროება გავციხდა, არ გვიცხდა ორი პოლარიზებული პროგრამით მუშაობა ერთ უნივერსიტეტში“.

ამ შემთხვევაში უკვე სწავლისათვის არსებული გარემოსა და პროგრამის სასწავლო გეგმის ურთიერთშესაბამისობის საკითხი დგება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უნდა იყოს პროგრამების უნიფიცირება ხელმძღვანელებისა და პედაგოგების ამოცანა.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართული ლექტორები, ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესების გარდა, ბევრ სხვა დეტალსაც განიხილავენ პროგრამაში კონკრეტულად და საშეღვათო პოლიტიკაში ზოგადად, როგორც პოზიტიურს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრაციის კუთხით.

- „მე ვფიქრობ, რომ ეს არის ერთ-ერთი ძალიან სერიოზული ნაბიჯი სახელმწიფო პოლიტიკის სასარგებლოდ, ეს სწორედ ის მოსახლეობაა, რომელიც, მოგეხსენებათ, ლარს არ ცნობდა ფულად ერთეულს და დღეს ეს ბავშვები აქ ჩამოდიან ყოველგვარი აგრესიის გარეშე, ისინი სწავლობენ, ეს ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით სახელმწიფოს ფუნქციონირების თვალსაზრისით არის ძალიან საინტერესო და კარგი და სწორი ნაბიჯი, ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი“.

სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობასა და საშეღვათო პირობების დადგენაზე საუბრისას აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ პროგრამის ხელმძღვანელების ნაწილი სახელმწიფოსათვის სერიოზულ გამოწვევად მიიჩნევს ერთგვარი ბალანსის დაცვასაც ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეღვათების განსაზღვრის პროცესში. გამოითქვა მოსაზრება, რომ იმ პირობებში, როდესაც სწავლის დაფინანსება უმაღლეს საფეხურზე საკმაოდ პრობლემურია და, ამასთან, ლიმიტირებულიც, კარგად უნდა განისაზღვროს ის პირობები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების სწავლის შესაძლებლობებს განსაზღვრავს, რათა არ მოხდეს ფინანსების არაეფექტური გადანაწილება:

- „შეღვათი არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას, არ მინდა, რომ მოხდეს ზომიერების დარღვევა“ .

პროგრამის ხელმძღვანელი ზომიერების დარღვევად მიიჩნევს გრანტის წვდომის მექანიზმების ზედმეტად გამარტივებას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისათვის, რაც, მისი აზრით, აუცილებლად იმოქმედებს სწავლის ხარისხზეც.

გარდა საშეღვათო პოლიტიკის ზოგადი შეფასებისა და ძირითადი პოზიტიური ასპექტების გამოყოფისა, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ არსებობს რიგი გამოწვევები, რომლებიც ქართული ენის პროგრამის ჯერ კიდევ დაგეგმვის ეტაპზე იკვეთება.

(ა) ქართული ენის ერთნლიანი პროგრამის ადმინისტრირება

კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამის ადმინისტრირების კუთხით რიგი პრობლემები და ხარვეზები ფიქსირდება ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში, რომელშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობს (ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 53% სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს).

ადმინისტრაციული კუთხით სერიოზული პრობლემა დაფიქსირდა სტუდენტების ფაკულტეტებზე აღრიცხვის დროსაც. ტესტირების შედეგებზე დაფუძნებული მონაცემები და სიები დროულად არ მიეწოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რის შედეგადაც პირველ კურსზე სწავლის დასაწყები აუცილებელი პროცედურების გასავლელად სტუდენტები არ იყვნენ დაფიქსირებული ბადეში, ვერ ირჩევდნენ სასურველ ლექტორებსა და საგნებს. ახალციხის უნივერსიტეტში აღმოჩნდა, რომ ზაფხულის პერიოდში, როდესაც სტუდენტს უკვე დამთავრებული ჰქონდა ქართული ენის ერთნლიანი პროგრამა და, ამასთან, ვერ არ იყო ასახული უნივერსიტეტის არცერთი საბაკალავრო პროგრამის ბაზაში, ის ვერ ახერხებდა ცნობის აღებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან და სამხედრო კომისარიატისთვის იმის დამტკიცებას, რომ ჩარიცხულია.

ადმინისტრაციულ-აკადემიური კუთხით ასევე ხარვეზად უნდა იქნეს განხილული ის ფაქტი, რომ პროგრამაში ჩართულ ლექტორთა შორის კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის სტრატეგია არ არსებობს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ლექტორების მხრიდან არსებობს მზაობა, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, შემუშავებული მასალები, მათ ამგვარ ინიციატივას მხარდაჭერა არა აქვს. მაგალითად, ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში ლექტორთა ნაწილს აქვს დიდი სურვილი, შეიქმნას ელექტრონული სივრცე, სადაც განთავსდება ის მასალები და რესურსები, რომლებსაც ლექტორები ქმნიან სტუდენტებთან მუშაობისთვის და იყენებენ. ამგვარი სურვილი არაერთხელ დაფიქსირდა ადმინისტრაციაშიც, თუმცა ამას არანაირი ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია. ლექტორები ასევე საუბრობენ პროგრამაში ჩართული პროფესიონალების რეგულარული შეხვედრების აუცილებლობაზე, რათა მოხდეს გამოცდილების გაზიარება, წარმატებული მათოდებისა და ქეისების აღწერა, პრობლემებზე მსჯელობა. ამგვარი შეხვედრების ორგანიზება და ხელშეწყობა ფაქტობრივად არცერთ გამოკითხულ სასწავლებელში არ დაფიქსირდა.

– „მასალებთან დაკავშირებით, ყველა მასწავლებელი ცდილობს, ყოველი ლექციისთვის ემზადება, რაღაცას პოულობს, მოაქვს, შეაქვს და მორჩა. და მერე გაცვლა ამ მასალებისა, გარდა სახელმძღვანელოებისა აღარ ხდება, ანუ კარგი იქნებოდა...აი მე და თათას გვქონდა ეგეთი იდეა რო მოვიძიოთ ეს მასალები, ერთად ავტვირთოთ რაღაცა სივრცეში, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს“.

– „ყოველი ლექციისთვის ვამზადებ ამ ტექსტებს,.. ასე ვთქვათ, რომ კითხვის ლექტორები ერთად, წერის ერთად და გაცვალათ ესენი თუნდაც თვეში ერთხელ, გაცვალათ მასალა, ვუთხრათ რომ... რომ ჩემთან ამან იმუშავა კარგად, შენთან ნახე. აბა, უფრო გაართულე ან რაღაცა და ეს გამოიწვევს იმას, რომ ჩვენი პროდუქცია, ვთქვათ, რაც გავაკეთეთ და დავტესტეთ და კარგად იმუშავა, შემოძლია გავუზიარო კოლეგებს, ეს ხომ მარტო ჩემი არ არის და ჩემი მიზანი ხომ

არის, რომ პროგრამას მივეშველო, ასე ვთქვათ. . .“

ურთიერთთანამშრომლობის დეფიციტზე და თანმდევ პრობლემებზე საუბრობს სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელიც:

– „როდესაც ვინცებდით პროგრამას, ორ კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით და ვამბობდით, აი რა მოხდა, როგორ მოხდა, ენთუზიაზმი დიდი იყო, ეს შედეგი მაქვს, ის შედეგი, მერე ნელ-ნელა განელდა, გავითოვაცდით. გულწრფელად გეტყვით: ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ვინ რას ასწავლიდა, გახდა ცოტა გაურკვეველი და ვიფიქრეთ, დროზე უნდა ვუშველოთ ახლა ამ პროგრამას, განსაკუთრებით გაგვექცევა ახალქალაქი. აქ ჩვენ თვითონ დავიშლებით და სასწრაფო წესით დავნიშნეთ სხდომები, მოვინვიეთ ქალბატონი ნათელა, ჩავაბარეთ ეს ორი პროგრამა, მე ვგულისხმობ მასალების და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. დიახ, ეს პრობლემა რომ იყო, იმიტომ გადავწყვიტეთ კონტრაქტით მონვეული პედაგოგი ამ პროგრამის კოორდინაციისათვის“.

საგულისხმოა, რომ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული მასალები არამხოლოდ განახლებას მოითხოვს, არამედ რიგ შემთხვევებში ისინი შემდეგი ნაკადის სტუდენტებისათვის საერთოდ გამოუსადეგარიც კი არის ხოლმე:

– „ამონურა ზოგიერთმა მასალამ თავი, იმიტომ რომ სხვა დონის სტუდენტი მოგვივიდა“.

ყველა პროგრამის პედაგოგი და ხელმძღვანელი საუბრობს ყოველ ახალ ნაკადთან ერთად, სტუდენტების ენის ფლობის უკეთეს დონეზე, რაც პროგრამაში ახალი კომპონენტების, მეთოდებისა და ახალი აქცენტების გაკეთების აუცილებლობაზე მიუთითებს, თუმცა რეალურად ამგვარი ცვლილებებისათვის მზაობა თავად უნივერსიტეტების შიგნით ნაკლებად იგრძნობა.

ასევე პრობლემურია ლექტორებისათვის იმ მარტივი და დაბალხარჯიანი რესურსების უზრუნველყოფაც კი, რომლებიც მათ საშუალებას მისცემდა სწავლების ეფექტური, ინტერაქციული მეთოდები გამოეყენებინათ აუდიტორიაში:

– „მოკვდი თაბახის ფურცლების ერთმანეთზე გადაბმით, იმიტომ რომ ფლიპჩარტი არ არის. მრცხვენია ყველა ჯერზე XXX-ის შეწუხება, ის ამომიბეჭდე, ეს ამომიბეჭდეო“.

ინფრასტრუქტურის თვალსაზრისითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლები ასახელებენ გარემოს პრობლემებს, რომელიც ხელს არ უწყობს თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვას:

– „გარემოსთან დაკავშირებით დავამატებ ერთ რამეს: გარემო ნამდვილად არ არის ისეთი. აი, მოტივაციას როცა შევხებით... ნახეთ თქვენ თვითონაც აუდიტორიებიც. კი არის, ვთქვათ, პოსტსაბჭოთა სივრცისთვის ძალიან კარგი გარემო, მაგრამ იგივე, ვთქვათ, თუ გინდა რომ ჯგუფებში ამუშაო, მერხი არის აი ამ კედლიდან ამ კედლამდე, ჯგუფში მუშაობა აი რანაირად, რომ ვეუბნები, მიბრუნდი, როგორ მიბრუნდნენ, ველარ ხვდებიან, ანუ სწავლების თანამედროვე მეთოდებისთვის გარემო არ არის ნამდვილად“...

ადმინისტრაციულ და ბიუროკრატიულ დაბრკოლებებზე საუბრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. მათი განმარტებით, საკუთარი ინიციატივით და რესურსით შეუძლიათ კლასგარეშე აქტივობების ორგანიზება, თუმცა პროგრამის ფარგლებში ფინანსური რესურსი მსგავსი აქტივობებისთვის არ არის გათვალისწინებული და, სურვილის მიუხედავად, მისი განხორციელება შეუძლებელია:

- „...და კიდევ ერთი, ექსკურსიები... მთელი წელი ვიბრძოდი, რომ წავსულიყავით ექსკურსიაზე, ბოლოს აღმოჩნდა, რომ დეკანატს არ ეხება, თვითმმართველობას ეხება, თვითმმართველობამ ახლა არაა, მოკლედ, ვერ წავიყვანე“.

თუმცა, მეორე მხრივ, თვალსაჩინოა პროგრამის ადმინისტრირების პოზიტიური მაგალითები და გამოცდილება, რომელიც, ერთი მხრივ, ფოკუსირებულია სტუდენტების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომაზე, ხოლო მეორე მხრივ კი მიმართულია პროგრამის ინტეგრაციაზე მთლიან საუნივერსიტეტო სივრცეში და მის ერთიან ნაწილად განხილვაზე.

ილიას უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით განსხვავებულია პროგრამის ადმინისტრირების **შიდა საპროგრამო მექანიზმები**, რომლებიც აგებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის ყველა აქტივობის სრულ კოორდინაციაზე, ასევე, საერთო ხედვების გაზიარებაზე პროგრამის განხორციელებისა და შედეგების მიღწევის პირობებთან დაკავშირებით.

პროგრამაში ჩართულ პედაგოგებს შორის რეგულარულად ხდება სწავლების, მასალასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება. ამისათვის ყველაზე მოხერხებულ მეთოდად ე-პორტალი განიხილება, სადაც ყველა ლექტორი ყოველი ლექციის შემდეგ აკეთებს კომენტარს კონკრეტული შემთხვევის, წარმოქმნილი სიტუაციის შესახებ ან ჩანაწერი ზოგადი დასკვნის სახით.

ასევე ხდება სასწავლო მასალების გაცვლა ე-პლატფორმაზე, სადაც ყველა ახლადშემუშავებული მასალა, ცვლილება, რომელიც მასალების პილოტირების შედეგად განხორციელდება, ასახულია და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

ეფექტურია **პროგრამის გარე** ადმინისტრირების სტრატეგიაც, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტში არსებულ ყველა ფაკულტეტის დეკანთან კოორდინაციას არამხოლოდ სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულებისა და სპეციალობების მიხედვით გადანაწილების პერიოდში, არამედ პროგრამის დასაწყისიდანვე. ეფექტური ადმინისტრირების საშუალებით პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებისათვის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პირველი წელიწადისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება შესაძლებელი. ამ გეგმის მიხედვით ის სტუდენტები, რომლებიც პროგრამის დასრულებისათვის ქართული ენის ფლობის **B2** საფეხურს აღწევენ, თავისუფლდებიან საბაკალავრო საფეხურზე ქართული ენის შემდგომი სწავლის აუცილებლობისაგან და თავისუფალ კრედიტებს სურვილის მიხედვით ირჩევენ. ამასთან, ენის პროგრამასთან კოორდინაციის შედეგად ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებისათვის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პირველ წელიწადში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება შესაძლებელი, რომლის მიხედვითაც ის სავალდებულო საგნები, რომელთა გავლა საბაკალავრო კურსის მიხედვით სწავლის პირველსავე წელიწადშია

სავალდებულო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა სტუდენტებმა საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე სემესტრამდე შეუძლიათ გადაიტანონ.

სტუდენტები, რომლებიც B2 დონეზე დაბალი მაჩვენებლით ამთავრებენ ერთწლიან პროგრამას, არჩევითი კრედიტების ფარგლებში აგრძელებენ ქართული ენის შესწავლას ენის ცენტრში, რაც ასევე კოორდინირებულია ენის პროგრამის პერსონალთან. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაკალავრო პროგრამა არ ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტებს, ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებისათვის ინგლისური ენის სავალდებულო კურსი იცვლება ქართულის, როგორც მეორე ენის კურსით, ხოლო ინგლისური ენის კურსის გავლა კი მესამე სემესტრისათვის გადავადდება.

(ბ) პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება

როგორც უკვე აღინიშნა, ერთწლიანი პროგრამის სასწავლო გეგმა თითოეულ სასწავლებელში უნიფიცირებულია და ყველა სტუდენტისათვის ერთიანი. შესაბამისად, ამგვარი უნიფიცირებული პროგრამა იმ სტუდენტებისგან, რომლებსაც პროგრამის დასაწყისშივე განსხვავებული ენობრივი კომპეტენციები გააჩნიათ, სხვადასხვა ძალისხმევას მოითხოვს, რათა იმგვარ ენობრივ და აკადემიურ მოსწრებას მიაღწიონ, რომელიც მათ საბაკალავრო ფაკულტეტზე სწავლის საშუალებას მისცემს.

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტთა განსხვავებული ენობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე, სასწავლო პროგრამა ყველასათვის ერთნაირად ეფექტური არ არის და რიგ შემთხვევებში ის ენობრივი ამოცანები, რომლებიც განსხვავებული ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტების წინაშე დგას, აღემატება ან არ ამართლებს მათ მოლოდინს. ამ პრობლემას რამდენიმე მიზეზი გააჩნია. კერძოდ:

(ა) პროგრამის დასაწყისშივე ჯგუფებად გადანაწილების კრიტერიუმები არაეფექტურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში. პროგრამაში სტუდენტების ჯგუფებად გადანაწილება ტესტირებისა და გასაუბრების შედეგად ხდება. თუმცა ამგვარი შემოწმება არ არის საკმარისი სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების დასადგენად. სტუდენტები ასახელებენ კონკრეტულ მაგალითებს, როდესაც ერთ-ერთი მათგანი მოცემულ ტესტს ბოლომდე არ ავსებს, მაგალითად, მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობართან ერთ ჯგუფში აღმოჩნდეს. სტუდენტები აგრეთვე მიუთითებენ სხვა მაგალითებსაც ფოკუსჯგუფების შეხვედრაზე:

- „ის მინდოდა მეთქვა, რომ ტესტირება ჩავგიტარეს თავიდან და ჯგუფებად დაგვყვეს. ზოგიერთმა გადანერა და იმათთვის იყო ცუდი, ზოგიერთმა სპეციალურად არ დანერა, ვილაცასთან ერთად უნდოდა ყოფილიყო და იმიტომ“.

ჯგუფების გადანაწილების არაეფექტურობაზე ლექტორებიც საუბრობენ და აღიარებენ, რომ რიგ შემთხვევებში ჯგუფში არაერთგვაროვანი ენობრივი კომპეტენციების მქონე სტუდენტები არიან გაერთიანებული. ამგვარი არაერთგვაროვნება კი რეალურად პრობლემურადაა აღქმული პროგრამაში, რადგან პროგრამის დაგეგმვის მიხედვით, ჯგუფების შედგენა უნდა მოხდეს „ძლიერ“ და „სუსტ“ ჯგუფებად და, შესაბამისად, მუშაობაც ამგვარ ჯგუფებში სანყისი დონის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

– „ამის დიფერენცირება არ ხდება კარგად, ეს მართლა პრობლემაა, ყველა, ვინც პრაქტიკოსი ვართ აქ, ვეხებით ამ პრობლემას და ძალიან ხელშესახებია და ძალიან მკაფიოდ ჩანს. თვითონ ჯგუფებშიც ვცდილობთ ხოლმე სასნავღვლო წლის დასაწყისში რომ დონის მიხედვით განისაზღვროს სუსტი, საშუალო, მაგრამ მაინც არის თვითონ იმ ჯგუფებშიც მეტნაკლებობა“.

ამგვარი ჯგუფები ორივე სემესტრის განმავლობაში ნარჩუნდება. შესაბამისად, იმთავითვე არ არსებობს სტუდენტების დაინტერესება, ჩართულები იყვნენ შიდა პროგრამულ მობილობაში და ამგვარი სისტემის არსებობის შემთხვევაში შეიცვალონ ჯგუფები საკუთარი მოსწრებისა და ნარმატებების შესაბამისად. ამგვარი გადანაწილება იმთავითვე ქმნის სტუდენტებში „კლიმეს“, სტატუსის შექმნას, რადგან სტუდენტებმა იციან, „ძლიერ“ ჯგუფში არიან გაერთიანებული თუ „სუსტში“. შესაბამისად, ლექტორებისა და თავად სტუდენტების მიერ საკუთარი თავის მიმართ მოლოდინიც ჯგუფის სპეციფიკის შესაბამისია.

თუმცა ილიას უნივერსიტეტში ჯგუფებში გადანაწილების პრაქტიკულად იმავე სისტემაში მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალია; პროგრამის სტუდენტები პრეტესტის შედეგების მიხედვით საორიენტაციო ჯგუფებად გადანაწილდებიან და პირველი ორი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე გადაეწყობიან სხვადასხვა ჯგუფებად, სანამ მაქსიმალურად ეფექტური ჯგუფები არ შედგება. ამ შემთხვევაშიც სტუდენტებმა იციან, რომელ ჯგუფში არიან ისინი გადანაწილებული - ძლიერში თუ სუსტში. თუმცა პროგრამის პერსონალი სტუდენტებს მუშაობის პროცესში ასწავლის, როგორ უნდა ეცადონ თავად სტუდენტები, რომ მათთვის მაქსიმალურად კომფორტულ ჯგუფში იყვნენ გაერთიანებული და არა მეგობრობის და ნაცნობების მიხედვით იყვნენ გადანაწილებულები. ამ პროგრამაში სტუდენტები ეთნიკური ნიშნით არ არიან გამიჯნულები.

(ბ) პროგრამის შინაარსობრივი მხარე - კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამის შინაარსობრივი მხარე მთლიანად ორიენტირებულია სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, თუმცა მისი სხვადასხვა აუცილებელი კომპეტენციებითა და ცოდნით აღჭურვაც არ არის მეორეხარისხოვანი მიზანი. როგორც უკვე აღინიშნა, გამონაკლისია ილიას უნივერსიტეტის პროგრამა, რომელიც ინტეგრირებულია და კურსის ნაწილს შეადგენს ასევე კომპიუტერული კურსები, რომლის მიზანია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესება, თუმცა, ამასთან, მათი ტექნოლოგიური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. სახელდობრ, კომპიუტერული კურსების საშუალებით, სტუდენტები ე-პლატფორმაზე განათავსებენ საშინაო დავალებებს, რომლებიც წერილობითი, ასევე პროექტებისა და ვიდეოფაილების სახით უნდა წარმოადგინონ. საგულისხმოა, რომ კომპიუტერული კურსი ასევე შეფასების ნაწილია. უმეტეს შემთხვევაში ენის პროგრამის შინაარსობრივი მხარე ასევე არ ითვალისწინებს სტუდენტების აკადემიურ ინტერესებს. ის ქაოტურია და ნაკლებად ატარებს თანმიმდევრულ ხასიათს. სტუდენტები თვლიან, რომ ის თემატიკა, რომელიც კურსის ფარგლებში შეისწავლება, აბსოლუტურად არ ავითარებს არც აკადემიური და არც კრიტიკული აზროვნების უნარს:

– „ისეთ ტექსტებს გვასწავლიდნენ სულ, რომლებიც ძალიან ადვილია. „ჩემი სოფელი“, „ჩემი ოჯახი“, „სირაქლემა“. ეს არც საინტერესოა და არც არაფრის მომცემი“.

ილიას უნივერსიტეტის პროგრამის თემატიკა ასევე არ არის პირდაპირ ორიენტირებული აკადემიური ენობრივი კომპეტენციების განვითარებაზე. ის ენის ფლობის ევროპული ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ თემატიკას („Can do“) მიჰყვება და კომუნიკაციური ენის განვითარებას ისახავს მიზნად. თუმცა თავად სწავლების მეთოდოლოგია და მიდგომები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ კვლევა, თეორიული მასალისა და პრაქტიკული დავალებების მონაცვლეობა, რეფლექსია, საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება და ა.შ. სტუდენტებს რეალურად ამზადებს საბაკალავრო საფეხურზე სწავლისათვის.

სტუდენტები ვერ სწავლობენ არჩეულ პროგრამასთან დაკავშირებულ **სპეციფიკურ ტერმინოლოგიას** ენის პროგრამის ფარგლებში, რაც საბაკალავრო საფეხურზე მათ მიერ საგნის ათვისებას აძნელებს. რიგ შემთხვევებში (ახალციხის უნივერსიტეტი, ახალქალაქის კოლეჯი, ილიას უნივერსიტეტი) სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში სთავაზობენ დარგობრივი ტერმინოლოგიის ათვისებისათვის სპეციალურ საათებს, რომელსაც „სპეცკურსი“ ან „დარგობრივი ენის“ კურსი ეწოდება. ამგვარი კურსი სწავლების მეორე სემესტრიდან არის დაგეგმილი. თუმცა კურსი არ არის დიფერენცირებული და სხვადასხვა დარგობრივი ტერმინოლოგია ყველა სტუდენტს ერთად მიეწოდება, მისი საბაკალავრო პროგრამის არჩევანის მიუხედავად. შესაბამისად, ამგვარი კურსის ხანგრძლივობა არ არის საკმარისი საჭირო ტერმინოლოგიის ასათვისებლად და არც სტუდენტების სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული. **ენის პროგრამის ფორმატიც** არ არის ორიენტირებული სტუდენტების აკადემიური მუშაობისათვის აუცილებელი უნარების განვითარებაზე:

- „ენის სწავლების მიზნით კარგი იყო ეს პროგრამა, ვისაც სურვილი ჰქონდა, ვინც იმუშავებდა, შეეძლო ერთ წელიწადში რაღაც შედეგამდე მისულიყო, მაგრამ, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, ბავშვებს თავიდანვე შეეკითხონ, ბაკალავრიატი რა პროფესიით უნდათ და იმ კუთხით უფრო განავითარონ, ვთქვათ, ვილაცხას უნდა ეკონომიკა. ისეთი ლიტერატურა უნდა მისცენ, ეკონომიკის სფეროს რომ შეეხება. რომ არ გაუჭირდეს, როდესაც პირველ კურსზე ჩაირიცხება. იმიტომ, რომ ჩემთან მოსწავლეები კარგად სწავლობდნენ და იცოდნენ ქართული, მაგრამ ახლა უჭირთ ტერმინოლოგიის თვალსაზრისით“.

ტერმინოლოგიური პრობლემების გარდა, სტუდენტები ამჟღავნებენ აკადემიურ მოუმზადებლობას საუნივერსიტეტო სწავლისთვის და აქცენტს ენობრივი კომპეტენციების გარდა სხვა საბაზისო უნარებზეც აკეთებენ, - თუნდაც ენის სწავლების პროცესში, რომელიც უფრო დაახლოებული იქნება საბაკალავრო დონის სასწავლო პროცესთან:

- „პირველ კურსზე რომ მივედით, მაშინ მივხვდით, რა არის ლექცია. აქ რა იყო, სკოლის გაკვეთილები“;
- „ანუ ამ ერთ წელიწადში ძალიან გვანებივრებენ და მერე იქ მივდივართ და ძალიან გვიჭირს“.

ამასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები თვლიან, რომ პროგრამის ფარგლებში მათ „ანებივრებენ“, „გააზარმაცეს“ და იმის მაგივრად, რომ მობილიზებული და მომზადებული ყოფილიყვნენ საბაკალავრო პროგრამისათვის, მობილიზაციის კუთხით ერთგვარი დეგრადაციაც კი განიცადეს. ე.წ. „გაზარმაცების“

ტენდენციებზე მსჯელობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები და მასწავლებლებიც. ფოკუსჯგუფში მონაწილე ლექტორები აღნიშნავენ:

– „თუმცა აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია გაზარდაცემისკენ, წინა წლებში თვითონ ესენი დამოუკიდებელ სამუშაოს აკეთებდნენ და წელს რაღაცა მე გამიჩნდა ასეთი აზრი, რომ ამათ ხომ არ ჰგონიათ, რომ მაინც გადალახავენ ამ ბარიერს და მაინც ჩაირიცხებიან და ამიტომ არ მეცადინებენ... წელს აშკარად იყო სიზარმაცე, სამი წელი არ მყოლია ესეთი“;

– „წინა წლებიდან გამომდინარე, იცინა რომ განმეორებითი გამოცდა იყო ერთხელ, მეორედ, მესამედ და ყველამ ჩააბარა, ეს რომ ეცოდინებათ, რომ ასე აღარ არის, მოტივაციაც გაიზრდება, დამოკიდებულებაც და ყველაფერი“...

პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები გამოვლინდა კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სტუდენტთა გამოკითხვაშიც. კერძოდ, კითხვარმა პროგრამის შინაარსობრივი, მეთოდური და პედაგოგიური ხასიათის საინტერესო შენიშვნები გამოავლინა სტუდენტების მხრიდან, რაც როგორც უშუალოდ პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში, ასევე საშეღავათო პოლიტიკის დასახვეწად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა და გასათვალისწინებელია. შენიშვნებია ასევე პროგრამის შინაარსობრივი, მეთოდური და პედაგოგიური მიდგომების მიმართ:

– „წიგნში აზერბაიჯანულადაც რომ იყოს ნათარგმნი მასალა, კარგი იქნება“;

– „მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წერით დავალებებს“;

– „უფრო მეტი გაკვეთილები რომ იყოს მოსმენაზე და ლაპარაკზე“;

– „სალაპარაკო ქართული უფრო გვჭირდება და ეს რომ გვესწავლა კარგი იქნებოდა“;

– „სასურველია პროგრამის ხარისხი გაუმჯობესდეს“;

– „სურვილი მქონდა მეორე სემესტრში იურიდიულ ტერმინებში მომზადებულიყავი, მხოლოდ ერთმა ლექტორმა მოგვამზადა იურიდიულ, ეკონომიკურ და სამეცნიერო ტერმინებში“;

– „მინდა რომ მომავალში ლექტორები იყვნენ უფრო მომთხოვნები სწავლის მიმართ“.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც კითხვარში დაფიქსირდა: „მინდა ბილინგვური სწავლების შესახებ ვიცოდე ყველაფერი“. სტუდენტი ანმყოფი წერს საკუთარი სურვილის შესახებ, - ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ინფორმაციის გაგების სურვილი მას ცოტა ხნის წინ გაუჩნდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტებმა კითხვარი იმ პერიოდში შეავსეს, როდესაც ისინი საბაკალავრო პროგრამის არჩევისათვის ემზადებოდნენ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სტუდენტს არა აქვს სათანადო ინფორმაცია, თუ სად შეიძლება მან დეტალური ინფორმაცია მიიღოს სასურველი პროგრამის თუ სწავლების მეთოდის შესახებ და უფრო მომგებიანად მიაჩნია საკუთარი სურვილი კითხვარში ასახოს, ვიდრე ეს ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში ჩართულ პედაგოგებსა თუ ადმინისტრაციასთან დაახუტოს.

უფრო ფართო ფორმატის შენიშვნებს, რომლებიც ერთგვარად პოლიტიკის დაგეგმვის საკითხებს ეხმიანება, ასეთი სახე აქვს:

- „სურვილი მაქვს კიდევ ერთი წელი ვისწავლო ამ პროგრამაზე, და სხვა საგნებზე იყოს, მაგ . მათემატიკა ,ინგლისური“;
- „მოსამზადებელი კურსი 2 წელი რომ იყოს კარგი იქნებოდა“.
- ბოლოს, ორი სტუდენტი დამატებითი ინფორმაციის სახით აფიქსირებს საკუთარ მადლიერებას და მოწონებას პროგრამის მიმართ:
- „ძალიან კარგი პროგრამაა, ძალიან დამეხმარა ქართულის სწავლაში“;
- „ამ პროგრამის შემდეგ უკეთ ვიცი ქართული“.

ეს გარემოება უდავოდ მიუთითებს პროგრამის პოზიტიურ გავლენაზე სტუდენტების როგორც ენობრივი, ასევე ზოგადი სოციალური დამოკიდებულების კუთხით.

ილიას უნივერსიტეტის პერსონალი საუბრობს პროგრამის დაწყების დროს სტუდენტების იმგვარი საბაზისო უნარების ნაკლებობაზე, როგორცაა მაგ., შეცდომებისადმი რელევანტური დამოკიდებულება, დამოუკიდებლად მუშაობა (და არა პირდაპირ გადანერა რომელიმე წყაროდან), თუნდაც ორი წინადადებით საკუთარი აზრის დაფიქსირება ა.შ. თუმცა, ამასთან, აღნიშნავენ, რომ სწავლების მეთოდთა თავად მუშაობს ამგვარი უნარების განვითარებაზე და რეალურად, უკვე რამდენიმე კვირაში პოზიტიურ შედეგებს თვალსაჩინოს ხდის.

გ) ენის პროგრამის ხანგრძლივობა

კვლევა აჩვენებს, რომ ენის პროგრამის ერთწლიანი ვადა ყველა სტუდენტისათვის არ არის საკმარისი ენობრივი კომპეტენციების განვითარებისა და საბაკალავრო ფაკულტეტზე სწავლის დაწყებისათვის. ამასთან, პროგრამა ხშირად არაფრისმომცემია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც უკვე მაღალ დონეზე ფლობენ სახელმწიფო ენას და ფაქტობრივად ერთწლიანი სწავლება მათთვის დროის და ფინანსური რესურსის ხარჯვაა. ასევე არ არის საკმარისი საკონტაქტო საათები, რომლებიც კრედიტის შესაბამისად არის პროგრამაში გადანაწილებული. არსებობს იმის აუცილებლობა, რომ პროგრამა უნდა იყოს მეტად მოქნილი და მოერგოს სტუდენტების საჭიროებებს, შესაბამისად, აბალანსოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება.

- „იცით არის პრობლემა, უკვე წლის მეორე ნახევარში ე.წ. ძლიერი ჯგუფი და ე.წ. სუსტი ჯგუფი: აცილებაა უკვე სერიოზული პროგრამაში ერთსა და იმავე დავალებას აკეთებს გამოცდაზე, ერთ-ერთი მასწავლებელი (შ.ტ.) მეუბნება რა ვქნა, ესენი ლაპარაკობენ ქართულად რა მივცე ამათ სამუშაოდ, ამ დროს მე მაქვს სულ სხვა პრობლემა - ვერ ავამეტყველე, ვერც წინადადება ბოლომდე ვერ ვათქმევინე“.

ამ თვალსაზრისით პოზიტიურ გამოცდილებად შეიძლება განვიხილოთ ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადამწყვეტილება დამატებითი საკონტაქტო საათების (6 საათი) დაფინანსებასთან დაკავშირებით - იმ სტუდენტებისთვის,

რომლებსაც განსაკუთრებით მძაფრი ენობრივი პრობლემები გააჩნიათ და საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მცირე შანსი აქვთ. რეალურად, პროგრამა, რომელიც აგებულია ევროპული ჩარჩოს პრინციპებზე და A1, A2 საფეხურებისათვის ამ ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული 70 საკონტაქტო საათი მიაჩნია მნიშვნელოვნად, განსაკუთრებული შემთხვევების დროს მოქნილი ხდება და საკონტაქტო საათების რიცხვს ზრდის მთლიანი პროგრამის ფორმატის შეცვლის გარეშე. ილიას უნივერსიტეტიც, სხვა სასწავლებლების მსგავსად, ყველა სტუდენტს აძლევს შანსს დაინყოს საბაკალავრო პროგრამა, თუმცა რეალობა აჩვენებს, რომ სტუდენტთა ნაწილი, რომელიც თავისუფალი კრედიტების ფარგლებში უზრუნველყოფილი ქართული ენის კურსების დამთავრების შემდეგაც (როგორც ზევით აღვნიშნეთ, სტუდენტებს, რომელთა ენის ფლობის დონე = ან > B2-ისა, დამატებითი კურსი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიენოდებათ, რაც ასევე პროგრამის გახანგრძლივების ეფექტურ, ინდივიდუალურ, სტუდენტზე მორგებულ მექანიზმად უნდა განვიხილოთ.), ვერ ახერხებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, ტოვებს პროგრამას.

ამ პრობლემას ცხადად აღიქვამს და მასზე საუბრობს სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელიც. პროგრამის ყველაზე დიდ ხარვეზად მას სწორედ საბაკალავრო სწავლებიდან მისი გამიჯნულობა მიაჩნია. მისი აზრით, აუცილებელია, რომ ქართული ენის პროგრამის ინკლუზია ხდებოდეს საბაკალავრო საფეხურზე, თუნდაც პირველ კურსზე სწავლების პერიოდში, რადგან სტუდენტების დიდი ნაწილისათვის ერთი წელიწადი არ არის საკმარისი, ერთი მხრივ, საკომუნიკაციო უნარების განვითარებისა და მეორე მხრივ კი, აკადემიური ენობრივი ცოდნის შექმნისა და გაღრმავებისათვის.

დ) შეფასების სისტემა

პროგრამის შეფასების ძირითადი მექანიზმი, რომელიც რეალურად მუშაობს, არის თითოეული საგნის შეფასება და დაგროვებული 60 კრედიტი. თითოეული საგნის შეფასება ხდება შუალედური და საბოლოო გამოცდების მეშვეობით, რომელიც წერითი და ზეპირი ნაწილებისგან შედგება. იმისდა მიუხედავად, რომ პროგრამის შეფასების კრიტერიუმი ასევე სტუდენტის დასწრებაა, კვლევა აჩვენებს, რომ შეფასების ეს მექანიზმი უგულებელყოფილია და ლექტორები ყველას ანიჭებენ გამსვლელ ქულას დასწრების ინტენსივობის მიუხედავად.

- „ჩვენ გავათამამეთ ეგენი. ხომ ვიძახდით, თვალთ არ მინახავს და ვიძახდი, ნოლს დავუწერ-მეთქი, მაგრამ მერე ხომ კეთილები ვართ ყველანი“.

ლექტორები ასევე საუბრობენ იმ ტენდენციაზე, რომელიც საბოლოო ტესტირებაზე ლოიალურ დამოკიდებულებას უკავშირდება. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები ერთგვარად თავდაჯერებულნი არიან, რომ აუცილებელი ქულების რაოდენობას საბოლოო ჯამში მაინც მოაგროვებენ.

- „იცინ, რომ საბოლოო ჯამში გადაბარებაზე მაინც ჩააბარებენ“.

მეორე მხრივ, პედაგოგიური კოლექტივი საუბრობს პროგრამის ფარგლებში არსებული შეფასების სისტემის ეფექტურობაზე ახალციხეში. ის, რომ პროგრამის ფარგლებში შეფასების ქულობრივი გადანაწილება ზოგადსაუნივერსიტეტო

პრინციპებზეა აგებული და უნივერსალურია პროგრამის სტუდენტებისა და საბაკალავრო საფეხურის სწავლებისათვის, ერთგვარად „აჩვენებს“ პროგრამის სტუდენტებს შეფასების არსებულ სისტემას.

ილიას უნივერსიტეტის პედაგოგების გამოკითხვა აჩვენებს, რომ სტუდენტების მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია. მათ შემთხვევაში, არიან სტუდენტები, რომლებსაც პირველსავე სემესტრში მიეცათ გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ისინი საბაკალავრო პროგრამაში სწავლას ვერ შეძლებდნენ და მეორე სემესტრი შანსის მიცემად განესაზღვრათ. სამივე გამოშვებაში დაფიქსირდნენ სტუდენტები, რომლებმაც გააგრძელეს სწავლა საბაკალავრო საფეხურზე გარკვეული პირობით. ამ პირობის მიხედვით, სტუდენტთა ერთი ჯგუფი მართლაც გამოეთიშა საუნივერსიტეტო სწავლას.

ეჭვქვეშ დგება თავად ტესტების ვალიდობის საკითხიც; ფოკუსჯგუფის ინტერვიუმ აჩვენა, რომ ერთ შემთხვევაში შუალედური და საბოლოო ტესტის ერთ-ერთი ამოცანა ერთმანეთს ემთხვეოდა. ასევე გამოიკვეთა, რომ ტესტში შესული ერთ-ერთი ამოცანა სტუდენტების ჯგუფს ლექციების პერიოდში უკვე ჰქონდა გავლილი.

- „რა ვიცი. ერთი შეკითხვა იყო, თავიდან რომ მოვენწყვე. მერე უნივერსიტეტში რომ მოვედი, შემხვდა. შუალედურზე რომ წავედი შემხვდა, ფინალურზე რომ წავედი შემხვდა. . . იგივე რალაც იყო. პირველ სემესტრში შემხვდა, მეორე სემესტრის შუალედურებზე შემხვდა, ბოლოს გამოცდაზე არ ვისწავლე, შანსი არ არის, არ შემხვდება-თქო და მაინც შემხვდა“.

პროგრამის შეფასების მთავარი პრობლემა მის უნივერსალურობაშია. სტუდენტებიც და ლექტორებიც მიუთითებენ, რომ პროგრამაში ჩართული ყველა სტუდენტისათვის არ არის საკმარისი სწავლის ერთნაირი პერიოდი იმისათვის, რომ ენის ფლობის საჭირო დონეს მიაღწიონ. შესაბამისად, შეფასების უნივერსალური სისტემა არ არის ეფექტური. ლექტორები საუბრობენ ენის დონეების მიხედვით შეფასების აუცილებლობაზე, სადაც დონეების შესაბამისი კომპეტენციები კარგად იქნება განერილი და სტუდენტებსაც ამ დონის შესაფერისი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ.

- „აღბათ გამოცდის დროსაც გასათვალისწინებელი უნდა იყოს ეს, იმიტომ რომ ძან ცნობილი არის ხო **A, B, C** დონის სერტიფიკატი რაც არის უკვე მიღებული ფორმა და ძალიან კარგი და სტუდენტებისთვისაც მარტივი იქნება და იმ უნივერსიტეტებისთვისაც, რომლებიც მათ იღებენ, გაცილებით მარტივი იქნება, თუ აქედან წასული ბავშვი მიიტანს **A, B** ან **C** დონის სერტიფიკატს“.

დონეებად დიფერენცირება აღქმულია სტუდენტის პროგრესის დემონსტრირების კარგ საშუალებად. ტესტირების ამგვარი სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტს, დაბალი კომპეტენციების დონის ტესტიდან მაღლისკენ თანდათანობით აინაცვლოს და საკუთარი ცოდნის შესაბამისი დონე ეფექტურად დააფიქსიროს. კვლევიდან გამოიკვეთა: მიუხედავად იმისა, რომ ყველა უნივერსიტეტის პროგრამას განსაზღვრული აქვს ენის ფლობის დონე ენათა ფლობის ევროპული ჩარჩოს დონეების მიხედვით და ქართული ენის დონეების შესაბამისად, ასევე ის კომპეტენციები, რასაც სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს, ამ დონეების რეალურად შეფასების ინსტრუმენტი ჯერ არ არსებობს და, შესაბამისად, დგება რეალობა, როცა სტუდენტი აგროვებს შესაბამის კრედიტებს, აბარებს გამოცდებს, თუმცა მისი ენობრივი კომპეტენცია არ შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ კომპეტენციებს:

– „ის აკეთებს, დავალებებს აკეთებს, პრეზენტაციებს ვაკეთებთ, ჩართულია, რალაცა ინტერაქცია არის, ჯგუფური სამუშაო, აკეთებს, რაც შეუძლია. ის თუ დავანესე ნიშნულად, იმ ათიანს ეს ვერასდროს ვერ მისწვდება, მაგრამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში რალაცა დონემდე მივიდა“.

შეფასების სისტემის ინსტრუმენტის არარსებობა პრაქტიკული ხასიათის პრობლემებსაც ქმნის. სტუდენტთა ნაწილს, რომელიც ფლობს მაღალ ენობრივ კომპეტენციებს, არა აქვს შესაძლებლობა, ეს დაადასტუროს რაიმე ვალიდური შეფასების მექანიზმებით. ფოკუსჯგუფებში გამოჩნდა ორი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა ენის ფლობის აღიარების ინსტრუმენტის არარსებობას. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელიც წავიდა საზღვარგარეთ, მოითხოვა ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც დაეფუძნებოდა კონკრეტული მეთოდოლოგიით შემუშავებულ ტესტირების შედეგს. რა თქმა უნდა, მსგავსი სერტიფიკატის გაცემა უნივერსიტეტმა ვერ მოახერხა, რადგან არც უნივერსიტეტს შიგნით და არც ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს ენის ფლობის შეფასების ვალიდური ინსტრუმენტი, რომელიც დაადასტურებდა პირის მიერ ქართული ენის ფლობას. ამ თვალსაზრისით, აგრეთვე საინტერესო იყო ახალციხის სტუდენტთა ფოკუსჯგუფში დაფიქსირებული ფაქტი. ერთ-ერთმა სტუდენტმა გადანწყვიტა აკადემიურის აღება, რადგან იყო ინფორმირებული, რომ მომავალი წლიდან შესაძლებელია მისი საბაკალავრო პროგრამა ყოფილიყო „უფასო“. სტუდენტმა აკადემიურის აღება ვერ შეძლო, რადგან უნივერსიტეტმა აცნობა, რომ მის ენის სერტიფიკატს მხოლოდ ერთი წელი ჰქონდა ვადა და ერთი წლის მერე ის ვერ შეძლებდა საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას, რადგან არ ექნებოდა ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და არც მექანიზმი არსებობდა სტუდენტის ენის ფლობის კომპეტენციათა შესამოწმებლად. შესაბამისად, ერთადერთი ალტერნატივა ერთწლიანი პროგრამის ხელმეორედ გავლა იყო პირველივე კურსზე აკადემიურის აღების შემთხვევაში.

ე) სასწავლო გარემო

პროგრამის კვლევამ აჩვენა ტენდენციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობაზე უარყოფითად მოქმედებს:

- ა. მისი გამიჯნულობა უნივერსიტეტის დანარჩენი პროგრამებისაგან;
- ბ. დამხმარე სასწავლო რესურსებთან ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
- გ. გარემო, რომელიც არ არის ორიენტირებული სტუდენტური, ახალგაზრდული ცხოვრებისათვის („ერთი ბუფეტი ან სასადილო მაინც ჰქონდეთ ამ ბავშვებს, მთელ დღეს აქ ატარებენ“);
- დ. ბიბლიოთეკის არარსებობა, სადაც სტუდენტები ერთად მეცადინეობას ან კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კითხვას შეძლებდნენ.
- ე. რიგ შემთხვევებში დამატებითი რესურსები, რომლებიც სტუდენტებისთვის არის გამოყოფილი (მაგ. კომპიუტერული კლასები) ნაწილობრივ ან შეზღუდულად არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის.

პოზიტიურ გამოცდილებად შეიძლება განვიხილოთ:

ა. სტუდენტების სრული ინტეგრაცია სასწავლებლის სასწავლო სივრცეში, სადაც პროგრამის სტუდენტები იმავე აუდიტორიებში სწავლობენ, რომელშიც დანარჩენი სტუდენტები.

ბ. აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ტექნოლოგიებით (პროექტორი, კომპიუტერები და ა.შ.)

გ. სტუდენტური ცენტრი, რომელიც ჩართულია და აქტიურია პროგრამის სტუდენტების სასწავლო პროცესში;

დ. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სტუდენტების კლასგარეშე პერიოდს შინაარსობრივად საინტერესოს, შემეცნებითს და განვითარებაზე ორიენტირებულს ხდიან და ხელს უწყობენ იმგვარი სივრცის წარმოშობას, სადაც პროგრამის სტუდენტებს შეეძლება აქვთ ქართველ თანატოლებთან და, შესაბამისად, ხელი ეწყობა მათ ინტეგრაციას უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

ვ) პროგრამაში გაერთიანებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

კვლევის ფარგლებში უნივერსიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება სხვადასხვა პროგრამაში ჩართული პედაგოგების მაღალი კვალიფიკაცია და ამ მიმართულებით არსებული გამოცდილება. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა მასწავლებლების კვალიფიკაციით კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია. მასწავლებელთა კვალიფიკაციით კმაყოფილებისა და მათი დამოკიდებულებების შესახებ სტუდენტთა შეფასება თვალნათლად არის წარმოდგენილი ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:


ცხრილი #27- პროგრამის მასწავლებელთა კვალიფიკაციის სტუდენტთა შეფასება

C2. ქართული ენის რესურსების შეფასება	კატეგორიულად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ არ	ვეთანხმები	აბსოლუტურად ვეთანხმები	პასუხი არ არის
ყველა მასწავლებელი, რომელიც მასწავლიდა, ერთნაირად მაღალკვალიფიციური იყო.	2.4%	20.0%	20.5%	36.2%	21.0%	0.0%
ყველა მასწავლებელი, რომელიც მასწავლიდა, ერთნაირად იყო მოტივირებული, რომ ჩვენი ენობრივი კომპეტენციები გაეუმჯობესებინა.	0.5%	13.8%	17.6%	47.6%	20.5%	0.0%

C2. ქართული ენის რესურსების შეფასება	კატეგორიულად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ არ	ვეთანხმები	აბსოლუტურად ვეთანხმები	პასუხი არ არის
ყველა მასწავლებელი, რომელიც მასწავლიდა, გვანდოდა გამართულ სასწავლო რესურსსა და სილაბუსს.	1.0%	12.9%	25.7%	50.0%	10.0%	0.5%
ყველა მასწავლებელი ტოლერანტობით გამოიჩინოდა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიმართ სწავლების პროცესში.	3.3%	11.4%	11.4%	50.5%	22.9%	0.5%
ყველა მასწავლებლის მხრიდან ვგრძნობდი პოზიტიურ დამოკიდებულებას ჩემი ეთნიკური ჯგუფის მიმართ.	5.7%	10.0%	12.9%	52.4%	18.6%	0.5%
მასწავლებლები არცთუ კორექტულად ხუმრობდნენ ჩემი ეთნიკური ჯგუფის მისამართით	26.2%	48.1%	6.7%	14.3%	2.9%	1.9%

მეორე მხრივ, აუცილებელია იმ კრიტიკის აღნიშვნაც, რომელიც პროგრამაში ჩართული პედაგოგების მიმართ დააფიქსირა ქართული ენის პროგრამის ხელმძღვანელების ნაწილმა. მათი აზრით, მასწავლებლების კომპეტენციებს, გამოცდილებას, პედაგოგიური მიდგომებს შორის არსებული დიდი განსხვავება ნეგატიურად მოქმედებს პროგრამის მთლიანობაზე, სტუდენტების აკადემიურ მიღწევებსა და პროგრამის ნაწილად პედაგოგების

დიაგრამა # 15 სტუდენტთა შეფასება მასწავლებელთა მათდამი დამოკიდებულებების შესახებ



თვითიდენტიფიცირებაზე. ნიშნდობლივია, რომ ხელმძღვანელები საუბრობენ კადრების გადინებაზე, - ერთი მხრივ, უფრო პრესტიჟული ან მაღალანაზღაურებადი პოზიციის შემთხვევაში ტოვებენ პროგრამას, ხოლო მეორე მხრივ კი, საუბრობენ უნივერსიტეტის შიდა მობილობაზე, როდესაც არჩევანის შემთხვევაში ბევრად სიამოვნებით მუშაობენ ბაკალავრიატის საფეხურზე, ვიდრე პროგრამაში:

– „საქმე ის გახლავთ, რომ ის ნაწილი, რომელიც ტრენინგებგავლილი იყო და ასე შემდეგ, გარკვეულწილად მოუცლელი აღმოჩნდა ამ საქმისთვის. უფრო სწორედ, ისინი დაკავებულები იყვნენ საბაკალავრო პროგრამაზე და იძულებულები გავხდით, რომ ჩართულიყვნენ სხვა პედაგოგები. სიმართლე გითხრა, რაღაც უცნაური დამოკიდებულებაც ვიგრძენი: ყველა პედაგოგს მერე აღარ მოუნდა უცვებ, იმიტომ, რომ ეს ძალიან რთული საქმეა“.

პროგრამის ხელმძღვანელები ღიად საუბრობენ პედაგოგიური კოლექტივის არაერთგვაროვან კვალიფიკაციაზე და ამას პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად თვლიან.

მასწავლებელთა მიერ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფისადმი ტოლერანტული და პატივისცემითი დამოკიდებულების თვალსაზრისით ნეგატიური პასუხი დააფიქსირა სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა (არატოლერანტულობა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიმართ - 26,1%, არატოლერანტულობა სტუდენტის ეთნიკური ჯგუფის მიმართ - 28,6 %, არაკორექტული ხუმრობა ეთნიკური ჯგუფის მიმართ - 23,9%). მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტებში გვხვდება შემთხვევები მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა ეთნიკური ჯგუფისადმი არატოლერანტული დამოკიდებულებების შესახებ. მსგავსი შემთხვევები დასახელდა როგორც მასწავლებელთა, ასევე სტუდენტთა ფოკუსჯგუფებში. აგრეთვე დასახელდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც სტუდენტები უკმაყოფილოები იყვნენ კონკრეტული პედაგოგის მათდამი დამოკიდებულებით.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა ფოკუსჯგუფშიც დაფიქსირდა არატოლერანტული დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ. ხშირად ხდება მათი კლასიფიკაცია ეთნიკური ნიშნის მიხედვით და გარკვეული მოსაზრებების განზოგადება ამ ჯგუფების მიმართ:

– „არავისთვის არ არის საიდუმლო რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, თუ მართლა ქართული სივრციდან არ არის მოსული, აი იმისათვის რომ ადვილად მოეწყოს, მაინც ინფორმაციული ვაკუუმი აქვთ ამ ადამიანებს. ვთქვათ, არ ვიცი მე ეს იქნება წალკა თუ იქნება მარნეული თუ რაღაცა სასკოლო პერიოდიდან ნაკლებად მოაქვთ საფუძველი ელემენტარული ცოდნის, აქ უკვე მე უკვე აღარ ვლაპარაკობ... როდესაც მარტივ ტექსტებს აი მაგალითად, დედაქალაქი რომელიმე... ევროპული ისეთი ცნობილი ქვეყნების დედაქალაქი... ჯგუფში მე არ ვამბობ, რომ ყველა... მაგრამ აი, ჯგუფიდან ერთი ბავშვი 12 კაცში მოიძებნა, რომელმაც იცოდა რომ ეიფელის კოშკი არის პარიზში, ბიგ ბენი არის ლონდონში... აზერბაიჯანულ ჯგუფებზე ვამბობ“.

უფრო მეტიც, ფოკუსჯგუფებში გამოვლინდა დაბალი მოლოდინი გარკვეული ეთნიკური ჯგუფების მიმართ მათ კოგნიტურ და სასწავლო შესაძლებლობებთან დაკავშირებით:

- „ახლა მე სომხებთან არ ვმუშაობ, აზერბაიჯანელებთან ვმუშაობ და შემძლია თამამად ვთქვა: ზოგადი IQ არის ბევრად დაბალი, ვიდრე ჩვენი სუსტი ბავშვების - ქართველი სუსტი ბავშვების... აი, ვთქვათ, პრეზენტაცია რომ მინდოდა გამეკეთებინა, დაახლოებით ლექცია-ნახევარი ვხსნიდი, რა არის პრეზენტაცია“.

მასწავლებელთა ფოკუსჯგუფში დაფიქსირდა ერთგვარი აგრესიაც კი „მათი პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენების გამო.“

- „ანუ ეს არის მათი მხრიდან მარტივი კი არა ხრიკი მეცადინეობის გარეშე არ დაიძაბოს, ვთქვათ გადაიხადოს ფული, ვთქვათ ერთი წელი დაკარგოს, რატომ, როცა შეიძლება, გვარი ხელს უწყობს, ჩანერის ადგილი ხელს უწყობს, ეროვნულობა ხელს უწყობს და ეს არის პრობლემა ამ პროგრამის, ნამდვილად ვალიაროთ სუყველამ. და სხვათაშორის ეს მზარდი პრობლემაა, რაც დრო გადის მით უფრო მეტად ვრცელდება და ვთქვათ აზერბაიჯანელები, ეთნიკური და სომხები თბილისის ან სხვა რეგიონის მაცხოვრებლები, რომლებიც მართლა მშვენივრად ფლობენ ქართულს და ქართულ სკოლებში სწავლობენ, სხვათაშორის, ისინიც სხედან ამ პროგრამაზე, ახერხებენ ამას, იმიტომ რომ ეს არის რალაცა გზა იოლად მოხვედრის. ძალიან მარტივია მათთვის“.

აგრესიასთან ერთად ასევე გამოვლინდა პროგრამის მიზნების მიმართ გაურკვეველობა. პედაგოგთა ნაწილი თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის მიმდინარეობა არ შეიცვალა და დინამიკური არ გახდა, ინტეგრაციის პროცესი წარმატებულად ვერ ჩაითვლება. ისინი საუბრობენ პროგრამის ტრანზიტულ დატვირთვაზე, რომელსაც გარკვეული, მკაფიოდ განერილი ფუნქცია აკისრია. ისინი თვლიან, რომ ამ ფუნქციის დასასრული დროულად უნდა იქნეს შენიშნული და ახალი სტრატეგია არჩეული. ამ ტიპის მსჯელობებისგან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლებს პროგრამის მიზნების, ამოცანებისა და შესაძლებლობების მტკიცე ჩარჩოებში მოთავსებული ხედვა გააჩნიათ, რომელიც გარკვეულად შეზღუდულია მათთვის „გარდამავალი“ ფუნქციის მინიჭების გამო. ამგვარი დამოკიდებულების ფონზე, ცხადია, რომ პროგრამის შესაძლებლობებიც აღქმულია შეზღუდული ფორმატით, შინაარსობრივი და ფუნქციური დატვირთვით.

თუმცა პედაგოგთა როლი, ფუნქცია და ჩართულობის ხარისხი პროგრამებში განსხვავებულია. კერძოდ, ჯავახიშვილის, ახალციხისა და ახალქალაქის პროგრამებში პედაგოგები დაყოფილი არიან ენობრივი კომპეტენციების მიხედვით. შესაბამისად, გრამატიკას ერთი პედაგოგი ასწავლის, კითხვის უნარების განვითარებაზე სხვა მუშაობს, ზეპირმეტყველებაზე - მესამე პედაგოგი და ა.შ. ამ კუთხით განსხვავებული სიტუაციაა ილიას უნივერსიტეტის პროგრამაში, სადაც პრაქტიკულად ყველა პედაგოგი ყველა ჯგუფში შედის, ხოლო ენის სწავლების პროცესი ინტეგრირებულია და კომპეტენციების მიხედვით არ არის დაყოფილი. შესაბამისად, პედაგოგები მზად არიან კომპლექსური სწავლება განახორციელონ და ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაციით დაგეგმონ სტუდენტებთან მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ლექტორები კარგად აანალიზებენ მათი ფოკუსჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს და მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს, აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში მათ არ აქვთ ან მცდარი ინფორმაცია აქვთ ყოფილი სტუდენტების შესახებ, რომლებმაც საბაკალავრო პროგრამაზე გააგრძელეს სწავლა. რეალურად, მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ იმ პრობლემებს, რომლებიც სტუდენტებს

აკადემიური და სოციალური კუთხით ხვდებათ. ფოკუსჯგუფებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ლექტორები საუბრობენ ყოფილი სტუდენტების სრულ ინტეგრაციაზე ქართველ თანატოლებთან, მაშინ როდესაც საბაკალავრო პროგრამაში გაერთიანებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები კვლავ საუბრობენ ჩაკეტილობაზე, რომელიც საბაკალავრო პროგრამის ფარგლებშიც გრძელდება. „წინილებივით ჩავაბარეთ“ - რეალურად ის დამოკიდებულებაა, რომელიც კარგად აყალიბებს ქართული ენის დამთავრებისა და საბაკალავრო პროგრამის დაწყების პროცესს. პროგრამაში ჩართული მასწავლებლები რიგ შემთხვევებში ფლობენ ინფორმაციას კონკრეტული სტუდენტის შესახებ, თუმცა ამგვარი შემთხვევები სტუდენტის აქტიურობაზეა დამოკიდებული, როდესაც ის ენობრივ პრობლემთან დაკავშირებით დახმარებისთვის, მაგალითად, ყოფილ მასწავლებელს მიმართავს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებითაც გარკვეული აქტივობები ხორციელდება. პროფესორ-მასწავლებლები ჩართულნი არიან სხვადასხვა კვლევით თუ აკადემიურ პროექტებში (ილიას უნივერსიტეტი, ახალციხე, ახალქალაქი, თსუ), სადაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა, აიმაღლონ კვალიფიკაცია (გაცვლითი პროგრამების, ტრენინგების, გამოცდილების ურთიერთგაზიარების, ნეთვორკინგის და ა.შ.) მეშვეობით. მაგალითისათვის: ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ოთხივე უნივერსიტეტის მასწავლებლები ჩართულნი არიან ევროკავშირის ტემპუსის პროგრამაში - „მულტილინგუური მასწავლებლის განათლების პროგრამის შექმნა და განვითარება საქართველოსა და უკრაინაში“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არაერთი პროფესიული განვითარების პროგრამა დაიგეგმა და განხორციელდა. დამატებით უნივერსიტეტებს შიგნითაც ხორციელდება სხვადასხვა სემინარები. თსუ-ში დაინერგა მუდმივმოქმედი სემინარების პრაქტიკა, თუმცა ამ ინიციატივამ გაგრძელება ვერ პოვა პროგრამაში ჩართული მასწავლებლების დატვირთული გრაფიკის გამო. ყველა უნივერსიტეტის დონეზე მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ისეთი ფორმების დეფიციტი, როგორიცაა:

- (ა) მენტორობა;
- (ბ) დასწრება და პოზიტიური უკუკავშირი;
- (გ) სამოდულო გაკვეთილები და ლექციები;
- (დ) თანამშრომლობა უნივერსიტეტის შიგნით მასწავლებლებს შორის;
- (ე) უნივერსიტეტშორისი თანამშრომლობა და ა.შ.

ზ) პროგრამაში არსებული სასწავლო რესურსი

ყველა სასწავლებლის პერსონალი აღიარებს, რომ განიცდიან სასწავლო მასალების დეფიციტს. ქართული ენის პროგრამის ლექტორებისა და ხელმძღვანელების ინფორმაციით, პროგრამისათვის საჭირო დამატებითი სასწავლო მასალების შემუშავება მათ მიერვე ხდება. ამ ფონზე, განსხვავებულია სასწავლო მასალების გამოყენების მეთოდები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამცხე-

ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში, გამოიყენება ყველა პედაგოგისათვის საერთო მისაწვდომი მასალებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორების მიერ არის გამოცემული. თუმცა, ამ მასალების მოხმარების ინტენსივობა, მათზე დამოკიდებულება პროგრამის პედაგოგების მიერ, ამოცანები, რომლებსაც მასალების საშუალებით სახავენი ისინი და აღქმული მიღწეული მიზანი, ინდივიდუალურია და განსხვავებული. პედაგოგთა ნაწილი ამ მასალებს საერთოდ არ იყენებს და მხოლოდ საკუთარ მასალებს შეიმუშავებს სწავლებისათვის.

ილიას უნივერსიტეტში ძირითად მასალას თავად პროგრამის პერსონალის მიერ შემუშავებული მასალები წარმოადგენს, რომელიც სხვა პროგრამებისგან განსხვავებული ფორმატით არის წარმოდგენილი და თემატურად დამუშავებულ ვიდეოსიტუაციებს და ვიდეომასალების დიდაქტიზებას წარმოადგენს. პროგრამას მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფცია გააჩნია, რომელიც ევროჩარჩოს მიხედვითაა შემუშავებული და სტუდენტებისთვის სწავლების პირველ ეტაპზე ყოველდღიურ სიტუაციებში გარკვევას ისახავს მიზნად. მასალა, რომელიც პროექტის ფარგლებში არ არის შემუშავებული, ანიმაციური ფაილების სახით არის წარმოდგენილი და ასევე დიდაქტიზებულია. საგულისხმოა, რომ მასალების გამოყენების შემდეგ ყველა მასწავლებელი ახდენს რეცეფციას, რაც მასალების მუდმივ გაუმჯობესებას და განახლებას უწყობს ხელს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორები საუბრობენ იმ საყოველთაო სარგებლობაზე, რომელიც სასწავლო მასალების საერთო ბაზის არსებობას შეიძლება ჰქონდეს. ამასთან, ისინი საუბრობენ საერთო მასალების არსებობის შემთხვევაში ამ მასალების სტუდენტების კონკრეტული ჯგუფისათვის ადაპტაციის პროცესზე, რაც, ერთი მხრივ, მასალების მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებას გამოიწვევდა, ხოლო მეორე მხრივ კი, პროგრამის სწავლების გაზიარებული ხედვის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. მიუხედავად ამგვარი ანალიზისა, მასალების შემუშავების პროცესი ქაოტურია და თითოეული ლექტორის ხედვაზეა მორგებული.

განსხვავებული ხედვა აქვთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალციხის ქართული ენის პროგრამის პედაგოგებს. ისინიც ინდივიდუალურად ქმნიან დამატებით მასალებს სტუდენტებისათვის, თუმცა ვალიდაციას, ამ მასალების ერთობლივ განხილვას და გაცვლას არ თვლიან საჭიროდ. ამგვარ ხედვას აქვს გარკვეული მიზეზები. აქ მასწავლებლები კომპეტენციების მიხედვით ასწავლიან და ამიტომაც მიაჩნიათ, რომ სხვების შემუშავებული მასალები არ არის გამოსადეგი.

თავი VII.

საშეღვათო პოლიტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემა და საკითხი

ზემოთ განხილული საკითხების გარდა კვლევის პროცესში გამოიკვეთა კვოტირების სისტემის ეფექტურად განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები. კერძოდ:

1) ფინანსური საკითხები უნივერსიტეტების მიხედვით;

ერთ-ერთი საინტერესო საკითხია პროგრამის ფინანსების ეფექტური მართვა. კვლევამ აჩვენა, რომ ის უნივერსიტეტები, რომლებიც სტუდენტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას იღებენ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში (ე.ი. მიღებული შემოსავალი საკმაოდ მაღალია), ამ პროგრამისთვის საკმაოდ ცოტა თანხას ხარჯავენ.

ცხრილი # 28-შემოსავლები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

წელი	სტუდენტების რაოდენობა	გადასახადი	მიღებული შემოსავალი
2010	156	2250	351 000
2011	256	2250	576 000
2012	314	2250	706 500
სულ	726	2250	1 633 500

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია

რაც შეეხება ხარჯებს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამისთვის გაწეული ხარჯები შეადგენს მასწავლებელთა და ადმინისტრაციის ხელფასებს და პროგრამის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ტექნიკის, საკანცელარიო საქონლისა და წიგნების შესყიდვის ხარჯებს:

ცხრილი # 29- ხარჯები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

წელი	მასწავლებელთა ხელფასები	ადმინისტრაციის ხარჯები	ტექნიკის, საკანცელარიო საქონლის და წიგნების ხარჯები
2010	92 340	უცნობია	
2011	202 140	უცნობია	
2012	268 200	უცნობია	
სულ	562 680	უცნობია	10 803

წარმოდგენილი ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელფასების გარდა პროგრამის განხორციელებისათვის დახარჯული თანხა მხოლოდ შემოსავლების მესამედს წარმოადგენს. შესაბამისად, პროგრამა იძლევა ფინანსურ შესაძლებლობებს გამრავალფეროვნებისა და სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმართული კლასგარეშე აქტივობების ორგანიზებისთვის, ისევე როგორც სტუდენტებისათვის მხარდაჭერის მექანიზმების ასამუშავებლად.

ანალოგიური ვითარებაა ახალციხის სასნავლო უნივერსიტეტში:

ცხრილი #30 - ახალციხის უნივერსიტეტის პროგრამის შემოსავლები და ხარჯები

წელი	მასწავლებელზე გაცემული თანხა	სხვა ხარჯები	მთლიანად გაცემული თანხა	შემოსავალი
2010	5640	3840	9480	28500
2011	5280	3500	8780	59500
2012	6000	3570	9570	49500
ჯამი	17920	10910	27830	137500

სამცხე-ჯავახეთის სასნავლო უნივერსიტეტიდან მიღებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია

წარმოდგენილი ცხრილიდანაც თვალნათელია, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავალი იძლევა ეფექტური ადმინისტრირებისა და დამატებითი ღონისძიებების თუ დამხმარე აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.

აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა იმ უნივერსიტეტებში, სადაც სტუდენტთა კონტინგენტი ძალიან მცირეა. ხშირად ამ უნივერსიტეტებში პროგრამის ფარგლებში მიღებულ შემოსავალს აჭარბებს პროგრამაზე დახარჯული თანხები. ამის მაგალითებს წარმოადგენს ბათუმის, ქუთაისის და თელავის უნივერსიტეტები, ისევე როგორც ილიას უნივერსიტეტი 2010-2011 და 2011-2012 წლებში. აღნიშნულ უნივერსიტეტებში მიღებული შემოსავალი ვერ ფარავდა განუულ ხარჯებს. მაგალითისათვის წარმოვადგენთ ილიას უნივერსიტეტის პროგრამის შემოსავლებისა და ხარჯების ცხრილს:

ცხრილი #31- ილიას უნივერსიტეტის პროგრამის შემოსავლები და ხარჯები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის			ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის		პროგრამაში ჩართული პედაგოგების ანაზღაურება სემესტრში განისაზღვრება დაახლოებით 16.500 ლარით
წელი	სახელმწიფო სასწავლო გრანტი (100%)	სტუდენტის ან დონორი ორგანიზაციის მიერ გადახდილი თანხა	სახელმწიფო სასწავლო გრანტი (100%)	სტუდენტის ან დონორი ორგანიზაციის მიერ გადახდილი თანხა	
2010	2250 ლ	4500 ლ	2250 ლ	4500 ლ	
2011	4500 ლ	0	2250 ლ	2250 ლ	
2012	6750 ლ	87750 ლ	9000 ლ	2250 ლ	

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია

წარმოდგენილი ცხრილიდან თვალნათელია, რომ 2010-2011 და 2011-2012 წლებში ილიას უნივერსიტეტში ხარჯები აჭარბებს შემოსავალს, თუმცა სწორად წარმართულმა სასწავლო პროცესმა და დანახარჯებმა განაპირობა სტუდენტთა მკვეთრი მატება ილიას უნივერსიტეტში 2012-2013 და 2013-2014 წლებში, რაც პროგრამის ეფექტური მართვის პოზიტიურ გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს და რომლის განვრცობა სხვა უნივერსიტეტებზეც იქნება პოზიტიური.

2) ლოჯისტიკური პრობლემები ერთწლიანი პროგრამის დასაწყისში

ერთწლიანი პროგრამის მონაწილენი, რომლებიც თბილისში სწავლობენ და რეგიონებიდან ჩამოდიან, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად სწავლის დასაწყისში არსებულ პრობლემებს ასახელებენ:

- „პირველი წელი იყო ძალიან ძნელი, ძალიან გამიჭირდა აქ მოსვლა, ვფიქრობდი, აქ აღარ დავრჩები-თქო, მაგრამ ლექტორები როცა გავიცანი, ყველა დამეხმარა“;
- „ბინის შოვნა და ტრანსპორტირება უცხო ქალაქში ძალიან ძნელია“.

აღსანიშნავია, რომ მეთორმეტეკლასელებთან ფოკუსჯგუფში ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ყველაზე სერიოზულ პრობლემად ასახელებენ სასწავლო წლის დასაწყისში ლოჯისტიკური პრობლემების არსებობას (ახალქალაქში). ამ თვალსაზრისით მათ საკუთარი ნათესავების დახმარების იმედი აქვთ, თუმცა ვისაც ნათესავი არ ჰყავს, სწორედ ამ მიზეზით იკავებს თავს თბილისის უმაღლესი სასწავლებელში ჩაბარებისგან. თუმცა, მეორე მხრივ, საცხოვრებელი ადგილის პრობლემა არამხოლოდ თბილისში ჩამოსულ, არამედ ახალციხესა და ახალქალაქში მყოფ სტუდენტებსაც უჩნდებათ. პრობლემა მაღალმთიან და მოშორებით მდებარე

სოფლებიდან ლექციებზე ჩამოსვლას და უკან დაბრუნებას უკავშირდება; ძირითადი პრობლემა უტრანსპორტობა, მგზავრობის საფასური და მოუქნელი სატრანსპორტო გრაფიკა. აღსანიშნავია, რომ არცერთ უნივერსიტეტს არ გააჩნია სტუდენტებისთვის ამ პრობლემის მოსაგვარებლად რაიმე დახმარების ან მხარდაჭერის მექანიზმები. ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ თვითონ სტუდენტებიც არ არიან ორგანიზებული, რათა წინა წლის სტუდენტები დაეხმარონ ახალ სტუდენტებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილიას უნივერსიტეტის გამოცდილება, როცა წინა წლის სტუდენტები მუშაობენ ტუტორებად და დახმარებას უწევენ ახალ სტუდენტებს, თუმცა ეს ვრცელდება სწავლის დანებებამდე მათთვის ლოჯისტიკური პრობლემების მოგვარებაზე და ამ თვალსაზრისით რაიმე კოორდინირებული საქმიანობა არც ადმინისტრაციის და არც სტუდენტების მხრიდან არ იკვეთება. შესაძლებელია, აღნიშნული მიმართულებით მხარდაჭერის გაუმჯობესებამ გაზარდოს კიდევ თბილისში ჩაბარების მსურველთა რაოდენობა, განსაკუთრებით, სომხურენოვან აბიტურიენტებში, რომლებიც უფრო მეტად აწყდებიან განხილულ პრობლემას დედაქალაქთან სიშორის გამო.

3) ბაზებში დარეგისტრირების და საგნების არჩევის პრობლემები

ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ საბაკალავრო პროგრამაზე დარეგისტრირება და საგნების არჩევა დასახელდა სტუდენტების მიერ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში. ზოგადად ბაზებთან და საგნების არჩევასთან დაკავშირებული პრობლემა საყოველთაოა ყველა სტუდენტისთვის, თუმცა კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებს დამატებითი ბარიერები ხვდებათ, რაც მათ რეგისტრაციას, შემდგომ ბაზებში შეყვანასა და საგნების არჩევას უკავშირდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა განცხადებით, ეს პრობლემა ძირითადად საბაკალავრო პროგრამის პირველ სემესტრს უკავშირდება, როცა ისინი სტუდენტებად ჯერ კიდევ არ არიან რეგისტრირებულები:

- „ჩვენ სამი დღე მივდიოდით და ძალიან დიდი რიგები იყო და ვერაფრით ვერ შევდიოდით და სამი დღე გვეუბნებოდნენ, ჯერ არ ხართ ბაზაშიო, დოკუმენტები აქედან იქ უნდა გადაეცათ და სანამ არ ავედით და არ ვუთხარით იმათ, ამათ არ გადაუგზავნეს დოკუმენტები“;
- „ჩემთანაც იყო ეს სიტუაცია. რეგისტრაცია იყო დამთავრებული, ბაზები იყო დაკეტილი, სწავლა იწყებოდა იმ დღეს. 17-ში დავინყეთ სწავლა და ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან არ იყო გაგზავნილი ჩემი პირადი მასალა“;
- „არა, სხვებთანაც ბევრი მოსამზადებელის ბავშვს არ ეხსნებოდა. მონაცემები არ გადაეცათ თუ რალაც პრობლემა იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის“.

თუმცა სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მათ პრობლემები სხვა სემესტრებშიც ექმნებათ:

- „ბაზებზე იყო პრობლემა ბაზები არ გამიხსნა. გვიან გამიხსნა, რომელი ლექტორების არჩევაც მინდოდა, რომელი საათების არჩევაც მინდოდა, მაგაზე პრობლემა შემიქმნა. ბაზები იხსნებოდა 4 მარტს 12 საათზე. რომ შევედი, არ

გახსნა და შეივსო ადგილები. ცხრილი მქონდა შედგენილი. დილის 9 საათი მანყობა იმიტომ, რომ შუადღეს როდესაც გაქვს ლექცია, მთელი დღე იკარგება. რო ვერ ავირჩიე, ადგილებიც აღარ იყო, მერე სამ საათზე მომინია სემინარები. დღე იყო, როდესაც ერთი საათი მქონდა და დღე იყო, როდესაც 7 სემინარი მქონდა, მაგალითად, პარასკევს. პრობლემა შემექმნა, ძალიან გამიჭირდა ეს ერთი წელი“.

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებიც აქტიურად ეხმიანებიან ამ პრობლემას, აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციის პრობლემა დაკავშირებულია სტუდენტის საბუთის მიღების პრობლემასთან; სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სტუდენტის საბუთის დაგვიანებით აღება მათთვის ფინანსური ტვირთიც არის, თუნდაც დამატებით სატრანსპორტო ხარჯების გამო, რადგან სტუდენტური შეღავათით ვეღარ სარგებლობენ საბუთების არქონის გამო:

- „ბაზაში ჩვენი შეყვანა გვიანდება, რის გამოც ვერ ვირჩევთ საგნებს, დაგვიანებით უკვე ადგილები სავსეა და ვეღარ ვრეგისტრირდებით“;
- „სტუდენტურ საბუთს ვერ ვიღებთ, სანამ ბაზაში არ ვართ“;
- „სტუდენტის საბუთის გარეშე ტრანსპორტშიც ვერ ვსარგებლობთ შეღავათით და ძვირი გვიჯდება“;

რეგისტრაციასა და ბაზებთან დაკავშირებით საკუთარი პრობლემების მოგვარების პროცესში ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები მიუთითებენ ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომლის არაკონსტრუქციულ და ხშირად დისკრიმინაციულ ქმედებებზე მათ მიმართ:

- „ყველა ფაკულტეტზე კოორდინატორია. XXX ფაკულტეტზე კოორდინატორია, სულ მეშინია იმ ქალის, არ მიყვიროს და ბავშვებთან არ შემარცხვინოს“;
- „....კოორდინატორი სულ მეუბნება, „ეგ ჩემი საქმე არ არის“, „საგანს ვერ გამოვცვლი, ეგ ჩვენი პრობლემა არ არის, ეს შენი საქმეა“;
- „-აუ, თქვენ ისევ აქ ხართ, ეგ თქვენი საქმეა თავი დამანებეთ“;
- „....ვაკვირდები, ქართველ ბავშვებს სხვანაირად ექცევა, ჩვენ სულ გვიყვირს. ქართველები, რომ შედიან, არაფერს არ ამბობს, ჩვენ რომ შევალთ, ეგრევე ყვირის, თქვენ ისევ აქ ხართო?“

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები აგრეთვე მიუთითებენ აღნიშნულ პროცესში არსებულ ბიუროკრატიულ სისტემაზე, რის გამოც მათ პრობლემები ექმნებათ:

- „ბიუროკრატია დამლელია, მთელი დღე წინ და უკან. აქიდან გაგიშვებენ ნუცუბიძეზე რალაცაზე, იქიდან გამოგიშვებენ აქეთ, მთელი დღე იქით-აქეთ“.

საინტერესო სურათი წარმოაჩინა ახალციხის უნივერსიტეტის ფოკუსჯგუფმა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე. სტუდენტთა ცნობით, მათი რეგისტრაცია და დაჯგუფება ხდება ინგლისური ენის კომპეტენციებიდან გამომდინარე, თუმცა ინგლისური ენის კომპეტენციების შეფასების საინტერესო სისტემა აქვს შემუშავებული უნივერსიტეტს. ვისაც მისაღებ გამოცდებზე ინგლისური ენის გამოცდა აქვს ჩაბარებული, ისინი სხვა ჯგუფებში ნაწილდებიან, ვისაც არა -

სხვაგან. საშელავათო პოლიტიკის შედეგად ჩარიცხული სტუდენტები ინგლისურ ენას არ აბარებენ მისაღებ გამოიცდებზე, რადგან მხოლოდ უნარების გამოცდის შედეგად ირიცხებიან. შესაბამისად, მათი განთავსება ხდება მუდმივად ცალკე ჯგუფში და ისინი საბაკალავრო პროგრამის პირველ კურსზეც იზოლირებული არიან, მიუხედავად იმისა, ინგლისურ ენაში მათი ენობრივი კომპეტენცია უფრო მაღალიც კი არის, ვიდრე ქართველი ბავშვების, ვინც მისაღებ გამოიცდებზე ჩააბარეს ინგლისური ენის გამოცდა. უმაღლეს სასწავლებელს არ გააჩნია მათი შეფასების არანაირი სქემა და ჯგუფებში განთავსება ავტომატურ რეჟიმში ხდება, რაც კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტთა უკმაყოფილებასა და გულისწყრომას იწვევს.

4) სტატუსის არქონის პრობლემა გარკვეულ პერიოდში

ახალციხის უნივერსიტეტის ფოკუსჯგუფში მონაწილე სტუდენტებმა სპეციფიკურ პრობლემად დაასახელეს მათი სტატუსის არქონა ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვამდე და ოფიციალურად დარეგისტრირებამდე პერიოდში. სტუდენტების განმარტებით, ამ პერიოდში ისინი არც საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები არიან და არც ერთწლიანი პროგრამის, რადგან პროგრამა უკვე დამთავრებული აქვთ და სერტიფიკატიც მიღებული. შესაბამისად, ამ პერიოდში იქმნება მდგომარეობა, როცა მათ არ აქვთ საშუალება წარადგინონ მათი სტუდენტობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ბიჭებისთვის, რომელთაც, ასაკიდან გამომდინარე, სამხედრო სამსახური უწევთ და თუ არა აქვთ სტუდენტის სტატუსი, იძულებულნი არიან წავიდნენ სამხედრო სამსახურში:

- „უნივერსიტეტიდან ცნობა ვერ მივიტანე... ფაქტიურად, ვიმალებოდი, თორემ წამიყვანდნენ სამხედროში ცნობის არ ქონის გამო“.

5) არაინფორმირებულობა საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში

საბაკალავრო პროგრამების შესახებ არაინფორმირებულობის პრობლემებზე მიუთითებენ ყველა უნივერსიტეტის სტუდენტები. ისინი მიიჩნევენ, რომ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამების შესახებ, როცა არჩევანს აკეთებდნენ. მიუხედავად ამისა, ყველა უნივერსიტეტის სტუდენტი აღნიშნავს, რომ შეხვედრები იმართება სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, რომლებიც მათ აცნობენ თავიანთ პროგრამებს:

- „საბაკალავრო პროგრამის არჩევამდე კარგი იქნება ფაკულტეტებმა ჩაატარონ ინფორმაციული შეხვედრები, იყო რალაც შეხვედრა, მაგრამ კარგად ვერ მივიღე ინფორმაცია“.

აქვე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ იყო შემთხვევები, როცა ლექტორები მათ ეხმარებოდნენ პროგრამის არჩევაში:

- „ლექტორები გვინევენ კონსულტაციას ფაკულტეტის არჩევისას. მე ვაპირებდი ბიზნესის ადმინისტრირებაზე ჩაბარებას, მაგრამ ლექტორმა მიჩნია, ისეთი უნარები გაქვს, კომპიუტერის მიმართულებით საინჟინრო ტექნოლოგიებზე რომ ჩააბარო, აჯობებსო და ავირჩიე საინჟინრო ტექნოლოგიები“.

გარდა ამისა, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, საბაკალავრო პროგრამების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიეღოთ გაეროს ასოციაციისა და ალპეს მიერ ორგანიზებული შეხვედრებიდან, თუმცა მათივე განცხადებით, ამ შეხვედრებში მონაწილეობა ყველა სტუდენტისთვის არ იყო ხელმისაწვდომი.

მიუხედავად იმისა, რომ არის გარკვეული პოზიტიური ნიშნები, სტუდენტები მაინც ხაზს უსვამენ მათ არაინფორმირებულობას გადამწყვეტილების მიღებისას. ეს კი კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისთვის ორი ტიპის პრობლემას ქმნის: (ა) მათ პრობლემები ექმნებათ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას; (ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმების პერსპექტივები არც ისე შესამჩნევია, რადგან მათი არჩევანი არ ეფუძნებოდა არსებული შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. შესაბამისად, სტუდენტებს კარიერული დაგეგმვის თვალსაზრისით საკონსულტაციო მხარდაჭერა უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიაჩნიათ, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება და საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების რეალიზება.

6) არასაუნივერსიტეტო სამოქალაქო და ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობები

მიუხედავად იმ ხარვეზებისა, რომლებზეც პროგრამაში ჩართული სტუდენტების დიდი ნაწილი საუბრობს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან მათი სრულყოფილი ინტეგრაციის შესაძლებლობებისა და ხელშემწყობის თვალსაზრისით, ისინი ასევე საუბრობენ იმ პოზიტიურ გავლენაზე, რომელიც გარე ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და პროექტებს აქვთ პროგრამის ფარგლებში გაერთიანებული სტუდენტების ინტეგრაციის, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარების განვითარების კუთხით. ამ მხრივ განსაკუთრებული აქცენტი ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა გააკეთეს იმ აქტივობებზე, რომლებიც საქართველოს გაეროს ასოციაციისა და ორგანიზაცია ალპეს ერთობლივი პროექტისა და ილიას ბაზაზე არსებული ტოლერანტობის ცენტრის ფარგლებში ხორციელდება. განსაკუთრებით აღინიშნა სამოქალაქო აქტივობის ფარგლებში ჩატარებული გასვლითი ტრენინგი, რომელშიც სტუდენტები იყვნენ ჩართულები ქართველ თანატოლებთან ერთად. ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების მხრიდან აგრეთვე აღინიშნა ანა ფრანკის ფონდის მიერ ორგანიზებული ტრენინგები და ამ ტრენინგების მნიშვნელობა მათი სამოქალაქო თუ სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის. სტუდენტები ასევე მნიშვნელოვან აქტივობად მიიჩნევენ რეგულარულ ტრენინგებს სამოქალაქო აქტივობებში, რომელიც, ერთი მხრივ, მათთვის მნიშვნელოვანი უნარების გაუმჯობესებასა და საჭირო ცოდნის შეძენას უწყობს ხელს, ხოლო მეორე მხრივ კი ქმნის პოზიტიურ და საინტერესო სივრცეს ქართველ თანატოლებთან ინტერაქციისათვის.

თავი VIII.

რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად

კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხების დასარეგულირებლად უმნიშვნელოვანესია გარკვეული ცვლილებების გატარება როგორც საშეღავათო პოლიტიკის დაგეგმვის და საკანონმდებლო უზრუნველყოფის, ასევე საუნივერსიტეტო დონეზე პროგრამის ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით. ქვემოთ გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს 2010 წელს დაწყებული რეფორმის უფრო ეფექტურად გაგრძელებას და შესაძლებლობას მოგვცემს ამ რეფორმის გატარების შედეგად მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ.

1. რეკომენდაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- უმნიშვნელოვანესია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს პოლიტიკა ქართული ენის ფლობის შეფასების სისტემისა და ინსტრუმენტის შექმნის თაობაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მისი სტრუქტურული ერთეულის, უმაღლესი სასწავლებლების მიერ ჩამოყალიბებული რაიმე ინსტიტუტის ან დამოუკიდებელი ინსტიტუტის მიერ. ქართული ენის ფლობის შეფასების სისტემა და შეფასების ინსტრუმენტის შექმნა უმნიშვნელოვანესია იქნება არამხოლოდ საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში არსებული საკითხების დასარეგულირებლად, არამედ ხელს შეუწყობს შრომით ბაზარზე, მოქალაქეობის მინიჭების საკითხებზე თუ საჯარო სამსახურში ამ თვალსაზრისით არსებული სირთულეების დაძლევასაც;
- ქართული ენის ფლობის დონეების შეფასების სისტემისა და შეფასების ინსტრუმენტის კვალიდაკვალ მნიშვნელოვანია ქართული ენის ფლობის სერტიფიკატის გაცემის სამართლებრივი მექანიზმების ამუშავება; მათ შორის, სერტიფიკატის მოქმედების ვადის განსაზღვრა;
- კვლევამ გამოკვეთა, რომ სტუდენტები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას სწავლის დასაწყისში, ვერ ძლევენ პროგრამას და პრობლემები ექმნებათ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას, რადგან საკომუნიკაციო უნარებიც კი არ აქვთ საკმარისად განვითარებული ერთნაირი პროგრამის გავლის შემდეგ და სერიოზული პრობლემები აქვთ აკადემიური ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება ქართული ენის კომპეტენციების მინიმალური ზღვრის დაწესება უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მსურველთათვის. მხოლოდ აღნიშნული მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მათი ერთნაირი პროგრამაზე ჩარიცხვა. შესაძლებელია დამატებითი მექანიზმების ამუშავება იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ვერ გადალახავს ქართული ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. მათთვის ერთნაირი პროგრამის დაწყებამდე შესაძლებელია წინასწარი 2-თვიანი ინტენსიური კურსების ორგანიზება და მხოლოდ ამის შემდგომ მისი ჩართვა ქართული ენის სწავლის ერთნაირ პროგრამაში;

- ენის ფლობის დონის შეფასებისა და შესაბამისი ინტრუმენტის შემუშავების კვლადაკვალ დადგინდეს სამართლებრივი მექანიზმები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ენის ფლობის დონით განსაზღვრულ კომპეტენციას; მიეცეთ უფლება: ნებისმიერ დროს გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გააგრძელონ სწავლა საბაკალავრო პროგრამაზე (რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არ დაკარგავენ ზედმეტ წელს და არ დაიხარჯება დამატებითი ერთი წლის ფინანსები ამ ტიპის სტუდენტთა ერთწლიან პროგრამაზე სწავლებისთვის);
- კვლევაში მონაწილე პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები მიუთითებენ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების გართულებულ ბიუროკრატიულ სისტემაზე როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში, რაც საშუალებას არ იძლევა უფრო მოქნილი იყოს და საჭიროებიდან გამომდინარე შეიცვალოს პროგრამა. უმნიშვნელოვანესია, შექმნას მექანიზმები ქართული ენის პროგრამის მოდიფიცირების, მისი აკრედიტაციის და მასში ცვლილებების შეტანის მექანიზმების გამარტივების თვალსაზრისით. ხარისხის მართვის სამსახურები როგორც ცენტრალურ, ასევე საუნივერსიტეტო დონეზე, ორიენტირებულნი უნდა გახდნენ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებასა და არა ბიუროკრატიული ბარიერების შექმნაზე ხარისხის გაუმჯობესების მიზნებზე აპელირებით;
- უმნიშვნელოვანესია საშეღავათო პოლიტიკის შესახებ საინფორმაციო კამპანიის კარგად დაგეგმვა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ფლობს ინფორმაციას საშეღავათო პოლიტიკის შესახებ, ხშირად ეს ინფორმაცია დამახინჯებული, არასრულყოფილი ან ტენდენციურია. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია სრულყოფილი **საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება** მეთაურ-მეთორმეტე კლასების მოსწავლეებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისთვის, მოსწავლეების მშობლებისთვის მშობლიურ ენაზე.
- უმნიშვნელოვანესია განათლების და მეცნიერების სამინისტრომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ 17 პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომელზეც სახელმწიფო დაფინანსება ვრცელდება და რომელზეც სწავლა „უფასოა“ სტუდენტებისთვის, სახელმწიფო დაფინანსება გაავრცელოს საშეღავათო პოლიტიკის შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებზეც მათი ამ პროგრამებზე მოზიდვისა და თანასწორობის დაცვის მიზნით უმაღლესი განათლების შესაძლებლობის მიცემისას. სასურველია, სახელმწიფო დაფინანსება გაავრცელდეს კვოტირების სისტემის შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებზე იმ კვოტების პროპორციულად, რაც დადგენილია კანონმდებლობით (დაფინანსებული საერთო ადგილების 5% სომხურენოვანთათვის, 5% - აზერბაიჯანულენოვანთათვის, 1% - აფხაზურენოვანთათვის და 1% - ოსურენოვანთათვის). ეს პოლიტიკა მნიშვნელოვანი იქნება ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოზიდვისა და ზოგადად, ამ მიმართულებით აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების გაჯანსაღებისთვის.
- მნიშვნელოვანი იქნება, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში მოხდეს იმ ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებაც, რომლებიც არ მოიაზრებიან ახლანდელი საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში და, შესაბამისად, იმყოფებიან დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. სასურველია, რომ რუსულ სკოლებსა და

რუსულ სექტორებში გაერთიანებული მოსწავლეებისათვის ასევე გამოიყოფა შესაბამისი კვოტა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დასაფინანსებლად. ამასთან, სამართლიანობის უზრუნველსაყოფად და სხვა სკოლებიდან შეღავათით სარგებლობის მოტივაციით მოსწავლეების ტრანსფერის თავიდან ასაცილებლად, განისაზღვროს დამატებითი კონტროლის მექანიზმი მოსწავლეების საშეღავათო პოლიტიკით სარგებლობის ვალიდურობის დასადაგენად და საშეღავათო პოლიტიკის პირობებით მოსარგებლედ მიიჩნეს მოსწავლეების ის ნაწილი, რომელიც, მინიმუმ, ბოლო 5 წლის მანძილზე სწავლობს რუსულ სკოლას ან რუსულ სექტორში. რუსულენოვანი აბიტურიენტების კვოტა შესაძლებელია იყოს 1% ან ნაკლებიც გამოყოფილი საერთო ადგილებიდან. აღნიშნული ცვლილება სასარგებლო იქნება რამდენიმე მიმართულებით:

(ა) ხელს შეუწყობს სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურიენტების მოზიდვას, რომელთაც რუსულენოვანი განათლება აქვთ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და თანაბარ პირობებში ჩააყენებს სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლადამთავრებულ თანატოლებთან;

ბ) ხელს შეუწყობს დისპერსული განსახლების სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო ინტეგრაციას და მათ თანაბარ პირობებში ჩაყენებას კომპაქტური განსახლების აბიტურიენტებთან;

(გ) საგულისხმოა, რომ რუსულენოვანი კვოტირების სისტემის შემოღება შეიძლება პოზიტიური ნაბიჯი აღმოჩნდეს აფხაზი და ოსი აბიტურიენტების ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსაზიდადაც;

(დ) გადანყვეტილებამ შეიძლება პოზიტიური მცირე როლიც შეასრულოს რუსეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

2. რეკომენდაციები უმაღლეს სასწავლებლებს

(ა) აბიტურიენტთა რეკრუტირება და მოსახლეობის ინფორმირებულობა საშეღავათო პოლიტიკის შესახებ;

- უმნიშვნელოვანესია უმაღლესი სასწავლებლები აქტიურად ჩაერთონ აბიტურიენტთა რეკრუტირების პროცესში და წინასწარ შეხვედრებში მათემეთორმეტეკლასის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან და მიაწოდონ მათ ინფორმაცია, როგორც ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის შესახებ, ასევე იმ საბაკალავრო პროგრამების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტები ახორციელებენ და რომელთა შერჩევაც მოუწევთ აბიტურიენტებს ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ;

(ბ) მომზადება ქართული ენის ერთწლიან და საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა და სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის

- ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის დაწყებამდე სასურველია სტუდენტებისათვის სპეციალური საორიენტაციო პროგრამის მომზადება,

რომელიც საშუალებას მისცემს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს, უკეთ გაერკვნენ საუნივერსიტეტო სტრუქტურაში, ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და დანიშნულებაში. სასურველია, რომ მსგავსი ტიპის ორიენტაციების მოწყობა ქართველ სტუდენტთა ჯგუფების მიერ ხდებოდეს მათთვის გარკვეული პირობებისა და ნახალისების მექანიზმების შემუშავების საშუალებით, რაც სტუდენტებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გაღრმავების ამოსავალ წერტილადაც შეიძლება იქნას განხილული.

- სტუდენტების დახმარება სწავლის დასაწყისში ლოჯისტიკური პრობლემების მოგვარებაში;
- უნივერსიტეტების მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობების დასახვა და გაღრმავება ქალაქის სამუნიციპალიტეტო სტრუქტურებთან, რაც საშუალებას მისცემს სასოფლო დასახლებებიდან და რეგიონებიდან ჩამოსულ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს, მიიღონ სასარგებლო ინფორმაცია მათთვის უცხო ქალაქში არსებული სერვისების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მოძრაობის გრაფიკების, კულტურული და სოციალური ცხოვრების შესახებ. საგულისხმოა, რომ ამგვარი თანამშრომლობითი ურთიერთობები არამხოლოდ სტუდენტების ორიენტაციას გააადვილებდა, არამედ მათი ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის იქნებოდა სასარგებლო.
- ქართული ენის ერთნაირი პროგრამიდან საბაკალავრო პროგრამაზე ტრანზიტულ პერიოდში ბაზებსა თუ ადმინისტრაციულ ბიუროკრატიულ სისტემებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება, მათ შორის ამ სტუდენტების სტატუსთან დაკავშირებული სამართლებრივი და ბიუროკრატიული სისტემების დარეგულირება;
- სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის ცენტრის შექმნა ამ სტუდენტების დასახმარებლად როგორც ერთნაირი პროგრამის განხორციელების, ასევე საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში;
- ადმინისტრაციისა და ლექტორებისთვის გარკვეული გაიდლაინების შექმნა და სემინარების ორგანიზება ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით;
- ინტერკულტურული ღონისძიებების ორგანიზება საუნივერსიტეტო დონეზე და ქართველი სტუდენტების აქტიურად ჩართვა მათში ინტერკულტურული მგრძნობელობის გასაუმჯობესებლად;
- კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისა და ქართველი სტუდენტების ინტერაქციის ხელშეწყობა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობების, პროექტებისა და სილაბუსებში ინტერკულტურული აქტივობების ასახვის გზით;
- კვოტირების სისტემით ჩარიცხული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტების ერთმანეთთან ინტერაქციის ხელშეწყობა და მათი ერთობლივი ღონისძიებების და პროექტების ნახალისება;
- კვოტირების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების სოციალური ინტეგრაციისკენ მიმართული საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობების ორგანიზება;

- კვლევების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების კულტურის პოპულარიზაცია ქართველ სტუდენტებში, ლექტორებსა და ადმინისტრაციასთან და მათი როლის წარმოჩენა ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში;
- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ღონისძიებათა ორგანიზება კვლევების სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისა და სხვა სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით;
- კვლევების სისტემის შედეგად ჩარიცხული სტუდენტებისთვის საბაკალავრო პროგრამის არჩევის წინ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, მათთვის საბაკალავრო პროგრამის ლექციებზე დასწრების შესაძლებლობის მიცემა და მათი სტუდენტური და კარიერული ცხოვრების დაგეგმვის დასახმარებლად მექანიზმების ამუშავება (ტუტორები, მრჩეველები, სტუდენტური და აკადემიური კარიერის დაგეგმვის დახმარების ცენტრი და ა.შ.);
- საბაკალავრო საფეხურზე კვლევების სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისთვის მათი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად პირველ წელს გარკვეული საუნივერსიტეტო მიდგომის ჩამოყალიბება, რათა ენობრივი კომპეტენცია არ იყოს დაბრკოლება სტუდენტის აკადემიური, დარგობრივი თუ სოციალური უნარებისა და კომპეტენციების განსავითარებლად. ამ თვალსაზრისით კარგი იქნებოდა უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარება და არსებული პრაქტიკის გაცვლა (სასწავლო მასალების გამარტივება, შეფასების სისტემაში ენობრივი უზუსტობების გაუთვალისწინებლობა, სხვა ენაზე პასუხების გაცემის შესაძლებლობის მიცემა, საგამოცდო დროის დამატება ენობრივი ანალიზისთვის ზედმეტი დროის საჭიროების გამო და ა.შ.).

(გ) ქართული ენის ერთწლიანი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება

გ.1) ენის ერთწლიანი პროგრამის ადმინისტრირება

- უმნიშვნელოვანესია რეფორმაში ჩართული ყველა უნივერსიტეტის თანამშრომლობა და პოზიტიური გამოცდილების გაზიარება. ამ პროცესის ფასილიტაცია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმაც შეიძლება ითავონ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა არსებობს, უპირიანი იქნება ყველა უნივერსიტეტის ჩართვა ამ პროცესში;
- უმნიშვნელოვანესია პროგრამის დაგეგმვა და ფინანსური უზრუნველყოფა არ მოიცავდეს მხოლოდ ადმინისტრაციისა და მასწავლებლის ხელფასებს. უმნიშვნელოვანესია სტუდენტების უზრუნველყოფა დამატებითი სასწავლო რესურსებით, ბიბლიოთეკით, ენისა და კომპიუტერული კაბინეტებით, აგრეთვე, კლასგარეშე და სოციალურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება, რაც ერთწლიანი პროგრამის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების ალოკაცია სილაბუსით გათვალისწინებულ პროექტულ თუ კვლევით აქტივობებზე, რომელთა განხორციელება დამატებით ფინანსურ რესურსს მოითხოვს და ეს აქტივობებიც პროგრამების განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. როგორც ანალიზიდან თვალნათელია, ამ ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის

შესაძლებლობებს იძლევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლები.

- მნიშვნელოვანია, რომ ქართული ენის პროგრამის ყველა ფაკულტეტთან შემუშავდეს კოორდინაციის შიდასაუნივერსიტეტო მექანიზმები, რაც საშუალებას მისცემდა პროგრამაში გაერთიანებულ სტუდენტებს ყველა იმ აკადემიურ თუ შემეცნებით აქტივობასა და ღონისძიებაში იყოს ჩართული, რომელიც მისთვის საინტერესო და სასარგებლოდ მიიჩნევა.
- უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტებმა დაარეგულირონ ქართული ენის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების აღრიცხვის, შესაბამისი ბრძანების გაფორმების, მათთვის შესაბამისი საბუთების გადაცემის და ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა პრობლემა;
- უმნიშვნელოვანესია პროგრამების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მასწავლებელთა თანამშრომლობა. უფრო მეტიც, უპრიანი იქნებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტის მასწავლებელთა თანამშრომლობის ნახალისება, სასწავლო რესურსების საერთო ბაზის შექმნა, სასწავლო რესურსების ურთიერთგაცვლა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ მინდაინფრასტრუქტურული თვალსაზრისით გამართული დაწესებულებები სტუდენტებისთვის (სასადილო ოთახი, მოსასვენებელი ოთახი, საპირფარეო და ა.შ.);
- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა შექმნან ელექტრონული პლატფორმა პროგრამებისთვის და თანამედროვე ტექნოლოგიები ჩართონ სასწავლო პროცესში, სტუდენტებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადონ სასწავლო მასალა და მოამზადონ უფრო ეფექტურად საბაკალავრო პროგრამებზე არსებული სასწავლო მეთოდებისთვის, გარდა ამისა, ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მასწავლებელთა შორის უფრო ეფექტურ თანამშრომლობას;
- მნიშვნელოვანია ერთნაირი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტსა და სხვა ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება, საბაკალავრო პროგრამის არჩევისა და შემდგომ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების ეფექტურობის გასაზრდელად.

გ-2) დაგეგმვა და განხორციელება

- უმნიშვნელოვანესია უმაღლესმა სასწავლებლებმა შეიმუშაონ სტუდენტების ჯგუფებად გადანაწილების მრავალფეროვანი, ეფექტური და ვალიდური სისტემა, რომელიც ენობრივი კომპეტენციის შეფასების მრავალმხრივ სისტემას დაეფუძნება და გამორიცხავს მის არავალიდურობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა შეიმუშაონ ჯგუფებს შორის სტუდენტების გადასვლის შიდა მობილობის სისტემა, რაც გაზრდის სტუდენტების მოტივაციას, გააუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროგრესი;
- მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ ენის სწავლების სხვადასხვა უნარების ლექციებზე,

არამედ პროგრამის შინაარსი მოიცავდა სამოქალაქო განათლების, ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინტერკულტურული კომუნიკაციის და სხვა კურსებს. ამ კურსების გამოყენება შესაძლებელი იქნება უშუალოდ ენობრივი კომპეტენციების განსავითარებლად ენის და საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით;

- არსებული ერთნობიანი პროგრამების დიდი ნაწილი ორიენტირებულია კომუნიკაციური ენობრივი უნარების განვითარებაზე, ხოლო საბაკალავრო დონეზე სწავლებისთვის სტუდენტებს ესაჭიროებათ აკადემიური ენობრივი კომპეტენციები. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია პროგრამის ისე დაგეგმვა, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტებში აკადემიური ენობრივი კომპეტენციების განვითარება. აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია შესაბამისი კომუნიკაციური ენობრივი უნარების განვითარების შემდეგ დამატებითი კურსების შემუშავება და განხორციელება. აღნიშნული შესაძლებელია კურსებზე საკონტაქტო საათების დამატებით, ზამთრისა და ზაფხულის კურსების სისტემის ამუშავებით. უპრიანი იქნება საზაფხულო აკადემიური კურსების ორგანიზება, როდესაც სტუდენტებს უკვე მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ექნებათ საკუთარი საბაკალავრო პროგრამა და ამ პროგრამის შესაბამისი აკადემიური ენის კურსის ორგანიზება მათ უფრო ეფექტურად მოამზადებს საბაკალავრო პროგრამისთვის;
- ქართული ენის ერთნობიანი პროგრამის უმრავლესობა მოიცავს მხოლოდ სავალდებულო საგნებს 60 კრედიტის ფარგლებში. უპრიანი იქნება მრავალფეროვანი არჩევითი კურსების შეთავაზება სტუდენტებისთვის, რომელიც იქნება ორიენტირებული კონკრეტული სტუდენტების საჭიროებებზე და თვითშეფასების საფუძველზე სტუდენტები მათთვის საჭირო კურსებს შეარჩევენ. ეს სისტემა დამატებით უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას საბაკალავრო დონეზე არსებული სასწავლო სისტემისთვის; ასევე რეკომენდებული იქნებოდა, პროგრამის იმ სტუდენტებისათვის, ვისაც ხელეწიფება, შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის არჩევითი საგნებიდან კურსის არჩევა და კრედიტების აღიარება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მას, გაიცნოს საუნივერსიტეტო სწავლების ფორმატი, ხოლო მეორე მხრივ კი, მეტ და ფართო ცოდნას დაუფლოს.

გ-3) პროგრამის ხანგრძლივობა

- სასურველია პროგრამის ხანგრძლივობა იყოს მოქნილი და დაეფუძნოს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ის შეიძლება მოიცავდეს წელიწადში ორ სემესტრს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში უმაღლესმა სასწავლებლებმა შეიძლება შესთავაზონ სტუდენტებს განსხვავებული, 4-სემესტრიანი პროგრამა. კურსი შეიძლება მოიცავდეს 45 საკონტაქტო საათს, თუმცა სტუდენტთა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს საკონტაქტო საათების 75-მდე გაზრდა.
- ასევე მიზანშეწონილია სტუდენტების იმ ნაწილისათვის, რომელსაც ამის საჭიროება ან სურვილი აქვს, საბაკალავრო პროგრამის პირველიდან მეოთხე სემესტრის განმავლობაში ჰქონდეს საშუალება გააგრძელოს ქართული ენის კურსები, როგორც საბაკალავრო სწავლებისა და კრედიტების სისტემის ნაწილის, ასევე მისგან თავისუფალი კურსის საშუალებით.

- -მიზანშეწონილია უმაღლეს სასწავლებლებს ჰქონდეთ რამდენიმე მოდული სწავლების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და სტუდენტთა საჭიროებიდან გამომდინარე, მოხდეს სხვადასხვა მოდულის გამოყენება;
- პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით აუცილებელია უმაღლესი სასწავლებლების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის თანამშრომლობა ოპტიმალური ვარიანტის გამოსაძებნად;

გ-4) შეფასების სისტემა

- სასურველია უმაღლესმა სასწავლებლებმა აქტიურად იმუშაონ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ენის ფლობის დონეების განსასაზღვრი ინსტრუმენტის შესამუშავებლად და ეს ინსტრუმენტი გამოიყენონ სტუდენტთა ენის ფლობის დონის შესაფასებლად;
- მნიშვნელოვანია უმაღლესმა სასწავლებლებმა განსაზღვრონ აკადემიური ენის ფლობის ის დონე, რომელიც აუცილებელია სტუდენტისთვის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლებლად, შესაბამისად, აკადემიური ენის ფლობის დონე გახდეს სტუდენტის ენის ფლობის საერთო დონის დადგენის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც მთლიანობაში გახდება საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების პირობა.

გ-5) სასწავლო გარემო

- სასურველია უმაღლესმა სასწავლებლებმა უზრუნველყონ კვლევების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების სხვა სტუდენტებთან ერთად ტერიტორიული განთავსება, რათა ეს სტუდენტები არ იყვნენ სხვა სტუდენტებისა და ერთმანეთისგან იზოლირებულნი და უფრო ადვილად შეძლონ სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრირება;
- სასურველია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფდეს სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო ხელსაწყოებსა და სათავსოებზე ხელმისაწვდომობას მათთვის განსაკუთრებული პროცედურული რეგულაციების საფუძველზე, რათა ნაახალისოს სტუდენტების სამომავლო პროფესიული, ზოგადი ტექნოლოგიური კომპეტენციების განვითარება, მოტივაციის ამაღლება და შექმნას აკადემიური სივრცე ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების სხვა სტუდენტებთან აკადემიური ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

გ-6) პროგრამაში გაერთიანებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

- სასურველია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ორგანიზება და მასწავლებელთა ნახალისება აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობისთვის;

- მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ორგანიზება ინტერკულტურული კომუნიკაციის მიმართულებით და ამ თვალსაზრისით მათი კომპეტენციების გაზრდა;
- სასურველია მასწავლებელთა თანამშრომლობის შიდასაუნივერსიტეტო და უნივერსიტეტშორისი მექანიზმების ამუშავება;
- მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ისეთი მიდგომების ამუშავება, როგორცაა:
 - (ა) მენტორობა;
 - (ბ) დასწრება და პოზიტიური უკუკავშირი;
 - (გ) სამოდელო გაკვეთილები და ლექციები;
 - (დ); სემინარები.
- სასურველია პროგრამაში მაქსიმალურად ჩართვა იმ მასწავლებლების, რომლებიც სტუდენტთა ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან, რათა მოხდეს სტუდენტთათვის კულტურულად უფრო ადეკვატური გარემოს შექმნა და, ამასთანავე, ეს ლექტორები შეასრულებენ მისაბაძი მაგალითის ფუნქციას სტუდენტებისთვის;
- სასურველია, რომ არსებობდეს კონკრეტული კრიტერიუმები მასწავლებლად დასაქმებული პერსონალის კომპეტენციებისა და გამოცდილების განსაზღვრისათვის, რომელიც პედაგოგიური გამოცდილების გარდა, აკადემიური მიღწევების გარკვეულ ფაქტორებზეც იქნება დაფუძნებული.

გამოყენებული ლიტერატურა

გუფთა (2006) Gupta, A. (2006). Affirmative action in higher education in India and the US: A study in contrast. *Center for Studies in Higher Education*;

ლეჰმულერი და გრეგორი (2003) Lehmueller, P. & Gregory, E. D. (2003). Affirmative action: From before Bakke to after Grutter. *NASPA journal*, 42 (4), pp. 430-459

საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, 2007 წლის 01 აპრილი

სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში: ეროვნული უმცირესობების კვლევა საქართველოში და აზერბაიჯანში, სექტემბერი 2006 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ №127 ბრძანების (2005 წლის 28 მარტი);

საქართველოს კანონი „უმალესი განათლების შესახებ“ (2004), მოპოვებულია ვებ-გვერდიდან www.parliament.ge 2013 წლის 29 აგვისტოს;

სტატისტიკური ანალიზი გაკეთებულია: (ა) გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის; (ბ) ილიას უნივერსიტეტის; (გ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის; (დ) სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის; (ე) სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის; (ვ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის; (გ) თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრისთვის 2013 წლის მაისი-სექტემბრის თვეში მოწოდებული ოფიციალურ საჯარო ინფორმაციზე დაყრდნობით.

ტაბატაძე, შ. (2009) - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი “განათლების რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები,

შმიდტი (2001) Schmidt (2001), *Debating the Benefits of Affirmative Action: The Chronicle of Higher Education*

ცხრილები

- ცხრილი #1 - 2010-2013 წლები რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის საერთო სტატისტიკა
- ცხრილი #2- საშუალო ქულა წლების მიხედვით
- ცხრილი #3- გამოკითხვაში მონაწილეთა გადანაწილება
- ცხრილი #4 -ჩარიცხული სტუდენტების გადანაწილება
უნივერსიტეტებს შორის 2010-2013.....
- ცხრილი #5- ჩარიცხულ სტუდენტთა და ათვისებული კვოტების რაოდენობა
- ცხრილი # 6. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის და გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა (2010-2013 წწ)
- ცხრილი #7 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და ერთწლიანი ქართული ენის პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი.....
- ცხრილი #8 -კონკრეტულ უნივერსიტეტში ჩაბარების განმაპირობებელი ფაქტორები.....
- ცხრილი #9 -გრანტების გადანაწილება რაიონების მიხედვით 2010-2013 წლებში.....
- ცხრილი #10 -ნინოწმინდის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი #11 -ახალქალაქის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი # 12- თბილისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი #13- მარნეულის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი #14- ბოლნისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი #15 -დმანისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები.....
- ცხრილი #16- გარდაბნის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი #17 ნალკის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი #18 ახალციხის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი #19- კახეთის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები
- ცხრილი 20- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები
- ცხრილი # 21 -სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები
- ცხრილი # 22 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები

- ცხრილი # 23 -ილიას უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები.....
- ცხრილი #24 -პროგრამის არასაკლასო აქტივობები
- ცხრილი #25- თსუ ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის კურსების ჩამონათვალი.....
- ცხრილი #26- ილიაუნის ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის კურსების ჩამონათვალი.....
- ცხრილი #27- პროგრამის მასწავლებელთა კვალიფიკაციის სტუდენტთა შეფასება
- ცხრილი # 28-თსუ პროგრამიდან შემოსული თანხა
- ცხრილი #29- თსუს პროგრამაზე განეული ხარჯები
- ცხრილი #30- ახალციხის უნივერსიტეტის პროგრამის შემოსავლები და ხარჯები.....
- ცხრილი #31- ილიას უნივერსიტეტის პროგრამის შემოსავლები და ხარჯები.....

დიაგრამები

- დიაგრამა #1- საშუალო ქულა წლების მიხედვით
- დიაგრამა #2 -სამელავათო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წყაროები
- დიაგრამა #3 -სამელავათო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წყაროები რეგიონალურ ტრილში
- დიაგრამა #4 - თბილისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები.....
- დიაგრამა #5 - მარნეულის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები.....
- დიაგრამა #6- ბოლნისის 2010-2013 წლების გრანტირებულთა მონაცემები.....
- დიაგრამა #7- სტუდენტების საბაკალავრო ფაკულტეტის არჩევანი
- დიაგრამა #8 - საბაკალავრო პროგრამის არჩევანი.....
- დიაგრამა # 9-საბაკალავრო პროგრამის არჩევის საფუძვლები და მიზეზები.....
- დიაგრამა #10- ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შესახებ
- დიაგრამა #11 -კლასგარეშე აქტივობების შესახებ
- დიაგრამა #12- ქართველ სტუდენტებთან აქტივობები.....
- დიაგრამა #13-პროგრამის ეფექტურობის შეფასება.....
- დიაგრამა # 14- ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა პროგრამის დასრულების შემდეგ.....
- დიაგრამა # 15 სტუდენტთა შეფასება მასწავლებელთა მათდამი დამოკიდებულებების შესახებ.....

კვთიერების სისტემის კვლევა
საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

ავტორები:

შალვა ტაბატაძე
ნათია გორგაძე

რედაქტორი:

ჭაბუკი ძირია